ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№147 (12523) 25 ივნისი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

Beijing 2008
დარჩა 44 დღე





**სვანეთის მთებიდან ჩინეთის დიდ კედლამდე**

ნესტორ ხერგიანი. პეკინი 2008 »»» 13

**მჭედლიძე: ახლა ჩვენი ჯერია**

ახალი თაობა ნაკრებში »»» 4

ხომ არ მოდუნდით? ევრო გრძელდება

# მეკარე თავდასხმაში?



**ლიოვი: არ გვინდა პროვოკაციები**



**თერიმი: გერმანიას ჩვენი ეშინია**

დღეს, ბაზელში. ნახევარფინალი. **გერმანია-თურქეთი**. 22:45 »»» 6

# ჰიდინკს უკრაინაში ძეგლი დაუდგეს



»»» 8



ზინედინ ზიდანი:

**გერმანიაზე ნნეხი კარგად მოქმედებს**

»»» 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერტოტო. ინტერვიუ გიორგი კიკნაძესთან

# თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ

## ლოკომოტივის თავკაცს სჯერა რომ ამ ბარიერს გადალახავს



გიორგი კიკნაძე

**გასულ უქმეებზე, თბილისის "ლოკომოტივმა" ინტერტოტოს გათამაშებაზე სასტარტო მატჩი ჩაატარა. გიორგი კიკნაძის გუნდმა, ლუქსემბურგში, ადგილობრივ "ეტცელასთან" 0:0 ითამაშა. ლოკომოტიველები საპასუხო მატჩისთვის მზადებას უკვე შეუდგნენ. "ეტცელასთან" განმეორებითი შეხვედრა კი შაბათს, 28 ივნისს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.**

**საინტერესოა, თუ როგორ აანალიზებს ლუქსემბურგში ჩატარებულ მატჩს თბილისელთა მთავარი მწვრთნელი. რას ფიქრობს მეტოქესა და საპასუხო შეხვედრაზე, რა აზრისაა შანსებზე. ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ გუშინ გიორგი კიკნაძეს დავუკავშირდით.**

- რა შეიძლება ითქვას, "ეტცელასთან" პირველ მატჩზე? შედეგით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. აი, თამაშის ხარისხზე კი იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ბუნებრივია, ეტელბრუკში გამართული მატჩის შემდეგ ჩვენ, მწვრთნელებმა, გარკვეული დასკვნები გავაკეთეთ. ასე რომ, საპასუხო მატჩისთვის უფრო უკეთ მოვემზადებით.

**- მეტოქე იმ დონის იყო, როგორსაც ელოდით?**

- კი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. მასპინძლებმა 2-3 საგოლე მომენტი შექმნეს. ამგვარი შანსი მათ ჩვენთან არ უნდა ჰქონოდათ. ასეთი გუნდის ბარიერი, იოლად უნდა გადალახო.

**- ბათიაშვილს კარგად უთამაშია, დარასელიასა და ალექსიძეს ჰქონიათ საგოლე მომენტები. ლუქსემბურგში ჩატარებული მატჩიდან, კიდევ რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?**

- დიახ, ბათიაშვილმა კარგად ითამაშა, დარასელიასა და ალექსიძესაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენეს. რაც შეეხება კითხვას, არ მინდა ვინმეს გამოყოფა.

**- ლუქსემბურგში გუნდს ლევან ცქიტიშვილი აკლდა. რატომ?**

- ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით...

**- როგორც გავიგე, ლევანს კლუბის გამოცვლა სურს...**

- ყველაფერი 28 ივნისის შემდეგ გაირკვევა. მანამდე კი მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- "ეტცელასთან" საპასუხო შეხვედრაში თუ ითამაშებს ცქიტიშვილი?**

- არა, ამ მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს. თუმცა ცქიტიშვილი ინტერტოტოს განაცხადში გვყავს შეყვანილი და მას შეუძლია თამაში. ჯერჯერობით სხვას ვერაფერს გეტყვით.

**- ცქიტიშვილის გარდა, საპასუხო მატჩში, სხვას ხომ არავის მოისაკლისებთ?**

- არა, ყველა მწყობრშია და "ეტცელასთან" თბილისური მატჩისთვის ვემზადებით.

**- როგორც გავიგე, ლუქსემბურგში გამართულ შეხვედრას რუსული "სატურნის" წარმომადგენელი დასწრებია...**

- დიახ, ამ კლუბის ორი წარმომადგენელი იყო ჩამოსული...

**- ისიც უთქვამთ, ეს "ლოკომოტივის" დუბლებიაო...**

- კი, ეს მართლაც იკითხეს. ჩვენც ვუთხარით, დუბლებით ჩამოვედით-თქო...

**- დაბოლოს, შეძლებთ, ამ ბარიერის გადალახვას?**

- კი, ჩვენი გუნდი მეტოქისას ნამდვილად აღემატება. უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყავს და ეს ბარიერი უნდა გადავლახოთ. მჯერა, "სატურნთან" ჩვენ მოგვიწევს თამაში და არა ლუქსემბურგელებს.

**დავით ცაბაძე**

ჩემპიონთა განაპში

# რეკიჩი წავიდა, ახალი ლეგიონერები ჩამოვლენ

## ჯერ მოსკოვში, მერე გერმანიაში



თბილისის "დინამო" ჩემპიონთა ლიგისა და ეროვნული პირველობის ახალი სეზონისთვის მშობლიურ ბაზაზე განაგრძობს მზადებას. მანამდე კი, **რაინერ ცობელის** გუნდი, 28 ივნისს მოსკოვის "დინამოსთან" სტუმრად ამხანაგურ მატჩს გამართავს. გუნდს უკვე შეუერთდა, ჩერნოგორიელი ნახევარმცველი **ილია სპასოევიჩი**. შეგახსენებთ, რომ სპასოევიჩმა, ამ ოციოდე დღის წინათ, სამშობლოში თიაქარის ოპერაცია გაიკეთა. ის ახლა უკეთაა და თანაგუნდელებთან ერთად ემზადება, მაგრამ, ექიმების რჩევით, სრული დატვირთვით ვარჯიშისაგან, ჯერჯერობით თავს იკავებს. ახლა გაბონელებზეც ვთქვათ. მეკარე **დიდიე ოვონო** და ფორვარდი **ჯორჯ აკირემი**, კვლავაც თავიანთ ეროვნულ ნაკრებთან ერთად ვარჯიშობენ. ჩვენი ინფორმაციით, გაბონს 28 ივნისს აქვს გადადებული მატჩი და ოვონო და აკირემიც ამ შეხვედრისთვის ემზადებიან. შესაბამისად, გაბონელი ლეგიონერები მოსკოვის "დინამოს" წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ.

ერთი კვირის წინათ, "დინამოს" ბაზაზე ბოსნიელი მარცხენა მცველი **ამირ რეკიჩი** გამოჩნდა. რეკიჩი ცობელის გუნდში ტესტირებისთვის ჩამოვიდა. თუმცა უკვე გაეგზავრა სამშობლოში.

*"რეკიჩს მწვავე ენტეროვირუსი შეეყარა. მაღალი სიცხეებისა და საერთოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ვერ ვარჯიშობდა. მწვრთნელებმა მისი სრულფასოვნად ნახვა ვერც კი მოასწრეს. ჩვენ დრო ცოტა გვაქვს, რეკიჩს კი კიდევ რამდენიმე დღე სჭირდებოდა სრულად გამოჯანმრთელებისთვის და ის სამშობლოში დაბრუნდა"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა თბილისური კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემ**.

გვენცაძემ გვამცნო "დინამოს" უახლოესი გეგმების შესახებაც. როგორც ირკვევა, დინამოელები 27 ივნისს გამთენიისას მოსკოვში გაემგზავრებიან. რუსეთის დედაქალაქში, ჩვენი გუნდი, ნოვოგორსკში, მოსკოვის "დინამოს" ბაზაზე დაბინავდება. რუსულ "დინამოს" 85 წელი შეუსრულდა და ამ იუბილეს ფარგლებში, კიეველ, მინსკელ და თბილისელ თანაკლუბელებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავს. მოსკოველთა და კიეველთა თანაკლუბელთა მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა, პენალტებში კი მოსკოველებმა 6:5 მოიგეს. დღეს, 25 ივნისს რუსები მინსკის "დინამოს" გაეჯიბრებიან, 28-ში კი თბილისელებს.

შაბათს, 28 ივნისს ჩვენებურებსა და მოსკოვის "დინამოს" შორის მატჩი, თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება და ამ შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟის ნახვა ტელეკომპანია "რტრ-სპორტის" მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

მოსკოვში თამაშის მომდევნო დღეს, 29 ივნისს,თბილისის "დინამო" გერმანიას გაემგზავრება. რაინერ ცობელის გუნდი აღმოსავლეთ გერმანიაში, იენის მახლობლად, ბადბლანკენბურგში დაბინავდება, სადაც შარშანაც გაიარეს მოსამზადებელი შეკრება. პირველ ამხანაგურ მატჩს დინამოელები ადგილობრივ ნაკრებთან, 1 ივლისს გამართავენ. ჩვენი გუნდი ასევე გაეჯიბრება იენის "კარლ ცაისს", "პადერნბორნს", "აუესა" და ადგილობრივი ქვედა ლიგის კიდევ ორ წარმომადგენელს. გერმანულ შეკრებაზე "დინამოში" რამდენიმე ახალი ლეგიონერის გამოჩენაა მოსალოდნელი.

1 ივლისს უეფას შტაბბინაში გასამართი წილისყრა თბილისის "დინამოს" მეტოქეს გაარკვევს. ჩვენს ჩემპიონს კი ევროტურნირებზე პირველი მატჩის გამართვა 15 ან 16 ივლისს მოუწევს.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ორბელაძემ დაჩიაში ითამაშა



სერგო ორბელაძე

მოლდოვის ვიცე -ჩემპიონი "დაჩია" ევროტურნირებისა და ეროვნული ჩემპიონატის ახალი სეზონისთვის ემზადება. **ლევან კორღალიძისა** და **ჯაბა დვალის** გუნდი ამხანაგურ მატჩებზეც არ ამბობს უარს. ახლახან, კიშინიოველებმა "მოსკვას" დუბლები 4:3 დაამარცხეს. კორღალიძე და დვალი სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. პირველმა თამაში ჩაამთავრა, მეორე კი 84-ე წუთზე შეცვალეს. მოსკოველთა მარცხს კი ლევან კორღალიძემ პირველი გატანილი გოლით დაუდო სათავე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ "დაჩიაში" კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდა. რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი კაპიტანი, 26 წლის მცველი **სერგი ორბელაძე**. იგი კიშინიოველთა გუნდში ვარჯიშობს და უკვე ერთ ამხანაგურ შეხვედრაშიც ითამაშა.

"დაჩისას" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კიშინიოველებმა "აკადემია" 2:1 დაამარცხეს. დაჩიელთა რიგებში ჯაბა დვალი და სერგი ორბელაძე სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. დვალი 57-ე წუთზე შეცვალეს, ორბელაძემ კი მატჩი ჩაამთავრა. ლევან კორღალიძე კი 57-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. ყველაზე აქტიური ჯაბა დვალი გახლდათ. მეორე, გამარჯვების გოლი სწორედ მის ანგარიშზეა.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# დანაშაული და სასჯელი, მაგრამ არებობს შეწყალებაც

**ლექსო ბენაშვილს** ექვსი თვე დასვენება მიუსაჯეს. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ნათამაშევ 18 წლის ფეხბურთელს საკუთარმა კლუბმა, „ზესტაფონმა", ვარჯიშებზე გამოუცხადებლობისთვის, ფეხბურთის ფედერაციაში უჩივლა. მოთამაშეთა სტატუსისა და ტრანსფერების განყოფილებაში ყველაფერი წესის მიხედვით გადაწყვიტეს – ფეხბურთელმა კონტრაქტის პირობები დაარღვია, რისი უფლებაც არ ჰქონდა და დასაჯეს.

მომხდარმა ლექსო ბენაშვილზე ცუდად იმოქმედა და მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. პირდაპირ ვთქვათ ყველაფერი - ბენაშვილი ობოლი ბიჭია, მშობლები გარდაეცვალა, ოჯახის ერთადერთი მარჩენალია და გარდა იმისა, რომ ფეხბურთს ექვსი თვე ვერ ითამაშებს, შემოსავალი დააკლდა. ალბათ, ასეთ დღეში მყოფ ადამიანთან ურთიერთობაში მეტი სიფრთხილეა საჭირო.

თავად ლექსო გულდაწყვეტილი გვესაუბრება და იმედოვნებს, რომ ფედერაცია და „ზესტაფონი" სასჯელს შეუმსუბუქებენ.

**- ლექსო, შენი აზრით, შესაძლებელია, დისკვალიფიკაცია რომ მოგიხსნან?**

- იმედი მაქვს, მაგრამ რა მოხდება, მხოლოდ ღმერთმა იცის. მე არც უარვყოფ, მომხდარში დამნაშავე რომ ვარ. თუმცა, ყველაფერი ისე ცუდად აეწყო, სხვაგვარად ვერც მოვიქცეოდი. თბილისის "მერანთან" წითელი ბარათი მაჩვენეს და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მომცეს. რა თქმა უნდა, ვერ ვთამაშობდი, სეზონიც მთავრდებოდა და ბოლო ერთი თვე ვარჯიშებზე არ მივლია.

თუმცა, ვარჯიშებს იმიტომ კი არ ვაცდენდი, რომ გუნდზე ნაწყენი ვიყავი, ან ვარჯიში მეზარებოდა. სიზარმაცეს ვერავინ დამაბრალებს, ფეხბურთი ისე მიყვარს, კლუბში ნავარჯიშევი, შემდეგ ეზოშიც ვთამაშობდი. იყო რაღაც მიზეზები.

**- ისეთი რა იყო, ვარჯიშების გაცდენა რომ გაიძულა?**

- არ დავმალავ და ყველაფრის მიზეზი ჩემი მძიმე ოჯახური მდგომარეობა გახდა. ჩემი ძმა იმდენად ცუდად იყო, მარტო ვერ ვტოვებდი... ზესტაფონში ამის გამო ვერ ჩავდიოდი, ძმის მარტო დატოვება არ შემეძლო. ამ დროს წითლების გამო მიღებული დისკვალიფიკაცია კი დამიმთავრდა, მაგრამ ვიფიქრე, სეზონი სრულდება და გამიგებენ-მეთქი.

არადა, ჩვენი პრეზიდენტი ილია კოკაია ცხოვრებისეულ დისციპლინას დიდ ყურადღებას აქცევს. ის ჩემთან მართალია. გაუფრთხილებლად არ უნდა წავსულიყავი, მაგრამ ყველანაირ უბედურებას უტელეფონობაც დაემატა. იმ დროს მობილური არ მქონდა. დავალიანების გამო, სახლის ტელეფონიც გამომირთეს და მიზეზის ასახსნელად ვერავის დავუკავშირდი. მესმის, რომ ცოტა დაუჯერებელია, მაგრამ როდესაც გიჭირს, ადამიანი ყველაფერს ლოგიკურად ვერ გააკეთებ.

თუ ღირსი ვარ, კი ბატონო, დამსაჯონ. მე „ზესტაფონთან" მადლობის მეტი რა მეთქმის, ამ კლუბმა თავის გამოჩენის და დაწინაურების შანსი მომცა, მაგრამ მეორე საკითხია, რომ საკუთარი მიზნები გამაჩნია. ფეხბურთს იმიტომ ვთამაშობ, დიდ მიზნებს რომ მივაღწიო და არა მხოლოდ საქართველოში. ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია კი მძიმე მდგომარეობაში ჩამაგდებს.

**- ისე საუბრობ, თითქოს უცხოეთში წასვლის შანსი გაგაჩნია.**

- ადრე გერმანიაში წასვლა შემომთავაზეს, მაგრამ დიდი ხანია, არაფერი უთქვამთ. ახლა გერმანიაში წასვლა კი არა, საქართველოში თამაშიც სანატრელი მაქვს.

**- დისკვალიფიკაცია რომ არ მოგიხსნან, მერე სად მიდიხარ?**

- ამაზე ფიქრიც არ მინდა. ისედაც მაგარი გულდაწყვეტილი ვარ და არ მინდა დავიჯერო, რომ უთამაშებლობისთვის გამიმეტებენ. ერთი თვეა დიდი მოედანზე არ გავსულვარ და ცუდად ვარ, ექვს თვეში რაღა დამემართება? ფეხბურთელისთვის ამხელა პაუზა კატასტროფის ტოლფასია.

**- მართალია, თითქოს ფედერაციის ხელმძღვანელებმა "ზესტაფონს" დისკვალიფიკაციის შემსუბუქება სთხოვეს?**

- პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ მეც ასე გავიგე. ეჭვიც არ მეპარება, მომხდარზე გული დაწყდებათ. ბევრჯერ მიგვრძნია მათი თანადგომა. „ზესტაფონი" კი, არ ვიცი, პოზიციას შეარბილებს თუ არა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ხიდეშელი და დაუშვილი ზესტაფონის დუბლებში გადაიყვანეს



გიორგი ხიდეშელი

„ზესტაფონი" უეფას თასისთვის ემზადება. კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია "ლელოსთან" გაძლიერებაზე საუბრობდა. თუმცა, რამდენიმე მოთამაშე კლუბს დაემშვიდობება. მაგალითად, ედიკ საჯაია ტრანსფერზე დააყენეს, გოგი ფიფიას კონტრაქტი დაუმთავრდება და თავის გზას ნახავს.

გუნდს ვერც ნახევარმცველები, 20 წლის გიორგი ხიდეშელი და 19 წლის ბუბა (მურთაზ) დაუშვილი დაეხმარებიან, რადგან კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ორივე დუბლებში გადაიყვანეს.

ხიდეშელი საქართველოს ეროვნული ნაკრების და "ზესტაფონის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, დაუშვილს კი ახალგაზრდული ნაკრებში სისტემატურად იწვევდნენ და ბოლო პერიოდში, კლუბის შემადგენლობაშიც ხშირად ჩნდებოდა.

მათ არც კონტრაქტის პირობები დაურღვევიათ და არც რეჟიმი. მომხდარზე გიორგი ხიდეშელი გვესაუბრება, რომელსაც სულ სხვა თემაზე სალაპარაკოდ დავუკავშირდით.

**- გიორგი, მართალია, თითქოს რუსთავის „ოლიმპში" გადადიხარ?**

- რუსთავის „ოლიმპის" რა გითხრათ და მცირე ხნით „ზესტაფონის" დუბლებში რომ ვივარჯიშებ, ეს ზუსტად ვიცი.

**- დუბლებში რატომ?**

- მე და ბუბა დაუშვილს „ზესტაფონთან" კონტრაქტი გვიმთავრდება, ორივეს ახალი ხელშეკრულება შემოგვთავაზეს და უარი ვუთხარით.

**- რატომ, უკეთესი წინადადება გქონდათ?**

- უბრალოდ, პირობებზე ვერ შევთანხმდით და დღეს შევიტყვეთ, რომ „ზესტაფონის" ნაცვლად, დუბლებში უნდა ვივარჯიშოთ. სანამ კონტრაქტი ამოგვეწურება, სხვა გზა არ გვაქვს.

**- თქვენს გარდა, კიდევ ვინმე ხომ არ დასაჯეს?**

- წარმოდგენა არ მაქვს.

**- გულწრფელად გვითხარი, „ოლიმპი" მართლა გიწვევს?**

- ჯერ საკითხი გაურკვეველია, სანამ "„ზესტაფონთან" ურთიერთობას არ დავასრულებთ. ისე, შემოთავაზება იყოს და ვნახოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# უმაღლესი ლიგისკენ, ქართველებთან ერთად



გუშინ, რუსეთის პირველ დივიზიონში მორიგ ტურში იყოჩალა ქართველთა „ანჟიმ". მახაჭყალის გუნდმა, რომელსაც **ომარ თეთრაძე** წვრთნის და სადაც შვიდი ჩვენებური თამაშობს, ერთი ამოსუნთქვით გაანადგურა მოსკოვის „ტორპედო" – 3:0. სასტარტო შემადგენლობაში მასპინძელთა დაცვის ხაზში გამოვიდნენ **ვალერი აბრამიძე** და **გიორგი ნავალოვსკი**, თეთრაძემ ნახევარდაცვაში გაამწესა **ზურაბ არზიანი** და **გოჩა ხოჯავა**, ხოლო თავდასხმაში **მიხეილ აშვეთია** დააყენა. **რევაზ ჯიქია** და **რევაზ ბარაბაძე** სათადარიგოთა სკამზე მოხვდნენ. 33-ე წუთზე თამაში არზიანის შეტევამ გამოაცოცხლა, მან მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი და სტუმართა საჯარიმომდე არ დაკარგა, იქ მან **ცორაევი** მოძებნა, მაგრამ სტუმართა გოლკიპერმა იყოჩალა. „ტორპედომ" პირველი ტაიმი გაძლო, თუმცა მეორეში „ანჟის" უპირატესობა თვალსაჩინო გახდა. 53-ე წუთზე **ჟოსანმა** „ანჟი" ძლიერი დარტყმით დააწინაურა დაახლოებით 20 მეტრი დისტანციიდან. 61-ე წუთზე ხოჯავა **კებეთი** შეცვალეს. სხვათა შორის, ტექნიკურ ქართველს ტორპედოელები ბევრჯერ ეუხეშნენ, გოჩამ მოედანი ტრავმის გამო დატოვა. 71-ე წუთზე მოედანზე რევაზ ჯიქიაც გამოჩნდა. ოთხ წუთში ცორაევის გოლით ანგარიში გაიზარდა. 84-ე წუთზე კი ქართული გოლის ჯერიც დადგა, შეცვლაზე შესულმა ჯიქიამ მეკარესთან პირისპირ გასვლა და გატანა მოახერხა – 3:0. 87-ე წუთზე მოედანზე ქართველთა რიცხვი ექვსამდე გაიზარდა, რევაზ ბარაბაძესაც მიეცა თამაშის საშუალება.

ამ მოგებით „ანჟის" 18 თამაშიდან 38 ქულა გაუხდა. პირველ ადგილზე მყოფი „როსტოვი" ვლადიკავკაზში „ალანიას" ესტუმრა და დაუზავდა – 1:1. ასე რომ, „ანჟი" „როსტოვს" ორი ქულითღა ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ რუსულ პრემიერლიგაში პირველი დივიზიონიდან ორი გუნდი გადადის. ცენტრალურმა მცველმა **გია გრიგალავამ** სრულად ითამაშა როსტოვის ასკ-ს და ბარნაულის „დინამოს" მატჩში (0:0), გრიგალავამ ორჯერ აშკარა გოლს გადაარჩინა მასპინძელთა კარი. არმიელებს 26 ქულა აქვთ და ცხრილის შუაში არიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრების ახალი თაობა

# ახლა ჩვენი ჯერია



**ბევრი გინახავთ, ჩვიდმეტი წლისას ეროვნულ ნაკრებში ეთამაშოს და მყის სახელი მოეხვეჭოს? ასეთი ცოტაა. ლევან მჭედლიძე იტალიური "ემპოლის" ფეხბურთელია, თუმც ამ ტოპლიგაში ჯერ არ უთამაშია. ლევანმა ითამაშა საქართველოს 19-წლამდელთა გუნდში და ეროვნულ ნაკრებში – ის თვალისმომჭრელი შემტევია, მაღალი, ღონიერი და მოქნილი.**

**მჭედლიძის ამბავი ქართველი ქომაგისთვის იტალია – საქართველოს მატჩით იწყება, კლაუს ტოპმიოლერმა ჭაბუკი გაუყვანა აპენილელ ძვალთამტვრეველებს. ლევანი მაშინ ვერ გამოირჩა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ალექს მაკლიშის ბიჭებს ბდღვირი ადინა, შოტლანდიას ტარტანი ლამის თავზე გადააფხრიწა და საქართველოს ნაკრებში საკუთარი თავი შექმნა.**

## თინეიჯერი კაცური შეუპოვრობით

2007-08 წლების სეზონი მისთვის დიდად წარმატებული მაინც ვერ გამოდგა. ტრავმიანობამ თითქოს ერთ ადგილზე გააჩერა, მაგრამ ლევანი ისევ წინ მიიწევს და ვინ იცის, ვინძლო დამდეგი სეზონიდან მიუნხენის "ბაიერნის" ფეხბურთელიც კი გახდეს...

წლეულს ლატვიასთან ამხანაგურ მატჩში **მჭედლიძე** მძიმედ დაშავდა და ტრავმებიც მიეწყო. " მუხლზე მეტოქე მთელი ძალით დამაწვა და სერიოზულად დავიზიანე. იტალიაში დაბრუნებულმა სახსარი უოპერაციოდ მოვირჩინე, მაგრამ გამოჯანმრთელების მერე მეორე, მარჯვენა მუხლი დამიშავდა. მეგონა, ამით დამთავრდებოდა ყველაფერი და ისევ პრობლემა – უოპერაციოდ მორჩენილი მარცხენა მუხლი ისევ გამირთულდა და მაისის დასაწყისში მენისკის ოპერაცია გავიკეთე. არადა, აპრილში "ჯენოასთან" მატჩში სერია A – ში დებიუტი უნდა მქონოდა, მაგრამ თამაშის წინა დღეს ისეთი დამემართა, ფეხს ვერ ვიქნევდი. ოპერაცია ცნობილმა იტალიელმა ქირურგმა ალბერტო მარინიმ გამიკეთა. ახლა ჯანზე ვარ და ვვარჯიშობ", – გვითხრა მჭედლიძემ, ვინც შვებულებას თბილისში ატარებს.

ლევანი ეროვნულ ნაკრებში პირველად შარშან, მაისში გამოიძახეს ლიტვა-საფრანგეთის მატჩებისთვის, მაგრამ მაშინაც უიღბლობამ შეუტია – ტრავმამ ოთხი თვით ჩამოაცილა მოედანს. ოქტომბერში კი ხელმეორედ დაუძახა ტოპიმ .

"ოთხთვიანი უქმობის შემდეგ კარგ ფორმაში ვერ ვიქნებოდი, მეგონა, იტალიასთან რამდენიმე წუთით მათამაშებდნენ, თუმც ტოპმიოლერმა სასტარტოში დამაყენა. თავდასხმაში მარტო ვიყავი და ბურთის დაჭერა გამიჭირდა. იმ თამაშის შემდეგ თბილისში შოტლანდიასთან მატჩისთვის რომ მოვფრინავდით, თვითმფრინავში ბევრ რამეზე დავფიქრდი, კარგად ვხდებოდი, თუ რატომ იყო ჩემით ყველა უკმაყოფილო, გულშემატკივარი მართალი იყო, კითხვას რომ სვამდა - რატომ ათამაშა ტოპმიოლერმა მჭედლიძე იტალიასთან? ყოველივე ამაზე გული არ მომსვლია, ფეხბურთელი ვარ და მომდევნო თამაშისთვის უნდა შემექმნა განწყობა საკუთარი თავისთვის, უნდა დამემტკიცებინა ქართველი ქომაგისთვის, თუ რა შეუძლია ლევან მჭედლიძეს. თამაშის დღეს დილით გავედით ეროვნულ სტადიონზე და კუთხურებს ვამუშავებდით. ახლო ძელთან უნდა გავსულიყავი და მეტოქე მცველები თან გამეყოლა, ჩემს უკან კი ზურა ხიზანიშვილი გაიხსნებოდა და კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთიც მისკენ უნდა წასულიყო. დაიწყო თამაში და ზურა მენთეშაშვილმა ისე ჩააწოდა კუთხური, ბურთი ჩემსკენ წამოვიდა და თავით შევაგდე. სხვათა შორის, ტოპმიოლერმა მატჩის წინ მითხრა, დღეს თავით გაიტან გოლსო. მოთელვაზე რომ გავედით და ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ - დღეს შოტლანდია უნდა შევჭამოთ - ასეთი იყო განწყობა. ასი პროცენტით ვერ წარმოვაჩინე საკუთარი თავი, მაგრამ გუნდს გვერდში კი დავუდექი".

შოტლანდიასთან 2:0 მოგებამ გააჩინა იმედი, რამეთუ ნაკრებში გამოჩნდნენ მჭედლიძე და **ლევან ყენია** - თინეიჯერები კაცური ძალითა და შეუპოვრობით.

## ჩვენი დრო უკვე მოვიდა

ევრო 2008-ის შესარჩევის მომდევნო შეხვედრაში ლიტვასთან ტოპიმ მჭედლიძე მარცხენა ნახევარმცველად გაამწესა და დღემდე გაუგებარია, რატომ მიიღი ასეთი უცნაური და არაფრისმომცემი გადაწყვეტილება გერმანელმა მწვრთნელმა. ლევანმაც ლიტვასთან ისე ველარ გაიბრწყინა, როგორც შოტლანდიასთან.

" ტოპმიოლერმა მითხრა, მარცხნიდან თამაშს ხომ შეძლებო. მწვრთნელი ამას რომ გეტყვის, დავალება უნდა შეუსრულო. კარგად ვიცი, ჩემი ადგილი თავდასხმაშია ან უკან დახეულ ფორვარდად. ვგრძნობდი, ხალხი ჩემგან ბევრს მოელოდა, მაგრამ... გულშემატკივრისგან ბევრის მოთხოვნა ჩემთვის დიდი სტიმულია. თანაც ნახეთ, რა ხდება - საქართველოს ნაკრები აგებს, მაგრამ თამაშზე კიდევ უფრო მეტი ხალხი მოდის, ასეთი რამ ალბათ, არსად არ ხდება საქართველოს გარდა. სექტემბრიდან ახალი შესარჩევი დაიწყება და აქედან უნდა დაიწყოს ქართველი ხალხის იმედების გამართლებაც".

არანაირი პათეტიკა და ბაქი- ბუქი, მჭედლიძის სიტყვებში გულწრფელობა და ყმაწვილური ჟინი ყველაფერს წონის. იქნებ, მართლა გამოვრჩეთ რაღაც ღირებულს, იქნებ, მართლა გაისროლონ ახალგაზრდებმა ბურთი ტყვიასავით, იქნებ, მჭედლიძემ, ყენიამ და დავით თარგამაძემ ზიდონ ის ტვირთი, რასაც მანამდე სხვები ვერ მოერივნენ.

კი მაგრამ, გამოცდილება?

"შოთა არველაძის თამაშს ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდებოდი, ის საოცარი თავდამსხმელი იყო. საქართველოს ნაკრებში ახლაც არიან გამოცდილი ფეხბურთელები - კახა კალაძე, ხიზანიშვილი, მალხაზ ასათიანი, ლევან კობიაშვილი - მათ გვერდით თავს თამამად ვგრძნობ და გამოცდილბასაც ვიძენ. ტრავმას რომ აერიდო, ამასაც თავისებური გამოცდილება სჭირდება."

მჭედლიძეები და ხიზანიშვილები ერთ სახლში, დიღმის მასივის პირველი კვარტლის ერთ-ერთ კორპუსში ცხოვრობენ. ლევანის და ზურას მამებიც თანაგუნდელები იყვნენ, ოღონდ თბილისის "დინამოში" - კარლო მჭედლიძე მეკარე გახლდათ, ნოდარ ხიზანიშვილი - მცველი.

"მე რომ დავიბადე, ზურა 9 წლის იყო და ხელით დამატარებდა, ახლა კი საქართველოს ნაკრებში ერთად უნდა გავაკეთოთ საქმე. კლუბში თავის გამოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ პირველ რიგში საკუთარი ქვეყნისთვის, ქართველი ხალხისთვის უნდა ვითამაშოთ - გვითხრა ლევანმა და იქვე დაამატა, რომ - ჩვენი, ახალგაზრდების დრო უკვე მოსულია, ყენიასა და თარგამაძის გარდა სხვებიც მოდიან: გოცირიძე, სანაია, ბეგლარიშვილი... უკვე ბევრნი ვართ ისეთი ახალგაზრდები, საკუთარი ქვეყნისთვის ბრძოლა რომ გვინდა და დარწმუნებული ვარ, იმას მივაღწევთ, რაც ხალხს უნდა".



## ბავარიას რეალისტი უნდა

ლევანმა შარშან, 17 წლისამ მოაწერა პროფესიონალურ კონტრაქტს ხელი "ემპოლისთან", რომელსაც 2010 წლის ივნისამდე ეკუთვნის, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანს, მანამდე დატოვებს ამ კლუბს.

"გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი მოვიდა - სილვიო ბალდინი, რომელმაც მითხრა, კარგი იქნება, თუ "ემპოლიდან" არ წახვალო. ჩემით ბევრი გუნდია დაინტერესებული, არის შემოთავაზებები იტალიიდან, ინგლისიდან და გერმანიიდან. ჩემი აგენტია დავიდე ტორკია, ვინც, სხვათა შორის, ლუკა ტონის, ანდრეა პირლოსა და კიდევ ბევრი ცნობილი ფეხბურთელის აგენტიცაა. სხვათა გარდა ლაპარაკია მიუნხენის "ბაიერნზეც". ბავარიულ გრანდში გადასვლის შანსი ჯერ კიდევ მაშინ მქონდა, 15 წლის რომ ვიყავი, მაგრამ "ემპოლი" ვარჩიე, რათა მეტი სათამაშო პრაქტიკა მქონოდა. ტრანსფერის საკითხი ერთ თვეში გადაწყდება. სეზონისწინა სამზადისს ყველა ვარიანტში "ემპოლიში" დავიწყებ 7 ივლისიდან, მერეც საკმარისი დრო იქნება გადაწყვეტილების მისაღებად, სატრანსფერო ფანჯარა ხომ აგვისტომდე ღიაა".

ლევანისთვის საოცნებო გუნდი მადრიდის "რეალია" და მიაჩნია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელთა უმრავლესობა სწორედ "რეალში" მოხვედრისთვის ხუჭავს და ახელს თვალებს. მჭედლიძეს ისიც ვკითხეთ, თავისი აგენტისგან თუ იცის, რამდენია მისი სატრანსფერო ფასი.

"ამ ცოტა ხნის წინ "ვოლფსბურგი" დაინტერსდა ჩემით და "ემპოლის" ხუთი მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ "ემპოლი" ამაზე არ წავიდა".

## არანაირი BMW, სპორტი და თავმდაბლობა

ფეხბურთის თამაშის გარდა, კარგად კიდევ რისი კეთება ეხერხება ლევამ მჭედლიძეს?

"ზოგადად, სპორტი მეხერხება, კალათბურთი, ბილიარდი, ჩოგბურთი, ყინულზე სრიალი არ ვიცი, თორემ ჰოკეისაც ვითამაშებდი. მოკლედ, სპორტი, სპორტი და სპორტი. ემპოლიში სხვა გასართობი ისაა, როცა თანაგუნდელები სადმე ერთად დავსხდებით და ვისადილებთ. ემპოლი წყნარი და ძველი ქალაქია, ისეთი არა, სადაც ყირაზე დგებიან."

მჭედლიძემ მანქანაც სათავისო შეარჩია. ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობა თუ BMW - ს დააგელვებს, ლევანმა მძიმე და მრისხანე ჰამერ H 3 აირჩია. "ამ მანქანით წყნარად დავდივარ, ჩქარა სიარული უაზრობა მგონია,"- გვითხრა მჭედლიძემ.

ლევანის მრჩევლები მამისი და მისი ძმა გიორგი არიან. " მათ ახლა ის მირჩიეს, ნუ აჩქარდები, გადაწყვეტილება ტრანსფერზეერთად მივიღოთო. გიორგი ხშირად ჩამოდის ხოლმე ჩემთან ემპოლიში, სადც მარტო ვცხოვრობ. მამჩემი კი წმინდა საფეხბურთო რჩევების გარდა, ბავშვობიდან ამასაც მირჩევდა - ყოველთვის თავმდაბალი უნდა იყო, ყველაფერი გაქვს, ბევრს რომ მიაღწიო და თავმდაბლობა ამაში დაგეხმარება."

ერთი ტრივიალური და აქტუალური კითხვაც: რას ფიქრობ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალებზე, ვის ქომაგობ?

"ესპანური ფეხბურთი მომწონს და ესპანეთს ვგულშემატკივრობ. ვფიქრობ, ესპანელები რუსებს მეორეჯერაც მოუგებენ და ფინალში გერმანიას შეხვდებიან. ფეხბურთელებიდან, რა თქმა უნდა, ვილია, ტორესი და სილვა მომწონს".

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ქართველები სამშობლოდან გარბიან

## მელქაძე-ჩიკვილაძე აზერბაიჯანიდან ბრუნდებიან



ლევან მელქაძე



თენგიზ ჩიკვილაძე

უცხოური სიახლეების "ჭიამ", ნიკოლოზ ნეფარიძემ გუშინ კიდევ ერთხელ გაგვიხეთქა გული, როდესაც აზერბაიჯანულ ინტერნეტ-გამოცემა "ტრენდში" ქართველების მორიგი ტრანსფერის ამბავი მოძებნა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ქართველ ლეგიონერთა მატებას ელოდნენ. „ტრენდის" ინფორმაციით, აგდამის „ყარაბახში" ორი ჩვენებური გასინჯეს, მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე** და ფორვარდი **ლევან მელქაძე**.

„ყარაბახმა" გასული სეზონი საკმაოდ კარგად დაასრულა, ჩემპიონატში 36 ქულა დააგროვა და მეხუთე ადგილი დაიკავა. გასულ სეზონში კლუბის ღირსებას **გოგა ბერაია** იცავდა, რომელმაც ერთი გოლი გაიტანა.

ახლა „ყარაბახი" მორიგი ჩემპიონატისთვის ემზადება და ამხანაგურ მატჩებს მართავს. თენგიზ ჩიკვილაძე თბილისის „ამერის" ფეხბურთელი და საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. ის ერთი კვირის წინ უკრაინიდან დაბრუნდა, სადაც სიმფეროპოლის „ტავრიაში" ისინჯებოდა, მაგრამ უკან დააბრუნეს.

ხოლო მელქაძე ორი თვის წინ ყარალანდის „შახტიორიდან" წამოვიდა. 29 წლის ფორვარდს „ვიტ ჯორჯიაში", „დინამოში", იტალიურ „სიენაში" და ნორვეგიულ „ვოლერანგაში" უთამაშია.

ინფორმაცია გადავამოწმეთ ფეხბურთელების ოჯახებში და დავადგინეთ, რომ ლევან მელქაძე და თენგიზ ჩიკვილაძე აზერბაიჯანში პირობების შესატყობად ჩავიდნენ და ალბათ, უახლოეს დღეებში უკან დაბრუნდებიან.

ქართველი ფეხბურთელები ზღაპრულ პირობებს ელოდნენ და ადგილზე სულ სხვა ხელფასი და საკონტრაქტო თანხა შესთავაზეს. კლუბთან ვარჯიშის შემდეგ, არც საერთო სურათი მოეწონათ, გადაწყვეტილება მიიღეს და ალბათ, უკან დაბრუნდებიან, გვითხრეს მელქაძის ოჯახში.

„ისე არ წვიმს, როგორც ქუხს" - ეს სიტყვები „ყარაბახს" შეეფერება. აზერბაიჯანულ ფეხბურთში დიდი ფული დააბანდეს, პროგრესიც ეტყობათ, მაგრამ საკმაოდ ბევრის მნახველი ქართველი ფეხბურთელების გულები ვერ მოინადირეს.

თუმცა აქ ყურადღებას სხვა საკითხზე გავამახვილებთ. მელქაძე და ჩიკვილაძე საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან. მათ აყვანაზე უარს არც ერთი ქართული კლუბი არ იტყოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენების მწირი ბიუჯეტი საკმარისი არ აღმოჩნდა, მელქაძე საქართველოში რომ დაბრუნებულიყო. ჩიკვილაძეც დიდი ხანია უცხოეთში წასვლას ცდილობს.

დღეს ქართველი ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობა ასეა, გული უცხოეთისკენ მიუწევთ. დასრულდა ის დრო, საუკეთესოები აზერბაიჯან-ყაზახეთისკენ გახედვას რომ თაკილობდნენ – ახლა ოღონდ საქართველოდან გაიქცნენ და თუნდაც შრი-ლანკაში ითამაშონ.

ვერც გაამტყუნებთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ინდოეთის, ვიეტნამის, მალაიაზიისა და ინდონეზიის ჩემპიონატში ფეხბურთელებს ხელფასად 5-6 ათას დოლარს და საკმაოდ სოლიდურ საკონტრაქტო თანხებს სთავაზობენ. ამის შემდეგ, საქართველოში 100 ლარი ცოტა კი არა, სასაცილო თანხაა. ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა და მათ ამ მცირე დროში სურთ იმ ფულის შოვნა, რომლითაც ცხოვრებას თუ არ აიწყობენ, შეიმსუბუქებენ მაინც.

ამიტომაც გვიჭირს მელქაძის, ჩიკვილაძის და თბილისის "დინამოს" ნახევარმცველ **მიხეილ ხუციშვილის** გამტყუნება. ამ უკანასკნელმა საქართველოს ჩემპიონი აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონ "ოლიმპიკზე" გაცვალა. მან უკვე სანაკრებო მოტივაციაც დაკარგა, ეროვნულში არ ათამაშეს და ბუნებრივია, ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი იშოვოს კარიერის დასრულებამდე.

და რა გვეშველება ჩვენ, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს? როდემდე გაგრძელდება ქართველი ფეხბურთელების მასობრივი გაქცევები? სანამ ამის პასუხი გვეცოდინება, ქართული ფეხბურთი სულ ლაფავს და ვაითუ, ხელში ჩაგვაკვდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

# საინტერესო და ძლიერი ჩემპიონატი გველის

მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს „სტანდარდმა" სეზონი მხოლოდ მეცხრე ადგილზე დაასრულა, კახი ცხადაძის გუნდის თამაშის ხარისხმა სეზონის ბოლოს გულშემატკივრებს ოპტიმიზმის საფუძველი მისცა. კლუბი რამდენიმე მოწინავე ფეხბურთელმა დატოვა, თუმცა განხორციელდა პირველი სერიოზული ტრანსფერიც, „სტანდარდმა" ავთანდილ გაჯიევი დაიმატა. გუნდს თავისუფლად შეუძლია ხუთეულისთვის იბრძოლოს. „სტანდარდის" მიზნებზე და გეგმებზე ქართველი მწვრთნელი აზერბაიჯანულ „ექსტრა თაიმს" ესაუბრა:

**- როდის იწყებთ ახალი სეზონისთვის მზადებას?**

- ჩვენ უკვე დავიწყეთ მზადება, გუშინ „სტანდარდმა" პირველი ვარჯიში ჩაატარა.

**- ხომ არ აპირებს გუნდი საზღვარგარეთ შეკრების მოწყობას?**

- ჯერჯერობით ბაქოში ვიმყოფებით, სადაც 11-12 ივლისამდე ვრჩებით. შემდეგ მივემგზავრებით ბულგარეთში, იქ ორკვირიან შეკრებას მოვაწყობთ და ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ბაქოში დავბრუნდებით.

**- რატომ აირჩიეთ ბულგარეთი?**

- იქ ძალიან კარგი მოსამზადებელი პირობებია, თანაც ბულგარეთში ბევრი კლუბი ჩადის და შანსი მოგვეცემა, სპარინგ-მატჩები ძლიერ მეტოქეებთან გავმართოთ.

**- სეზონის დასრულების შემდეგ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა „სტანდარდი". მაგალითად, ქამალ გულიევმა და ვიტალი კოვალევმა, ეს თქვენი გადაწყვეტილებაა?**

- მათ ახალი კონტრაქტები შევთავაზეთ, მაგრამ უარი მივიღეთ. გულიევი და კოვალევი სხვა კლუბებში გადავიდნენ. მე მათ აზრს პატივს ვცემ, ასე რომ, ახალ გუნდებში წარმატებას ვუსურვებ. ახლა ჩვენი ამოცანაა მათ ნაცვლად ღირსეული შემცვლელები მოვიძიოთ.

**- და რა ტრანსფერი გაახორციელეთ უკვე?**

- ჩვენ ჯერ მხოლოდ ავთანდილ გაჯიევს გავუფორმეთ კონტრაქტი, იმედი გვაქვს, რომ ის გააძლიერებს გუნდს. რამდენიმე ფეხბურთელს კონტრაქტი გავუგრძელეთ, ზოგსაც მალე გავუგრძელებთ კონტრაქტს.

**- როდის ვიხილავთ „სტანდარდში" ლეგიონერებს?**

- მალე რამდენიმე ლეგიონერს გავსინჯავთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბულგარეთში წასვლამდე დავკომპლექტდეთ სრულად. იქ მხოლოდ მზადებაზე უნდა ვიფიქროთ.

**- რომელ პოზიციაზე სჭირდება კლუბს გაძლიერება?**

- ჩვენგან წავიდა გუნდის ძირითადი გოლკიპერი, უპირველესად ეს პრობლემაა მოსაგვარებელი. დღეისათვის ორ გოლკიპერთან გვაქვს მოლაპარაკება. სხვა პოზიციებზეც გვსურს გაძლიერება.

**- რა მიზნები გექნებათ ახალ სეზონში?**

- ამოცანა უკვე დაგვისახეს - ხუთეულში მოხვედრა. ვფიქრობ, თუკი სელექცია კარგად გამოგვივა, ეს ამოცანა არ არის ძნელად შესასრულებელი. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი – ახალი ჩემპიონატი გაცილებით საინტერესო, ძლიერი და რთული იქნება.

**- სეზონის ბოლოს „სტანდარდი" კარგად ათამაშდა, შეინარჩუნებთ ამ ხარისხს?**

- მეორე წრე ცუდად დავიწყეთ შუახაზში შეთამაშება გვაკლდა, მაგრამ მერედამერე ავთამაშდით, ბოლოს კი ეს შედეგზეც აისახა. სამწუხაროდ, რამდენიმე მოწინავე ფეხბურთელი ვერ შევინარჩუნეთ და გუნდი თავიდან ასაწყობია.

**- აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტის გაუქმებას აპირებს, თქვენ რას იტყვით?**

- მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, საკლუბო დონე აუცილებლად მოიმატებს, მაგრამ ადგილობრივი კადრები შეიძლება დაიჩაგრონ. თუ გვსურს, აზერბაიჯანული ფეხბურთი წინ წავიდეს, მაშინ ადგილობრივ ფეხბვურთელებზე უნდა ვიფიქროთ. მეორე მხრივ, ძლიერ ლეგიონერებთან კონკურენციაში მათი საფეხბურთო დონეც მოიმატებს. ლეგიონერი ერთი თავით მაღლა უნდა იდგეს ადგილობრივზე. როდესა მე გერმანიაში ვთამაშობდი, სულ სამი ლეგიონერის ყოლის უფლება ჰქონდათ კლუბებს. ამიტომაც, გერმანიაში ძალიან ძლიერი ლეგიონერები თამაშობდნენ. მოკლედ, ეს საკითხი ყურადღებით მოსაფიქრებელი და ასაწონია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კახა ცხადაძე

# გოგობერიშვილმა კონტრაქტი გააგრძელა

## ამირან მუჯირი ბაქოში რჩება



ცოტა ხნის წინათ, აზერბაიჯანული წყაროებით გავრცელდა ცნობა, რომ **ალექსანდრე გოგობერიშვილი** "ბაქოში" რჩებოდა, მის თანამემამულე **ამირან მუჯირს** კი სხვა გუნდი უნდა მოეძებნა. მას მერე მუჯირის შესახებ ინფორმაცია აღარ გავრცელებულა. გუშინ კი ერთი სიახლე მოვიძიეთ, რომელიც ამ ფეხბურთელებს ეხებათ.

"ნახევარმცველ ალექსანდრე გოგობერიშვილთან "ბაქომ" კონტრაქტი გააგრძელა. ფეხბურთელმა უკვე საჯაროდ განაცხადა ახალ კონტრაქტზე თანხმობა. ქართველ ნახევარმცველთან ხელშეკრულების ხანგრძლივობა ერთი წელიწადია.

"ბაქო" კიდევ ერთ ქართველს შეინარჩუნებს. ამირან მუჯირს კლუბის შეცვლა უწევდა, მაგრამ, ბოლო ინფორმაციით, ის მისამართს აღარ შეიცვლის და "ბაქოში" გააგრძელებს კარიერას", - ეს ცნობა გუშინ, აზერბაიჯანულმა ვებგვერდმა "აპა სპორტმა" გაავრცელა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# EURO 2008

# თერიმი: გერმანიას ჩვენი ეშინია! ლიოვი: არ გვინდა პროვოკაციები!

## იმპერატორის ფარული გეგმა: მეკარე თავდასხმაში... მსოფლიოს უნდა, რომ თურქეთი ევროპის ჩემპიონი გახდეს?

**ნახევარფინალი**

**გერმანია-თურქეთი**

ბაზელი. 25 ივნისი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გერმანია:** ლემანი - ა. ფრიდრიხი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, ლამი - ჰიტცლშპერგერი, როლფესი - შვაინშტაიგერი, ბალაკი, პოდოლსკი - კლოზე.

**თურქეთი:** რუშთუ - საბრი, გიოქჰან ზანი, მეჰმეთ აურელიო, ჰაქანი - ჰამით ალთინთოფი, მეჰმეთ ტოპალი - კაზიმი, გიოქთენდიზი, უგური - შენთურქი.

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)



თერიმი და ლიოვი დიდი ბრძოლისთვის ემზადებიან

**ნახევარფინალის** წინ გერმანიის ნაკრების ქომაგებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი **ტორსტენ ფრინგსის** საკითხია. როგორც გაირკვა, საყრდენ ნახევარმცველს ნეკნი გატეხილი კი არა, გაბზარული ჰქონდა და ამიტომაცაა, მალე რომ გამოჯანმრთელდა. ფაქტია, რომ ფრინგსი განაცხადში იქნება, მაგრამ ითამაშებს თუ არა ძირითად შემადგენლობაში, ეს მხოლოდ დღეს საღამოს, უშუალოდ მატჩის წინ გადაწყდება. გადაწყვეტილებას ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ექიმებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღებს. თუმცა გერმანელები ფრინგსის გამო ისე აღარ ნერვიულობენ, როგორც პორტუგალიასთან მატჩის წინ. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ პორტუგალიასთან ტორსტენი **სიმონ როლფესისა** და **თომას ჰიტცლშპერგერის** დუეტმა ჩინებულად შეცვალა.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლიოვმა ფრინგსის დაბრუნების გამო კმაყოფილება ვერ დამალა, თუმცა იქვე აღნიშნა, გამორიცხული არ არის, რომ სასტარტოში ისევ ჰიტცლშპერგერ-როლფესის დუეტი გავამწესოო. იოგის გუშინ საღამომდე გადაწყვეტილი არ ჰქონდა, ვის ათამაშებს დღეს ძირითად შემადგენლობაში.

გუშინვე, გერმანიის ნაკრების მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** ლიოვს იმ შემადგენლობის დაყენებისკენ მოუწოდა, რომელმაც პორტუგალიას მოუგო და იქვე დასძინა, იოგის კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, სასტარტო შემადგენლობას არ შეცვლისო. *"მჯერა, მხოლოდ ის ფეხბურთელები ითამაშებენ, რომლებიც 100-პროცენტიან მზადყოფნაში იქნებიან,"* - უთხრა ბირჰოფმა "კიკერს". მოკლედ, თუ ფრინგსი ითამაშებს, ლიოვმა სასტარტოდან ან ჰიტცლშპერგერი უნდა ამოაგდოს და ანაც როლფესი. ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ასეთ შემთხვევაში ბუნდესმწვრთნელი გადაწყვეტილებას ლევერკუზენელის სასარგებლოდ მიიღებს.

როგორც გაირკვა, ლიოვი თურქეთთან მატჩისთვის სამ ტაქტიკურ მონახაზს განიხილავს: 4-5-1, 4-4-2 და 4-3-3. თუმცა გერმანიის ნაკრების თავკაცი იქვე ამბობს, მთავარი ტაქტიკა კი არ არის, არამედ ის, რომ შემტევი ფეხბურთი ვითამაშოთო. ლიოვმა გამოცდილი ექსპერტების (მათ შორის **კრისტოფ დაუმის**) რჩევები შეისმინა და თავის შეგირდებს მაქსიმალურად აგრესიული (კარგი გაგებით) ფეხბურთისკენ მოუწოდებს, გერმანიის ნაკრებმა მეტოქე პირველივე წუთებიდან წნეხის ქვეშ უნდა მოაქციოსო.

*"თურქეთის ნაკრები თამაშიდან თამაშამდე უმატებდა და ჩვენც სრული კონცენტრაცია გვმართებს. მაგალითად, პორტუგალიელების შემთხვევაში წინასწარ ვიცოდი, როგორ და რა ტაქტიკით ითამაშებდნენ, თურქეთის ნაკრები კი ამოუცნობი გუნდია, ვერასდროს გაიგებ, რა ფეხბურთს აჩვენებს, როგორ იასპარეზებს. სწორედ ეს არის თურქების უმთავრესი იარაღი,"* - ამბობს ლიოვი.

ორშაბათს ლიოვის ასისტენტმა **ჰანსი ფლიკმა** ფეხბურთელებს მეტოქის შესახებ დეტალური ინფორმაცია გადასცა. ლიოვი და მეკარეების მწვრთნელი **ანდრეას კიოპკე** კი **ფათიჰ თერიმის** გუნდის ტაქტიკურ მონახაზებს აანალიზებდნენ.

■ ■ ■

ზოგადად, თურქებისა და გერმანელების ურთიერთობა ცალკე სასაუბრო თემაა და ახლა დეტალური ახსნა-განმარტებებით თავს არ შეგაწყენთ. შეგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ გერმანიაში, სადაც 81 მილიონი მაცხოვრებელია, დაახლოებით 5 მილიონი თურქი ცხოვრობს. მართალია, თამაშის წინ გერმანელი პოლიტიკოსები ხშირად იმეორებდნენ, თურქები ჩვენი მეგობრები არიან და ჩვენს შორის მტრობა დაუშვებელიაო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დღეებში გერმანიაში მაინც ჰქონდა ადგილი რამდენიმე შეტაკებას. რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ მტრობა არ არსებობს, ფაქტია, რომ გერმანელებსა და თურქებს ერთმანეთზე მზე და მთვარე არ ამოსდით.

ალბათ, ამის ბრალია ისიც, რომ ლიოვმა მატჩის წინ თურქეთსა და თურქებს სიყვარული აუხსნა. *"ჩვენ, გერმანიაში ძალიან ბევრი თურქი გვყავს და თითოეულ მათგანს ისე ვუყურებთ, როგორც უახლოეს მეგობარს. ჩემი სურვილია, რომ არანაირ პროვოკაციებს ადგილი არ ჰქონდეს. თურქეთში ვმუშაობდი და ეს ქვეყანა მაშინ შემიყვარდა,"* - განაცხადა იოგიმ, რომელიც 1998-დან 1999 წლამდე "ფენერბაჰჩეში", ხოლო 2001 წელს კი "ადანასპორში" მუშაობდა.

თურქეთისა და თურქების ქებისთვის ბუნდესმეკარე **იენს ლემანმაც** მოიცალა. *"ამ ქვეყანას უდიდეს პატივს ვცემ, თურქები ძალიან მიყვარან. ეს არის უდიდესი ქვეყანა, სადაც უალრესად პატივსაცემი ხალხი ცხოვრობს. თურქებს უდიდესი ისტორია აქვთ. ბავშვობაში ხშირად მათ ერთად ვთამაშობდი ხოლმე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გერმანიის შემდეგ ყველაზე მეტად სწორედ ეს ქვეყანა მიყვარს,"* - განუცხადა ლემანმა "კიკერს".

■ ■ ■

ბალანსი აშკარად გერმანიის ნაკრების მხარესაა - დღევანდელ შეხვედრამდე გერმანელებს თურქები 11-ჯერ ჰყავთ დამარცხებული, 3 მატჩი ფრედ დასრულდა, 3 კი თურქებმა მოიგეს. მიუხედავად ამისა, ხორვატიასთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, თურქ ქომაგებს ეჭვი აღარ ეპარებათ იმაში, რომ მათი გუნდი გერმანიასაც დაიფრენს. ყოველ შემთხვევაში, პრესაც წერდა, ახლა გერმანელების რიგია, ჩვენ კი ფინალში ვართო. არა ერთი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნაში, თურქები მატჩის პოტენციურ გმირად სემი შენთურქს მიიჩნევენ, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე უკვე ორი წარმოუდგენლად მნიშვნელოვანი გოლის გატანა შეძლო. ხორვატიასთან, მეორე დამატებული ტაიმის მეორე დამატებულ წუთზე გატანილი გოლით **შენთურქი** ისტორიაში შევიდა და რეკორდსმენია - აქამდე ევროპის ჩემპიონატზე 123-ე წუთზე გოლი არავის ჰქონდა გატანილი (რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი) და ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, რომ ასეთი რამ კიდევ ვინმემ შეძლოს.

გერმანიის ნაკრების შეფ-სკაუტი **ურს ზიგენტჰალერი** იოახიმ ლიოვის გუნდს უდიდესი სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ამბობს, გერმანიის ნაკრებისთვის თურქეთთან თამაში უფრო რთულია, ვიდრე ისეთ ნაკრებებთან, როგორებიც ჰოლანდია, პორტუგალია, საფრანგეთი და იტალია.

**ემრე ბელოზოღლუ, ნიჰათი, სერვეთი** და **ემრე გიუნგორი** ტრავმირებულები არიან. **ემრე ასიკს, ვოლქან დემირელს, თუნჯაი სანლისა** და **არდას** კი დისკვალიფიკაცია აქვთ. ოთხი დისკვალიფიცირებული და ხუთი ტრავმირებული ფეხბურთელი კი იმას ნიშნავს, რომ თერიმს ძალიან სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. თავად განსაჯეთ, თერიმს განაცხადში მხოლოდ 15 ფეხბურთელი დარჩა და აქედან ორი მეკარეა. სავარაუდო ძირითად შემადგენლობას უკვე გაეცნობოდით და მათ გარდა, თერიმს **თოლგა, აიჰანი, თიუმერი** და **მევლუთი** შემორჩა.

გუშინ, "ბილდი" თურქეთის ნაკრების დამრიგებლის სენსაციური გეგმის შესახებ წერდა. როგორც ხედავთ, სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში თერიმს მხოლოდ ერთი ფორვარდი ჰყავს - სემი შენთურქი. როგორც ირკვევა, თუ საჭირო გახდა, თერიმი მოედანზე მეკარე თოლგას შეიყვანს, ოღონდ არა მეკარის, არამედ მინდვრის ფეხბურთელის რანგში.

*"სხვათა შორის, თოლგას ცენტრალური მცველის ან ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაში შეუძლია და თუ დაგვჭირდება, ამ ხერხს აუცილებლად მივმართავთ,"* - განუცხადა თერიმმა ჟურნალისტებს. სხვათა შორის, თავის დროზე გერმანიასაც ჰქონდა ასეთი გასაჭირი: 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალის წინ, მაშინდელმა ბუნდესმწვრთნელმა **ბერტი ფოგტსმა**, იმის გამო, რომ არაერთი ფეხბურთელი ჰყავდა დაშავებული და დისკვალიფიცირებული (მაგ. **ანდი მიოლერი** და **შტეფან როიტერი**), მეკარეები **ოლივერ კანი** და **ოლივერ რეკი** მინდვრის მოთამაშეებად დაარეგისტრირა. მაშინ უეფამ გერმანელებს ფრაიბურგელი **იენს ტოდტის** გამოძახების უფლება დართო. ამჯერად კი, თურქებს სხვა ფეხბურთელების გამოძახების უფლება არ ჰქონდათ - უეფა შეუვალი აღმოჩნდა და წესები არ შეცვალა.

მიუხედავად ამისა, თერიმმა ყურები არ ჩამოყარა. მეტსაც გეტყვით: იმპერატორი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი ფინალში გავა.

*"ჩვენ უკვე არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია, შეუძლებელი შესაძლებლად ვაქციოთ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ ფინალში გავალთ. მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ფორმაშია გერმანიის ნაკრები - მათ ჩვენი ეშინიათ! მსოფლიოს უნდა, რომ ჩვენ ევროპის ჩემპიონები გავხდეთ,"* - აცხადებს თურქების დამრიგებელი.

**გოტფრიდ ლენცი**



გერმანელებს ბალაკის ეიმედებათ



ოქროს რეზერვისტ სემიჰ შენთურქს სასტარტოც ელირსა

# EURO 2008

ექსპერტის მოსაზრება

# გიუნტერ ნეტცერი: მე მჯერა ჩვენი გუნდის!



ევროპის ჩემპიონატი დასკვნით ფაზაში შევიდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ნაკრებმა ფავორიტის სახელი გაამართლა და გული მიგრძნობს, რომ **იოახიმ ლიოვის** გუნდი სწორ, ჩემპიონის ტიტულისკენ მიმავალ გზას ადგას. პორტუგალიასთან ნაჩვენები ფეხბურთისა და მიღწეული შედეგის შემდეგ, ეჭვი აღარ მეპარება იმაში, რომ გერმანელებს კონტინენტზე ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავს. ახლა მთავარი კონცენტრაციის შენარჩუნება და ფინალში გასვლაა.

პორტუგალიასთან მოპოვებულმა გამარჯვებამ ბიჭებს თავდაჯერება შემატა და თურქეთთან მატჩის წინ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თითოეული გერმანელი ფეხბურთელი დარწმუნდა იმაში, რომ ევროპის ჩემპიონობა რეალურია. გერმანიამ თურქეთთან თავიდანვე დინამიური, შემტევი და აგრესიული ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ვერ ვიტყვი, რომ ამის გაკეთება იოლი იქნება, მაგრამ ფეხბურთელებს უნდა ახსოვდეთ და ერთი წამითაც არ უნდა დაავიწყდეთ ის, რომ თურქეთთან წაგება გერმანელი ხალხისთვის აუხსნელი და მიუღებელი იქნება.

თურქებმა კი კიდევ ერთხელ დამარწმუნეს იმაში, რომ ყველაზე ქაოტურები, ყველაზე დაუნდობლები და შეუდრეკელნი არიან. სწორედ ქაოსია იმის მიზეზი, რის გამოც დღეს თერიმის გუნდი ნახევარფინალშია - ქაოსი, რომელსაც წარმატება ყოველთვის არ მოაქვს, მაგრამ მეტოქეებს კი ყოველთვის აბნევს. თერიმს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს, რაც ჩვენთვის სასარგებლოა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თურქებს ამ თამაშის მოგება აღარ ენდომებათ. ერთი რამ ცხადია: თურქების დამარცხება ძალიან ძნელი იქნება!

ესპანეთმა დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდია - როგორც იქნა, ესპანელებმა ეს შეძლეს. მართალია, პენალტების სერია საბოლოოდ იღბლის საქმე და ლატარიაა, მაგრამ არაგონესის გუნდმა იტალიასთან გამარჯვება დაიმსახურა. რუსეთი კი უდიდესი აღმოჩენა, ევროპის ჩემპიონატის უმთავრესი სენსაცია გახლავთ. პირველ თამაშში, რომელიც **ჰიდინკის** გუნდმა ესპანეთთან 1:4 წააგო, რუსებმა ლექცია იდეალურად გამოიყენეს, შეცდომებზე ისწავლეს და მერე გაფრინდნენ. ჰიდინკს **არშავინისა** და **პავლიუჩენკოს** სახით ორი შესანიშნავი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ საბოლოო ჯამში მთავარი გმირი და რუსეთის ნაკრების წარმატების პირველი შემოქმედი მაინც მწვრთნელია, განუმეორებელი გუუსი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მწვრთნელის ფაქტორი ნებისმიერ გუნდში უმნიშვნელოვანესია. არ გამორიცხოთ, რომ მომავალი რუსეთის ნაკრებისა იყოს - ოღონდ მხოლოდ ჰიდინკის ხელში.

**გიუნტერ ნეტცერი, ბილდი**
მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

ევრო 2008 ზინედინ ზიდანის თვალით

# გერმანელებზე ნნეხი დადებითად მოქმედებს

## ზიდანი: საფრანგეთს რუმინეთთან რომ მოეგო...



**ზინედინ ზიდანი** ევროპის ჩემპიონატს დიდი ინტერესით ადევნებს თვალს. ან კი, როგორ შეიძლება, არ აინტერესებდეს იმ ტურნირის ამბები, რომელიც ადრე (ევრო 2000) თავადაც მოუგია. ზიზუს პროგნოზები არ უყვარს, მაგრამ რომც იყოს ამ საქმის მოყვარული, მაინც ვერაფერს იტყოდა, რადგან მცირეოდენი წარმოდგენაც არ აქვს, ვინ შეიძლება გაიმარჯვოს 29 ივნისს...

*"შესანიშნავი ჩემპიონატია, წარმოუდგენლად დრამატული მატჩებით, - ამბობს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ლიდერი, რომელსაც 23 ივნისს 36 წელი შეუსრულდა, - ჯერჯერობით, თამაშები უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. დიდი ხნის განმავლობაში პირველად ხდება, რომ ტურნირში არ ვმონაწილეობ და მას გულშემატკივრის თვალით ვუმზერ. პირდაპირ ვიტყვი, რომ ექსტრაკლასის მატჩების მოწმენი ვართ".*

ზიდანი სხვამ ვინ ან რამ უნდა გააკვირვოსო, იკითხავს მკითხველი, მაგრამ, თურმე, არც მთლად ასეა საქმე. ყველაზე მეტად, ის რუსეთის ნაკრების ფორვარდ **ანდრეი არშავინით** ყოფილა მოხიბლული: *"ჰოლანდიასთან მატჩში რუსების მეათე ნომერმა არშავინმა პირდაპირ გამაოგნა, და არა მარტო მე. მისი ყოველი სვლა მოულოდნელი იყო. ის ჯერ მაინც ახალგაზრდაა ფეხბურთისთვის, თანაც, მისთვის ეს პირველი დიდი ტურნირია და ამდენად, გასაკვირია, რომ ესოდენ მაღალი ხარისხის ფეხბურთს თამაშობს".*

რაც შეეხებათ ზიდანის თანამემამულეებს. საფრანგეთის ნაკრების მონაწილეობით, ზიზუმ ჰოლანდიასთან (1:4) და იტალიასთან (0:2) მატჩები ნახა. მისი აზრით, "სამფეროვანთა" გავარდნაში მთავარი როლი რუმინეთთან პირველ მატჩში დაკარგულმა ქულებმა ითამაშა: *"პრობლემა ის იყო, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო პირველი მატჩი. ასეთ ტურნირებზე გამარჯვებით დაწყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რუმინეთთან სამი ქულა რომ აგველო, უფრო მყარი ზურგი გვექნებოდა, რადგან მომდევნო ორი მატჩი ჰოლანდიასა და იტალიასთან გვქონდა. რა თქმა უნდა, როგორც ქომაგსა და ამ გუნდის ყოფილ წევრს, ძალიან დამწყდა გული. ჩვენი ნაკრებისგან გაცილებით მეტს ველოდი... მაგრამ არ გამოვიდა. თუმც დარწმუნებული ვარ, რომ საფრანგეთის ნაკრებს მომავალი აქვს. მოდის ახალი თაობა, რომელსაც შეუძლია, 2010 წლის მუნდიალზე თავისი სიტყვა თქვას".*

საფრანგეთის ნაკრების გარდა, ზიდანს პორტუგალიაზეც დასწყდა გული: *"საფრანგეთის შემდეგ, ჩემი საყვარელი გუნდი პორტუგალიის ნაკრებია. მაგრამ სამწუხაროდ, ის უკვე აღარ არის ევროპის ჩემპიონატზე. ეს იყო სრულყოფილი ნაკრები ბრწყინვალე ინდივიდუალისტებით. ტექნიკური მოთამაშებისა და ძლიერი თავდამსხმელების ფაქტორი ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საიმედო დაცვა გყავდეს. გერმანიასთან მატჩამდე პორტუგალიას ყველანაირი პოტენციალი ჰქონდა. რა თქმა უნდა, მათ წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელია, ბუნდესგუნდი ძლიერია და კარგადაც ითამაშა, ვიტყოდი, იდეალურადაც".*

დღეს კი პირველი ნახევარფინალია. გერმანელები თურქეთს ეთამაშებიან. ზიდანი პროგნოზის გაკეთებას ვერ რისკავს: *"საპასუხისმგებლო მატჩებში გერმანელები ყოველთვის ძლიერები არიან. ფსიქოლოგიური ტვირთი მათზე დადებითად მოქმედებს, მოტივაციას მატებს. ისინი მუდამ ოთხეულში არიან. ნახეთ, რა კარგად თამაშობს მიხაელ ბალაკი. ის ჩინებულად უძღვება გუნდს. რუსებმა კი ჰოლანდიასთან მატჩშიც დაამტკიცეს, რომ ჩინებული ნაკრები ჰყავთ. ისინი ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულები და სწორედ ამის ხარჯზე დაამარცხეს კიდეც ჰოლანდია. თუ დააკვირდით, დამატებით დროში გუუს ჰიდინკის გუნდს მეტი ენერგია ჰქონდა... ტურნირზე არიან სხვა გუნდებიც, რომლებიც მომხიბლავ ფეხბურთს თამაშობენ. იმედი მაქვს, ნახევარფინალებიცა და ფინალიც დიდ სიამოვნებას მოგვანიჭებს. უაზრობაა პროგნოზის გაკეთება. წარმოდგენაც არ მაქვს, ვინ შეიძლება გახდეს ჩემპიონი. ეს ამ ჩემპიონატის კიდევ ერთი პოზიტიური მხარეა".*

ინტერვიუ გუუს ჰიდინკთან

# რა თქმა უნდა, რევანში გვწყურია!



**ხვალ,** მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს რუსეთისა და ესპანეთის ეროვნული გუნდები დაუპირისპირდებიან. ეს იქნება ჯგუფურ ეტაპზე მათ შორის გამართული მატჩის (4:1 ესპანელთა სასარგებლოდ) ერთგვარი რიმეიქი, თუმც საბოლოო ანგარიშზე რა მოგახსენოთ. მას შემდეგ, რუსეთის ნაკრებს ველარ ვცნობთ. გუუს ჰიდინკის შეგირდებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს საბერძნეთი, შვედეთი და ბოლოს ჰოლანდიაც, მეოთხედფინალის დამატებით დროში. მაგრამ მარტო დამარცხებაშიც არ არის საქმე, რუსებმა ბრწყინვალე ფეხბურთიც აჩვენეს და ბევრს ათქმევინეს, რომ ტურნირის მოგების არც თუ მცირე შანსი აქვთ. ესპანეთთან კი ჰიდინკს ძველი ანგარიში აქვს გასასწორებელი. რა თქმა უნდა, პირენეული ნაკრები უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ჭამაში მადამოსულ რუსეთთან ის თამაში და ანგარიში აღარ იქნება (დიდი ალბათობით). ლუის არაგონესმაც დაადასტურა, რომ მისი ფეხბურთელები ურთულესი მატჩისთვის ემზადებიან...

გუშინ, ჰიდინკმა ესპანური გამოცემა as-ს ინტერვიუ მისცა...

**- ჰიდინკი კვლავ ესპანეთის პირისპირაა. ახლა როგორი მოლოდინი გაქვთ?**

- ამჯერად, ჩვენ აღარ დავუშვებთ ისეთ ბავშვურ შეცდომებს, როგორიც პირველ მატჩში გვქონდა. ისე კი, უნდა გავიხსენოთ, რომ ბოლო გოლი ესპანელებმა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს. თუმც ამისთვის მაშინ დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია და ამას არც ახლა ვაპირებ. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ 4:1 არ განმეორდება.

**- რევანში გწურიათ?**

- ასე რომ არ იყოს, არ გაგიკვირდებოდათ? ნებისმიერი გუნდი უნდა ცდილობდეს რევანშის აღებას. ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს, რაც გნებავთ, ის დაარქვით. გამარჯვება და ფინალში გასვლა გვინდა. მორჩა და გათავდა.

**- იტალიისა და ესპანეთის მატჩი ნახეთ?**

- რა თქმა უნდა!

**- არ გეშინიათ, რომ პენალტებამდე მივიდეს საქმე? ესპანეთს ხომ კასილიასი ჰყავს...**

- ამის გამოცდილება უკვე მაქვს.

**- მხედველობაში გაქვთ 2002 წლის მუნდიალი, როცა თქვენმა კორეამ ესპანეთის 11-მეტრიანების სერიაში დაამარცხა?**

- სწორედაც რომ. ისე, კასილიასი მართლაც დიდი მეკარეა. მაგრამ, მოდით, იმედს დავიტოვებ, რომ პენალტები არ იქნება და ესპანეთის ნაკრების პრობლემას დამატებით დროში მაინც მოვაგვარებთ.

**- თქვენ უკვე აღნიშნეთ, რომ ნახევარფინალური მატჩი სასტარტო შეხვედრისგან განსხვავებული იქნება. და მაინც, როგორ წარმოგიდგენიათ ესპანელებთან მეორე შერკინება?**

- მე ვფიქრობ, ესპანელები შემტევ ფეხბურთს დაგვიპირისპირებენ, მაშინ, როცა ყველა წინა მეტოქემ, მათ შორის, ჰოლანდიამაც, დაცვითი ფეხბურთი შემოგვთავაზა. ესპანელებს იერიშები სისხლში აქვთ. მათ უყვართ ბურთის კონტროლი და დიდი ძალებით შეტევა. ხომ გესმით, ასეთი ტიპის მატჩებში შედეგის წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

**- ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს იტალიასთან გერჩივნათ შეხვედრა...**

- სიმართლე გითხრათ, არა. ესპანელთა წინააღმდეგ ტაქტიკურ ვარიაციებსა და ხრიკებს უფრო ადვილად მიმართავ, რადგან ისინი თავადაც თამაშობენ და მეტოქესაც აძლევენ თამაშის საშუალებას. ჩვენც დაახლოებით ანალოგიური მანერით ვთამაშობთ. მაგრამ, თუ ესპანელები ანგარიშში წინ გადიან, მეტად მწვავე კონტრშეტევები აქვთ.

**- შეგიძლიათ, თქვათ, რომ რუსეთი ფავორიტია?**

- არა, როგორ შეიძლება ამის თქმა? ესპანელები უმაღლესი კლასის ფეხბურთს თამაშობენ. ჩვენს მოთამაშეებს კი, ჰოლანდიასთან მატჩამდე, ფაქტობრივად, არავინ იცნობდა.

**- მაგრამ დღეს უკვე მთელი მსოფლიო იცნობს ანდრეი არშავინს, რომელსაც პირველ მატჩებში არ უთამაშია. რა გავლენას მოახდენს მისი გამოჩენა, ნახევარფინალში ძალთა თანაფარდობაზე?**

- ჩვენ მარტო არშავინით არ ვართ ძლიერები, თუმც ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. ღმერთმა ის დრიბლიორის ტალანტით დააჯილდოვა. უაღრესად რთულია მისთვის ბურთის წართმევა... მაგრამ ჩვენი მთავარი ღირსება გუნდური თამაში და ფიზიკური კონდიციებია, ტაქტიკურადაც დავბრძენდით.

**- არშავინის გარდა, საფეხბურთო მსოფლიომ სხვა რუსი მოთამაშეებიც გაიცნო, მაგალითად, პავლიუჩენკო...**

- ერთხელ ვთქვი, რომან პავლიუჩენკო მძინარე გიგანტია-მეთქი. აქ მან უკვე სამი გოლი გაიტანა. როგორც ჩანს, გიგანტი ილვიძებს...

**- და ჟირკოვი? მისი რეიდები საოცარია...**

- დიახ. მე ვიტყოდი, თავის პოზიციაზე იური ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია.

**- ნახევარფინალში გასვლა თქვენთვის დიდი წარმატებაა?**

- ეს უბრალოდ სასწაულია. გაოგნებული ვარ, რამხელა პროგრესს მივაღწიეთ მოკლე ხანში. ახლა ამ სამუშაოთი ვტკბებით. მაგრამ მთავარია, ქომაგებმა წნეხში არ მოგვაქციონ. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ...

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი

## ჰიდინკს უკრაინაში ძეგლი დაუდგეს

### თვითნასწავლ მოქანდაკეს თვითშემოქმედება ცოლის მუჯლუგუნებად დაუჯდა

ფეხბურთი ჭარბი რაოდენობით, ძალიან საშიში და მავნებელია. რუსეთის ნაკრების თავბრუდამხვევმა წარმატებამ ერთ უკრაინელ გულშემატკივარში კერპთაყვანისმცემლობისკენ მიდრეკილება გაალვიძა. საქმე ის არის, რომ ყირიმის ნახევარკუნძულზე, კერძოდ სოფელ მალორეჩენსკოეში რუსეთის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს, **გუუს ჰიდინკს** ძეგლი დაუდგეს. ამ უცნაურ საქმეს თვითნასწავლმა მოქანდაკე, **ევგენი იაბლონსკიმ** მოჰკიდა ხელი. ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში მოპოვებულმა გამარჯვებამ ბატონი ჟენია იმდენად გაახარა, რომ მწვრთნელისთვის ძეგლის აღმართვის იდეა აეკვიატა, თუმცა პირველივე დღეს აღმოაჩინა, რომ იდეის ხორცშესხმა დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ იაბლონსკების ოჯახში ფინანსების სერიოზული დეფიციტი იყო. მათ იმდენად მცირე შემოსავალი ჰქონიათ, რომ თვიდან-თვემდე ძლივს გააქვთ თავი.

დიდი სიდუხჭირის მიუხედავად, თვითნასწავლმა მოქანდაკემ გადაწყვიტა, ძეგლი ნებისმიერ ფასად დაემზადებინა. ამისათვის მას მეუღლის საფულიდან ფულის მოპარვა დასჭირდა. ღრმად პატივცემულმა ევგენიმ ცოლის ფინანსებს მისი უკანასკნელი გროშებიც დაამატა და თაბაშირის საყიდლად წავიდა. მაღაზიაში მისულმა აღმოაჩინა, რომ მის ხელთ არსებული თანხა, ჰიდინკის ყურების დასამზადებლადაც არ ეყოფოდა. საბრალო კაცი საგონებელში ჩავარდა, მაგრამ გამოსავალს მალევე მიაგნო. მან სოფლის ბოლოს მცხოვრებ მდიდარ მემამულეს მიაკითხა და ამ კეთილშობილური საქმისთვის ფული სთხოვა. მდიდარმა ფერმერმა იდეა მოიწონა, მაგრამ წილში შესვლა არ ისურვა. ის მხოლოდ თანხის სესხებაზე იყო ყაბულს. საბრალო ჟენიას სხვა გზა აღარ დარჩენოდა და შორეული მეზობლისგან ფული ისესხა.

მოქანდაკემ საგანგებოდ დამზადებულ ყალიბში თაბაშირი იმავე დღეს ჩაასხა და გასაშრობად დრო დანიშნა. 48 საათის გასვლის შემდეგ ქანდაკება მზად იყო. თავზეხელაღებულმა (მალე მოგახსენებთ, თუ რატომაა თავზეხელაღებული) ჟენიამ მისი შედევრი ღამე ურმით სოფლის კულტურის სახლის ეზოში მიიტანა და საკუთარი ხელით ყველაზე წარმოსაჩენ ადგილზე დაამონტაჟა. დილით სამსახურში მისული კლუბის დირექტორი შოკში ჩავარდა. მოგვიანებით ყველაფერი გაირკვა და ევგენი იაბლონსკის მადლიერების ნიშნად სახელდახელო საღამო მოუწყვეს. კლუბის დირექტორმა სიტყვა დადო, რომ ჰიდინკის ძეგლი იმ ეზოში სამუდამო განსასვენებელს ჰპოვებს.

ევგენი იაბლონსკი მეორე დღეს ჟურნალისტების ტყვეობაში მოექცა. მას კორესპონდენტებმა ჩააკითხეს და ინტერვიუები ჩამოართვეს. ზემოთ თავზეხელაღებულობაზე ვსაუბრობდით, საქმე ის არის, რომ ევგენის ცოლისთვის ფულის მოპარვა ძალიან ძვირად დაუჯდა. მისი მეუღლე პურის საყიდლად გასულა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ საფულეში გროშიც არ ეგდო. გამწარებული სახლში დაბრუნებულა და საშინელი სკანდალი მოუწყვია. ცოლის მუშტების მიუხედავად, ევგენი მაინც ძალიან ბედნიერია. ეს ყველაფერი მან საგანგებოდ ჩასულ ჟურნალისტებს მოუყვა და განაცხადა, რომ ჩადენილ საქციელს არ ნანობს, რადგან ჰიდინკი მის თვალში მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელია. ასეთი სპეციალისტი კი ძეგლს ნამდვილად იმსახურებდაო.

სასაცილო ის არის, რომ ამ კურიოზული ამბის შესახებ თითქმის მთელმა საფეხბურთო სამყარომ შეიტყო. თავად განსაჯეთ, რუსეთის ნაკრების უკრაინელი ფანის თავგადასავალზე წამყვანი ესპანური გაზეთები ფართოდ და ამომწურავად წერდნენ. მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოებმა კი ეს ისტორია მოკლე ნიუსად გაავრცელეს, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ გუუს ჰიდინკმა ერთი მიყრუებული და ღმერთისგან მივიწყებული სოფლის მკვიდრი საქვეყნოდ ცნობილ ადამიანად აქცია.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ესპანეთი

## ფაბრეგასის აღსარება

### სესკმა ბოლო პენალტი 15 წლისამ დაარტყა...



სესკ ფაბრეგასი ესპანეთის ნაკრების ვარჯიშზე

იტალიის ნაკრების კარში გადამწყვეტი პენალტი **სესკ ფაბრეგასმა** გაიტანა. "არსენალის" ახალგაზრდა ვარსკვლავმა 11-მეტრიანი სრულიად აუღელვებლად დაარტყა და გენიალურ **ჯიჯი ბუფონს** შანსი არ დაუტოვა. ერთი შეხედვით, სრულიად ბანალური ისტორიაა, მაგრამ ერთ დეტალს თუ გავითვალისწინებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა მართლაც ბეწვის ხიდზე გაიარა. მხოლოდ ახლა გაირკვა, რომ ყბადაღებული გადამწყვეტი 11-მეტრიანი სრულიად გამოუცდელმა პენალტისტმა დაარტყა:

*"ბოლოს ოფიციალურ შეხვედრაში პენალტი მაშინ დავარტყი, როცა სულ რაღაც 15 წლის ვიყავი, თუმცა მაშინ საყმაწვილო ტურნირებში ვასპარეზობდი. რატომღაც ისე მოხდა, რომ მას შემდეგ ამის საშუალება არ მომცემია. როცა არაგონესმა სიაში ჩამწერა, თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილამდე ცივმა სისხლმა დამიარა, მაგრამ მთავარი მწვრთნელისთვის არაფერი მიგრძნობინებია. ლუისმა იცოდა, რომ ვარჯიშებზე 11-მეტრიანებს კარგად ვასრულებდი და ბოლო დარტყმის უფლება მომცა. უნდა ვაღიარო, რომ ერთია, როცა პენალტს ვარჯიშზე არტყამ და მეორე, როცა შენ წინ თვით ბუფონი დგას. ერთ წამში უამრავმა აზრმა გამიელვა, არ დავმალავ, ცოტა შემეშინდა კიდეც, მაგრამ როცა ბურთი გავასწორე, გეფიცებით, ყველაფერი დამავიწყდა. ასეთი ცივსისხლიანი არასოდეს ვყოფილვარ. ეს ცხოვრების გამოწვევა იყო. ბუფონისთვის აუცილებლად უნდა გამეტანა. მე მთელი ესპანეთი მიყურებდა და თავს ვერ შევირცხვენდი. თავიდან, ზუსტად იმ ადგილზე მინდოდა ბურთის გაშვება, სადაც იტალიელთა მეკარე გადახტა, მაგრამ ბოლო წამს გადავიფიქრე და ბურთს მიმართულება შევუცვალე. მართლა ლატარია იყო. ბუფონი მის ფიქრებში იყო ჩაძირული, მე კი ჩემსაში. ის მე მზვერავდა, მე კი მას. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ აბსოლუტურად გამოუცდელმა პენალტისტმა გენიალურ მეკარეს გაუტანა. ვერ გადმოვცემ იმ სიხარულს, რომელსაც იმ წამს ვგრძნობდი. ალბათ, ანი ალაფრის შემეშინდება. დიდი გამოცდილება მივიღე. გასაოცარია, მაგრამ ნერვების მოსათოკად მე არაფერი გამიკეთებია. ყველაფერი თავისთავად მოხდა".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

## მოიგე, დაისვენე და ლუდი დალიე

### სელექსიონის ბიჭებს ფინალში გამარჯვების შემთხვევაში იბისაზე უფასოდ დაასვენებენ

ესპანეთი ნაკრების უკლებლივ ყველა წევრს, ზღაპრული დასვენების შანსი გაუჩნდა. ამ ზღაპარს ისიც ალამაზებს, რომ არდადეგებზე მათ ერთი ცენტიც არ დაეხარჯებათ. მთავარია, "სელექსიონმა" ფინალში გაიმარჯვოს და მეფური საჩუქრები, რა თქმა უნდა არ დაახანებს. მაგალითად, უგემრიელესი ლუდის მწარმოებელი კომპანია "კრუსკამპო" ფინალში გამარჯვებას არ დაელოდა და "სელექსიონის" ფეხბურთელებს ნახევარფინალში გამარჯვების შემთხვევაში ფრიად ორიგინალური პრიზი დაუწესა. თითოეულ მოთამაშეს მისი წონის ეკვივალენტური რაოდენობის ლუდი ერგება. ლუის არაგონესის შეგირდების ხელფასების გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ მთელი ცისტერნა ლუდის ყიდვაც არ გაუჭირდებათ, მაგრამ უდავოა, ეს აქცია ბიჭებს ხალისს შემატებს.



თუ ესპანეთის ნაკრები ჩემპიონი გახდება...

ფინალში გამარჯვების შემთხვევაში "სელექსიონის" ვარსკვლავებს გაცილებით უკეთეს საჩუქარს გაუკეთებენ. გუშინ იბისას მერმა **ვისენტ მარტიმ** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"თუ ჩვენი ბიჭები, ფინალში გავლენ და თასს მოიპოვებენ, ესპანეთის ნაკრების უკლებლივ ყველა წევრს ჩვენი კურორტის ყველაზე ფეშენებელურ სასტუმროში დავპატიჟებთ და მომსახურების სრულ პაკეტს შევთავაზებთ. რა თქმა უნდა, სრულიად უფასოდ."*

ალბათ, გაინტერესებთ, მომსახურების სრულ პაკეტში რა შედის. საუბარია უფასო რესტორნებზე, აუზებზე, სპა ცენტრებზე, გოლფისა და ჩოგბურთის მოედნებზე. მათ განკარგულებაში იქნება მინი ფეხბურთის მოედანიც, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე მოთამაშეს ბურთთან გაკარების სურვილი ჰქონდეს. სრული მომსახურების პაკეტის მშვენება იახტებით შუა ზღვაში სეირნობის შესაძლებლობაა. აღსანიშნავია, რომ ნაკრების თითოეულ წევრს ინდივიდუალური იახტა მოემსახურება. და კიდევ, ფეხბურთელებს უფლება აქვთ, ცოლ-შვილთან ან შეყვარებულებთან ერთად დაისვენონ. რა თქმა უნდა, მათაც სრულიად უფასოდ მოემსახურებიან. იბისას მერიის ფინანსური განყოფილების ინფორმაციით ერთი კაცის მომსახურების პაკეტი არც მეტი, არც ნაკლები 17 ათასი ევრო ჯდება. იქვე განმარტავენ, რომ საგზურის სიძვირეს იახტების დაქირავება განაპირობებს, მაგრამ თუ "სელექსიონი" ევროპის ჩემპიონი გახდება, ბუნებრივია, არავინ არაფერს დაიშურებს.

ფინალში გამარჯვების შემთხვევაში, ესპანეთის ეროვნული გუნდი პირდაპირ იბისაზე არ გაემგზავრება. ჯერ არაგონესმა და მისმა ბიჭებმა ევროპის თასი მადრიდში უნდა ჩაიტანონ და უბრალო გულშემატკივრებს ღია ავტობუსიდან დაანახონ. ხალხი მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიჯერებს, რომ "სელექსიონის" გამარჯვება სიზმარი არ იქნება. ცეცხლოვანი ესპანური ფიესტის შემდეგ კი ეროვნული გუნდის ფეხბურთელები, მწვრთნელები, ექიმები, მასაჟისტები და ადმინისტრაციული კორპუსის თანამშრომლები თვითმფრინავში ჩასხდებიან და ღვთაებრივ იბისაზე დაუვიწყარ ერთკვირიან არდადეგებს გაატარებენ. გეგმები მართლაც ფანტასტიკურია, მაგრამ თუ ესპანეთი დარჩენილ ორ შეხვედრასაც არ მოიგებს, ლამაზი ზღაპარი მაშინვე მტანჯველ კოშმარად გადაიქცევა... თუმცა იბისას მერი დარწმუნებულია, რომ ეროვნული გუნდი ტიტულს დაისაკუთრებს. ამიტომ, დიდი დელეგაციის მასპინძლობისთვის მზადება უკვე დაწყებულია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

# ლიპი და ახალი აძურა

## დღეს დონადონის გაუშვებენ. გუშინ, BBC: დონადონი უკვე წასულია

იტალიური მედია ერთ აზრზეა იმაში, რომ **მარჩელო ლიპი** ნაკრების მთავარ მწვრთნელად ბრუნდება. დღეს **რობერტო დონადონი** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ჯანკარლო აბეტეს** კიდევ ერთხელ შეხვდება და ყველაფერი გაირკვევა. მანამდე, სინიორ აბეტეს კონსულტაციები ექნება ვიცე-პრეზიდენტ **დემეტრიო ალბერტინისთან**, ნაკრების მენეჯერ **ლუიჯი რივასა** და საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტ **ანტონიო მატარეზესთან**. სხვათა შორის, გუშინ BBC-მ მოვლენებს დაასწრო და დონადონი გადაყენებულად გამოაცხადა. ამას მოჰყვა იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ჯანი პეტრუჩის** კომენტარი: *"ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ჯანკარლო აბეტეს ბოლომდე ვენდობი და რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს, უსიტყვოდ მხარს დავუჭერ".*

ასეა თუ ისე, განქორწინება გადაწყვეტილია. რაკი დონადონის კონტრაქტი 2010 წლის 30 ივნისამდე ჰქონდა, ცხადია, "ფედერკალჩოს" მისთვის კომპენსაციის გადახდა მოუწევს. საუბარია 550 ათას ევროზე. მაგრამ რადგან ლიპი მოდის, მაშინ ნამდვილად ღირს. ეს ხომ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ **სვენ გორან ერიქსონს** მიუთვალა - 2 მილიონი გირვანქა. სასაცილოა, უბრალოდ...

ლიპის დანიშვნა რომ გადაწყვეტილია, ამას ერთი უბრალო ფაქტიც მოწმობს: პრესით გავრცელებული ინფორმაცია მარჩელოს არ უარყვია, და ეს მაშინ, როცა ადრე ოპერატიულად ეხმაურებოდა ჭორებს. ასეა, "სიგარიანი მაესტრო" ერთ მდინარეში მეორედ შედის, მაგრამ ის წინდახედული კაცია და იცის, რასაც აკეთებს. მან იტალიის ნაკრები უნდა განაახლოს. განახლება - მხოლოდ ახალ სახელებს არ ნიშნავს. იქნებ, ახალი ფილოსოფიაცაა საჭირო. საერთოდ, შენება ლიპის სტიქიაა. განახლებულ "სკუადრას" პრემიერა ორი წლის შემდეგ, მუნდიალზე ექნება. ისე კი, მუნდიალის სცენა ამისთვის მთლად კარგი ადგილი ვერ არის, ჩამოყალიბების პროცესისთვის მწვრთნელები შუალედად ევროპის ჩემპიონატს ირჩევენ ხოლმე. დონადონისაც შეეძლო, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ახალი გუნდის კონსტრუირება დაეწყო, მაგრამ ვერ გარისკა... ალბათ, არც უნდოდა. როგორი ამბავია მსოფლიო ჩემპიონებზე უარის თქმა?



რობერტო დონადონი და ჯანკარლო აბეტე



ლიპი ისევ მუნდიალისკენ იხედება

ლიპი კი მზად არის ამისთვის. ის და "მისი" გუნდი ერთმანეთთან ვალმოხდილები არიან. ახლა, დიდი ფეხბურთის სცენაზე სხვა სახელებიც უნდა გამოვიდნენ. ტექნიკური შტაბი უკვე დაკომპლექტებულიაო, ამბობენ: ასისტენტი **ნარჩიზო პეცოტი**, ექიმი **ენრიკო კასტელაჩი**, ფიზმომზადების სპეციალისტი **კლაუდიო გაუდინო** და მეკარეთა მწვრთნელი **ივანო ბორდონი**. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, შტაბში იქნებიან **ჩირო ფერარაცა** და **ანჯელო პერუციც**.

რაც შეეხება კრებულს. სავარაუდოდ, ლიპი რევოლუციას არ დაიწყებს. ეს იქნება ევოლუციური პროცესი. ის ახალ სისხლს გუნდს ნელ-ნელა, მეთოდურად გადაუსხამს, შესარჩევი ციკლი ამის საშუალებას მისცემს. საბოლოოდ, "აძურა" მუნდიალისთვის უნდა დალვინდეს. ჯერჯერობით, ლიპის განკარგულებაში რჩებიან: **ბუფონი, ამელია, ძამბროტა, გროსო, კიელინი,** აუცილებლად **კანავარო**, მერე **ბარძალი, დოსენა**, შესაძლოა, **მატერაცი** და ნეაპოლელი **სანტაკროჩეც**, ჯერჯერობით, დარჩებიან **გატუზო, ამბროზინი, პირლოსა** და **დე როსიზე** საუბარიც არ არის, ისევე, როგორც **პეროტასა** და **კამორანეზიზე**. ძირითადში უფრო მეტს ითამაშებს **აკვილანი**, რომელიც ნელ-ნელა ჩაანაცვლებს "ბებერ" გატუზოს ან ამბროზინის, აქვე უნდა ვიგულისხმოთ ფიორენტინელი **მონტოლივოც**. ახალი სახე იქნება სამპდორიელი მარჯვენა მცველი **მაჯო**. თავდასხმაში კი **ტონი, კასანო** და **ბორიელო** იქნებიან, დიდი ალბათობით **ამაურიც**.

მთლად ახალი ფიგურები იქნებიან **დე სილვესტრი, მოტა, მარკიზიო, ჯოვინკო, ბალოტელი** და შეიძლება, სხვებიც. ამაურიზე ცალკე უნდა შევჩერდებით. მას ბრაზილიის ნაკრებშიც შეიძლება ჰქონდეს მომავალი, მაგრამ ჯერჯერობით, **კარლოს დუნგა** ჯიუტად არ იწვევს ეროვნულ გუნდში. დუნგას კი ცუდად აქვს საქმე. არ არის გამორიცხული, ამაური სამწვრთნელო ცვლილებას დაელოდოს და გადაწყვეტილებაც ამის მიხედვით მიიღოს. თუმცა ცნობილი ამბავია, რომ ახალი იუვენტინო იტალიის ნაკრებში თამაშს ანიჭებს უპირატესობას. ეგ არის, თუ სიტუაცია შეიცვალა, იქნებ, სამშობლოსკენ გაუწიოს გულმა...

### ტოტი და ნესტა დაბრუნდებიან?

გუშინ იტალიურ პრესაში დაახეთქეს, თითქოს **ფრანჩესკო ტოტი** და **ალესანდრო ნესტა** ნაკრებისკენ პირს იბრუნებენ, თუკი **მარჩელო ლიპიც** დაბრუნდება. ნესტა ჰო, მაგრამ ტოტი გამორიცხული გვგონია. ეს, ალბათ, ვარაუდი შეიძლება იყოს. თავის დროზე, ორივემ იმიტომ დატოვა "სკუადრა აძურა", ამდენ ფრონტზე თამაშს რომ ველარ აუდიოდნენ. თუმცა ნესტამ მაშინვე მიანიშნა - ვინ იცის, რა მოხდება სამი წლის შემდეგო. გუშინდელ ამბებზე მათ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ევროს ვარსკვლავი

# ვენგერი არშავინის რიგში ჩადგა

## ადებაიორს გაყიდიან, თუ რუსი ფორვარდი ლონდონში გადავა, ნასრის ტრანსფერი კი ჯერაც არ დასრულებულაო

"მირორის" ცნობით, "არსენალმა" **ანდრეი არშავინის** შეძენა გადაწყვიტა. "მეთოფეებმა" "ზენიტს" 10 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. პოპულარულმა ტაბლოიდმა გვაუწყა, რომ **არსენ ვენგერი** პირადად შეეხმიანა პეტერბურგელთა თავკაც **დიკ ადვოკაატს**. საუბარი, რა თქმა უნდა, არშავინის ტრანსფერს შეეხო. მოსიე არსენი რუსეთი-შვედეთის მატჩს (2:0) დაესწრო და რუსი ნახევარმცველის შთამბეჭდავი თამაში ნახა. "მირორს" არაფერი უთქვამს იმის შესახებ, იმყოფებოდა თუ არა ვენგერი ჰოლანდია-რუსეთის მეოთხედფინალზე. არშავინი ამ შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

ვენგერი პეტერბურგელი ვარსკვლავის თემას გუშინ გამოეხმაურა. "ეკიპთან" ინტერვიუში მას არ დაუმალავს, რომ ფეხბურთელი ძალიან მოსწონს, მაგრამ "ზენიტის" წარმომადგენლებთან არ უსაუბრია და არც გარიგების დეტალები განუხილავს.

თუ რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავა, ეს შესაძლოა, საკმარისი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ არშავინი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელონ. ანდრეის გუნდმა "ზენიტმა" უეფას თასი მოიგო და რუსეთის ჩემპიონი გახდა. ნაკრების წარმატება ფეხბურთელის შანსებს ერთი-ორად გაზრდის, მიიჩნევენ ევროპელი მიმომხილველები.

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ესპანური გაზეთები არშავინით "რეალის" დაინტერესების თაობაზე გაკვრით წერდნენ. გრანდებზე მეტად, "ევერტონისა" და "ნიუკასლის" დონის კლუბები აქტიურობდნენ. ევროს ორი თამაში საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ არშავინი საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩენილიყო. "მილანი", "ბარსელონა", "არსენალი" და რა თქმა უნდა, "ჩელსი" (**რომან აბრამოვიჩის** გამო) - ეს იმ კლუბების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც ფეხბურთელით დაინტერესება გამოთქვეს.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ არშავინის საოცნებო კლუბი "ბარსელონაა". ეს კომენტარი ეწინააღმდეგება ევროპულ პრესაში დაახლოებით ერთი კვირის წინ გამოქვეყნებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ არშავინმა კატალონიური გრანდი უარით გაისტუმრა. სტატია სპეკულაციებზე იყო აგებული. მასში ეწერა, რომ არშავინს "ზენიტში" ასტრონომიულ ხელფასს უხდიან (სხვადასხვა შეფასებით, ფეხბურთელის წლიური ანაზღაურება 3-5 მილიონი ევროა). ამიტომაც უცხოეთში წასვლას არ აპირებს.

*"არშავინი? მიმაჩნია, რომ ის ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენაა, - უთხრა ვენგერმა "ეკიპს", - გუნდის თამაშზე ამხელა ეფექტს მხოლოდ დიდი ფეხბურთელები ახდენენ. გვინდა თუ არა მისი "არსენალში" ჩამოყვანა? როგორც ყოველთვის, ეს საკითხიც სპეკულაციების საგანი გახდა, თუმცა მე არც მას შევხვედრივარ და არც მის წარმომადგენელს."*

გაზეთი "მარკა" **ემანუელ ადებაიორს** მორიგ სტატიას უძღვნის. რამდენიმე დღის წინ ესპანურმა მედიამ გვაუწყა, რომ ტოგოელი თავდამსხმელი "ბარსელონაში" ჩაირიცხა. ინფორმაციის წყაროდ "ბარსელონის" პრესსამსახური იყო მითითებული. მეორე დღეს "გაძეტა დელო სპორტმა" მოგვახსენა, რომ საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი: ადებაიორს "მილანში" გადასვლა უნდა და იმედოვნებს, რომ სწორედ "როსონერიში" გაყიდიან.

"მარკა" იუწყება, რომ ადებაიორის "არსენალიდან" აზარგება დამოკიდებულია არშავინის ტრანსფერზე - თუ "მეთოფეები" რუს ფეხბურთელთან გააფორმებენ კონტრაქტს, ემანუელს დაუყოვნებლივ გაყიდიან. თუ არა, აფრიკელ ბომბარდირს, შეიძლება, დარჩენა მოუხდეს.

შეგახსენებთ, "ბარსელონა" ლონდონელებს 27 მილიონ ევროს სთავაზობს. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.



ანდრეი არშავინი

"არსენალზე" საუბარს სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. ორშაბათს, **სამირ ნასრის** პერსონალურმა ვებგვერდმა გვაუწყა - ლონდონელებთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, სამირმა "მეთოფეებთან" კონტრაქტი გააფორმაო. ორი საათის შემდეგ, ეს ცნობა საიტიდან გაქრა. ფეხბურთელის აგენტმა **ჟან პიერ ბერნესმა** კი განაცხადა, ტრანსფერის სრულყოფაზე საუბარი ნაადრევია, მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გრძელდებაო.

"არსენალი" "მარსელს" 13 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ფრანგული კლუბი თანახმაა. როგორც ამბობენ, ფეხბურთელს კონტრაქტის პერსონალური დეტალები უკვე შეთანხმებული აქვს. ესე იგი, გარიგება ფაქტობრივად დასრულებულია. მიმომხილველებს ვერ გაუგიათ, რას ნიშნავდა ნასრის საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის წაშლა. ამიტომ ეჭვობენ, ახალგაზრდა ვარსკვლავს სხვა სარფიანი ვარიანტები ხომ არ გამოუჩნდაო.

ვენგერი ვალენსიელ გარემარბ **დავიდ სილვას** ეპატიჟება. "სანის" მტკიცებით, "მეთოფეებს" ეს ბიჭი **ალექსანდრ გლების** შემცვლელად სურთ. "ღამურები" ფეხბურთელს 20 მილიონ გირვანად აფასებენ. მოსიე არსენმა "მეთოფეებს" მოლაპარაკებების დაწყება სთხოვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვენგერი ევროპის ჩემპიონატზე იმყოფება. ის იტალიისა და ესპანეთის მეოთხედფინალს დაესწრო. 22 წლის სილვას კვლავ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. "არსენალის" თავკაცი დარწმუნებულია, რომ ფეხბურთელი მის გუნდს დიდ სამსახურს გაუწევს. ეს ინფორმაცია "სანს" "მეთოფეებთან" დაახლოებულმა წყარომ მიაწოდა.

აქვე გეტყვით, რომ დავიდ სილვას "ლივერპულიც" ეპატიჟება. ესპანური სააგენტოების ცნობით, ფეხბურთელის შეძენა "ინტერსა" და "ბარსელონასაც" სურთ. ცნობისათვის, ლივერპულელთა მთავარი სკაუტი ის **ედუარდო მასიაა**, რომელმაც სილვა "ვალენსიის" სარეზერვო გუნდში მიიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლემპარდი და მოურინიო ისევ ერთად?

## ჟოზე ყოფილ კლუბს ინგლისელი ნახევარმცველის ტრანსფერზე უნდა შეუთანხმდეს...

ინგლისური სააგენტოების ცნობით, **ჟოზე მოურინიომ** საზაფხულო შვებულება შეწყვიტა და მილანში გაემგზავრა. მწვრთნელი პირადად გაუძღვება მოლაპარაკებებს "ჩელსისთან" და შეეცდება, **ფრენკ ლემპარდი** იტალიაში გადაიყვანოს.

ლემპარდი მოურინიოს ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია. მათ განსაკუთრებულ ურთიერთობას ჟოზეს "ჩელსიში" მოღვაწეობისას ჩაეყარა საფუძველი. მოურინიოს ლონდონიდან წასვლის შემდეგ, გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ლემპარდის აბარგებაც გარდაუვალი იყო. ფეხბურთელს "ჩელსის" დატოვების თაობაზე არაფერი უთქვამს, თუმცა არც ახალ კონტრაქტზე მოუწერია ხელი. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ფრენკი პრემიერლიგის ერთ-ერთი უმდიდრესი ფეხბურთელი გახდება.

30 წლის ლემპარდს მთელი კარიერა პრემიერლიგაში აქვს გატარებული. ის "ჩელსიში" 2001 წელს "ვესტ ჰემიდან" გადავიდა. ფეხბურთელმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ სიამოვნებით მოსინჯავდა ძალებს უცხოეთში. მიმომხილველები ფრენკს ერთხმად უწინასწარმეტყველებდნენ "ბარსელონაში" გადასვლას. მისი მეგობარი გოგონა კატალონიელია. ლემპარდს არასოდეს დაუმალავს, რომ "ჩელსის" შემდეგ, ყველაზე მეტად "ბარსას" გულშემატკივრობს.

მაგრამ როგორც ჩანს, მას "ბარსელონაში" თამაში არ მოუწევს. თუ ლემპარდი ინგლისიდან წავა, ის "ინტერში" ჩაირიცხება. "სანის" ცნობით, ტრანსფერის ალბათობა საკმაოდ მაღალია. ამას მოწმობს მოურინიოს განსაკუთრებული აქტიურობა, რომელიც მილანში დაგეგმილზე ხუთი დღით ადრე გამოცხადდა.

"სანში" ვკითხულობთ, რომ ჟოზე ლონდონში დღეს ან ხვალ გაემგზავრება და ყოფილი კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს გამართავს. უცნობია, რა თანხას შესთავაზებს მოურინიო "ჩელსის". ერთი კვირის წინ "არისტოკრატებმა" 6.6 მილიონ გირვანქაზე თავაზიანი უარი განაცხადეს. ლემპარდის ფასი, შეიძლება, 10 მილიონამდე გაიზარდოსო, წერს "სანი".




იუვენტუსი

# ტრეზეგე მონაკოს არ დაუთმეს

## ტურინელებს 15 მილიონი ეცოტავათ




დავიდ ტრეზეგე

"ტუტოსპორტის" ცნობით, "იუვენტუსმა" "მონაკოს" **დავიდ ტრეზეგეს** გაყიდვაზე უარი უთხრა. პრინსიპატულმა კლუბმა "ქალბატონს" 15 მილიონი ევრო შესთავაზა. მონაკოელებს იმედი არ დაუკარგავთ. ისინი "იუვესთან" მოლაპარაკებების გაგრძელებას აპირებენ. ტრეზეგემ სერია A-ს ბოლო სეზონში 20 გოლი შეაგდო. ტურინელები თავდასხმის გაძლიერებას აპირებენ და პალერმოელ **ამაურის** ეპატიჟებიან. მიმომხილველთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამაურის ტრანსფერი ტრეზეგეს პოზიციებს საგრძნობლად შეასუსტებს. ამიტომაც ფრანგ ვარსკვლავს აბარგებას უწინასწარმეტყველებს.

"იუვენტუსი" უარყოფს, რომ ტრეზეგეს გაყიდვა სურს. ამის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობა "მონაკოსთან" მოლაპარაკებებს სიამოვნებით დათანხმდა. გარიგება იმიტომ არ შედგა, რომ ტურინელები შეთავაზებულმა თანხამ არ დააკმაყოფილა. "ტუტოსპორტის" მტკიცებით, "ქალბატონი" 25 მილიონ ევროს ითხოვს და შეღავათის გაკეთებას არ აპირებს.

ტრეზეგე "იუვენტუსში" "მონაკოდან" 2000 წლის ზაფხულში გადავიდა. ის პრინსიპატში 1995-2000 წლებში თამაშობდა და 93 მატჩში 52 გოლი შეაგდო. მისი ტურინული მონაგარი უფრო შთამბეჭდავია - 216 მატჩი და 130 გოლი.

ტრეზეგეს აგენტი **ანტონიო კალიენდო** ამბობს, რომ ფეხბურთელს ტურინში დარჩენა სურს. ბოლო დღეებში, აღარაფერი ისმის "ბარსელონიდან". დავიდს მთელი წლის განმავლობაში კატალონიაში ტრანსფერს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ "ბარსაში" მთავარი მწვრთნელი შეიცვალა. **ხოსეპ გუარდიოლას** კი ტრანსფერების სია ჯერ არ ჩამოუწერია.

"ტუტოსპორტის" მტკიცებით, აგვისტოს ტრანსფერებისას "იუვენტუსს" რომაელი ნახევარმცველი **ალბერტო აკვილანი**, პორტუგალ გარემარბი **რიკარდო კვარეშმა** და სარაგოსელი თავდამსხმელი **დიეგო მილიტო** სურს.

იმასაც გეტყვით, რომ "იუვემ" "მონაკოსთან" ბრაზილიელი **სერჟიო ალმირონის** საკითხი განიხილა. ეს უკანასკნელი ტურინელთა საკუთრებაა და "მონაკოში" იჯარით თამაშობს. მისი საიჯარო კონტრაქტი ერთი წლით გახანგრძლივდა.

მილანი

# მორიგი მუქარა

## გალიანიმ ჟურნალისტებს გული გადაუშალა: რატომ ვერ ახერხებს იტალიური გრანდი თავდამსხმელის შეძენას...

"მილანის" ხელმძღვანელობას ისევ ემუქრებიან. კლუბმა ფოსტით მიიღო კონვერტი, რომელშიც მუქარის შემცველი წერილი და ერთი ტყვია იდო. ამ ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს.

ფოსტა "როსონერის" ცენტრალურ ოფისში მიიტანეს. ის მილანის ცენტრში, ვია ტურატიზე მდებარეობს. მუქარა მიმართული იყო კლუბის ვიცე-პრეზიდენტის, **ადრიანო გალიანისა** და მფლობელის, **სილვიო ბერლუსკონის** წინააღმდეგ. შეგახსენებთ, ეს უკანასკნელი იტალიის პრემიერ-მინისტრია. მილანელებმა ანალოგიური წერილი ორი თვის წინაც მიიღეს. პოლიციას ბოროტმოქმედის გამოვლენა არ გასჭირვებია. დაკავებულმა განაცხადა, რომ ის იმედგაცრუებული იყო "მილანის" უსახური სეზონით. ამიტომ ბრაზი ამ ფორმით გამოხატა. "როსონერიმ" განვლილი სეზონი იმდენად სავალალოდ ჩაატარა, რომ ჩემპიონთა ლიგაშიც კი ვერ გავიდა. ეს მრავალი წლის განმავლობაში პირველად მოხდა. რა გასაკვირია, რომ გულშემატკივრები უკმაყოფილონი არიან. თუმცა ეს მათ მუქარებს არ ამართლებს. პოლიციამ გამოძიება უკვე დაიწყო და იმედი აქვს, რომ ავის მოსურნეს უმოკლეს დროში მოიხელთებს.

"გაძეტას" ვარაუდით, ბოროტმოქმედი "მილანის" გულშემატკივართა რადიკალური ფრთის, "ულტრასის" წევრი უნდა იყოს. მოძალადე გულშემატკივრები იტალიური ფეხბურთის მოურჩენელი სენია. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და ქვეყნის ხელისუფლება ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ერთობლივად მუშაობს, თუმცა საგრძნობი პროგრესის მიღწევა ვერ ხერხდება.



"მილანის" თემას სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. გალიანი აღიარებს, რომ კლუბს უმაღლესი კლასის თავდამსხმელის შეძენა უჭირს: "ზოგიერთი ჟურნალისტის მტკიცებით, ჩვენ კლაას იან ჰუნტელაარი გვსურს. ჩემი აზრით, ის მარკო ბორიელოს არაფრით ჯობია ("როსონერიმ" ბორიელოს სატრანსფერო უფლებათა 50 პროცენტი გენუელთაგან ერთი კვირის წინ გამოისყიდა და ფეხბურთელის სრულფასოვანი მფლობელი გახდა). ქარიმ ბენზემას სიამოვნებით შევიძენდით, მაგრამ "ლიონი" ასტრონომიულ თანხას ითხოვს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი გაყიდვა უბრალოდ არ სურს. ადრიან მუტუს არ დავკავშირებივართ. ის უკანდახეული თავდამსხმელია. ჩვენ კი ამ პოზიციაზე ალეშანდრე პატო გვყავს. არც ანტონიო კასანოს ამბები გამოგვიკითხავს. "ჩელსიმ" გვითხრა, რომ დიდიე დროგბას გაყიდვას არ აპირებს. "ბარსელონამ" სამუელ ეტოო ძალიან ძვირად დაგვიფასა. ამას გარდა, ეტოო ძალიან მაღალ ხელფასს ილებს. არა მგონია, რომელიმე იტალიური კლუბი მზად იყოს ამხელა ანაზღაურების გადასახდელად."

გალიანიმ თავისი კომენტარი **რონალდინიოზე** საუბრით დაასრულა: "არ არის მართალი ინფორმაცია, თითქოს კონტრაქტი შევთავაზეთ. როგორც ვიცი, მან ინგლისიდან ზღაპრული წინადადება მიიღო. ჩვენ ანალოგიური პირობების შეთავაზება არ შეგვიძლია. შესაბამისად, რონალდინიოს შეძენა არარეალურია."

### ჩელსი: ახალი წინადადება დეკუს

"ჩელსიმ" **დეკუ სოუზას** გაუმჯობესებული კონტრაქტი შესთავაზა. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. ბარსელონელ ნახევარმცველს "ინტერმაც" დაადგა თვალი. "არისტოკრატებს" ფეხბურთელის ხელიდან გაშვება არ სურთ. ლონდონში გადასვლის შემთხვევაში, დეკუს კვირაში 92 ათას გირვანქას გადაუხიან. ამ თანხას ის გადასახადების გამოქვითვის შემდეგ, ხელზე აიღებს. კვირაში 92 ათასი გირვანქა 25 პროცენტით აღემატება ხელფასს, რომელსაც დეკუს "ბარსელონაში" უხდიდნენ. ფეხბურთელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ახალი სამსახურის მოძებნა. ის არჩევანს ინგლისურ და იტალიურ გრანდებს შორის, მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში გააკეთებს.

### ბარსელონა მუტუზე დაფიქრდა

"ბარსელონა" თავდამსხმელს ეძებს. **ემანუელ ადებაიორთან** დაკავშირებული გაუგებრობის გამო, კატალონიელებმა სათადარიგო ვარიანტებზე დაიწყეს მუშაობა. მათ **ადრიან მუტუს** დაადგეს თვალი. რუმინელი ფორვარდი "ფიორენტინის" საკუთრებაა. მას ფლორენციულ კონტრაქტში ერთი წელი დარჩა. "იებმა" ფეხბურთელს უკვე შესთავაზეს თანამშრომლობის გაგრძელება. ფეხბურთელი ამ საკითხის განხილვას შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ აპირებს. "დიარიო სპორტის" ცნობით, ბარსელონელი ემისარი ადრიანის აგენტს შეეხმიანა. კატალონიელებს ის **სამუელ ეტოოს** შემცვლელად სჭირდებათ. სპეკულაციების თანახმად, მუტუ "მილანსაც" სურს, თუმცა მილანელთა ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** ინფორმაცია არ დაადასტურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი
# მეორე ტაიმი პირველს სჯობდა

**უნივერსიტეტი–ლელო 19:25**

უნივერსიტეტი (15-9): კავთიძე, ნუცუბიძე, კუპრეიშვილი, ლუკა კილასონია, გოგეშვილი, ბაირამაშვილი, გოგია. (1-8) ქორიძე, კაკოვინი, ალადაშვილი, მჭედლიძე, მასხარაშვილი (დონაძე 51), ლადო კილასონია (ზამბახიძე 57), ტუჩაშვილი. გუნიავა

*3 ლ (ალადაშვილი, კუპრეიშვილი, გოგია); 2 გ (კუპრეიშვილი)*

სინბინი: კავთიძე

ლელო (15-9): ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, მანჯავიძე, ცერცვაძე (ჯოგლიძე 41), ხმალაძე, ჭინჭარაული. (1-8) სანიკიძე (მჭედლიშვილი 45), ცხოვრებაშვილი (სხილაძე 69), სუჯაშვილი (ცხაკაია 62), ჩხეიძე, ახალაია, მაისურაძე, ქიზიყურაშვილი, კოლელიშვილი

*2 ლ (ჯოგლიძე, მანჯავიძე); 4 ს, ა: ყიასაშვილი*

სინბინი: მაისურაძე, ახალაია

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ლელომ" მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ახალგაზრდა მორაგბეებით დაკომპლექტებული „უნივერსიტეტის" დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა 25:19 მოიგო.

შეხვედრის პირველი ტაიმი მთლიანად „ლელოს" უპირატესობით წარიმართა. ძალთა თანაფარდობა არც მაშინ შეცვლილა, როცა მატჩის არბიტრმა სინბინში ერთბაშად ორი ლელოელი გაუშვა. აშკარა სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, უნივერსიტეტელთა დაცვამ მოწინააღმდეგეს ლელოს გატანის საშუალება არ მისცა. ლელოელები მხოლოდ ფულ ბეკის **ირაკლი ყიასაშვილის** მიერ გატანილ სამ საჯარიმოსა და ერთ არეკნს დაყაბულდნენ და ტაიმი მშრალი ანგარიშით 12:0 მოიგეს.

ვითარება მოედანზე არც მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში შეცვლილა. 51-ე წუთზე „ლელომ" პირველი ლელო მიითვალა. მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში მორკინალებმა რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს, რაკში მოწინააღმდეგე უხვად ჩაითრიეს, რამაც ხაზზე „ლელოს" რიცხობრივი უპირატესობა შეუქმნა. რაკიდან ბურთი **გიორგი ჭინჭარაულმა** მარცხნივ გრძელ ფრთაზე გაიტანა. **ლაშა ხმალაძემ** ერთის გამოტოვებით შეცვალზე შემოსულ **გოდერძი ჯოგლიძეს** გადააწოდა, რომელსაც ჩათვლის მოედანში შეღწევაში ხელი ვერავინ შეუშალა. ყიასაშვილმა გარდასახვა ვერ გაიტანა 17:0.

ანგარიშში საგრძნობლად დაწინაურებული „ლელო", როგორც ჩანს, ნაადრევად დამშვიდდა, რითაც „უნივერსიტეტმა" კარგად ისარგებლა და 57-ე და 62-ე წუთებზე ორი ლელოს გატანა მოახერხა, რომელთაგან **ბესო კუპრეიშვილმა** მხოლოდ ერთის გარდასახვა მოახერხა 12:17.

ბრწყინვალედ ათამაშებული უნივერსიტეტელების ძალისხმევა თითქოს 68-ე წუთზე ლელოელთა შუამარბის **ალექსანდრე ბანჯავიძის** ლელოს უნდა გაექარწყლებინა, მაგრამ არა. 78-ე წუთზე მათ კიდევ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს. მარჯვენა ფრთაზე მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ათ მეტრში უნივერსიტეტელებმა საჯარიმო გაითამაშეს, მორკინალთა ორი მოკლე დარტყმის შემდეგ ბურთი მარცხნივ გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშეს და ალამთან ახლოს ლელო ბესო კუპრეიშვილმა გაიტანა, რომელიც ზედ კიდედან თვითონვე გარდასახა 19:22.

დარჩენილ დროში სამქულიანი დეფიციტის აღმოფხვრა სავსებით რეალური იყო, თუმცა „ლელომ" შეძლო ძალების მობილიზება, უკანასკნელი წუთები შეტევაში, მეტოქის ნახევარზე გაატარა და ბოლო წამებზე ყიასაშვილმა კიდევ ერთი საჯარიმოთი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა 25:19.



ლელოს შეტევა, ბურთით ლაშა ახალაია — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**საქართველოს ჩემპიონატი**

**V ტური**

| | |
|---|---|
| აია-დინამო | 25:20 |
| არმაზი-ყოჩები | 17:19 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 4 | 4 | 0 | 0 | +78 | 8 |
| 2. ლელო | 5 | 4 | 0 | 1 | -9 | 8 |
| 3. ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | +35 | 6 |
| 4. აია | 5 | 2 | 1 | 2 | 0 | 5 |
| 5. უნივერსიტეტი | 5 | 2 | 1 | 2 | -17 | 5 |
| 6. აკადემია | 5 | 2 | 0 | 3 | -19 | 4 |
| 7. არმაზი | 5 | 1 | 0 | 4 | -33 | 2 |
| 8. დინამო | 5 | 0 | 0 | 5 | -35 | 0 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

## პლაჟბურთი. მსოფლიო ტური
# საქა-რთველომ კვალიფიკაცია დაძლია

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში მსოფლიო ტურის გათამაშების მორიგი ეტაპი დაიწყო. ქართული წყვილები ასპარეზობას კვალიფიკაციიდან იწყებენ. ქალთა შორის **საქა-რთველომ** ორივე შეხვედრაში გამარჯვებას მიაღწია და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა.

პირველი შეხვედრა ჩვენმა ფრენბურთელებმა რეკორდულად მცირე დროში 30 წუთში დაასრულეს. პირველ სეტში მათ სამხრეთ აფრიკელებს **აუგუსტიდისსა** და **ნეილს** შანსი არ დაუტოვეს და 21:6 დაამარცხეს. მეორე სეტში საქართველომ, როგორც ჩანს, ყურადღება მოადუნა და მხოლოდ 21:16 დასჯერდა.

მეორე გადამწყვეტი შეხვედრა საქართველოსთვის შედარებით მძიმე გამოდგა, თუმცა ფილიპინელების **ილუსტრტესა** და **პასკუას** დამარცხება მაინც ორ სეტში შეძლეს 22:20, 21:12.

ვაჟთა შორის ქართული დუეტი **გეორგია** კვალიფიკაციაში დღეს ჩაერთვება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## მძლეოსნობა. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი
# 3 მედლით, მაგრამ ულიცენზიოდ

სლოვაკეთში დასრულდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც ჩვენი ქალთა და ვაჟთა გუნდებიც ასპარეზობდნენ. შეჯიბრება ჩვენთვის უფრო იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ ქართველი მძლეოსნები პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების აღებას ცდილობდნენ. მართალია, სლოვაკეთიდან 3 მედალი ჩამოვიტანეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ლიცენზიებს ვერ შევწვდით.

გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ყარამან საბანაშვილი**.

– სლოვაკეთში ქალებში 9, ვაჟებში კი 16-კაციანი გუნდით გამოვედით. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 ქვეყანა.

საბოლოოდ, 3 მედალი მოვიპოვეთ. დავით ილარიანმა 110 მეტრ თარჯრბენზე დისტანცია 14,06 წამში დაფარა და ვერცხლის მედალი ხვდა, მაგრამ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია ვერ აიღო - ნორმატივია 13,72 წამი.

უროს ტყორცნაში, ასევე მეორე ადგილი დაიკავა ლერი ჩიტაიშვილმა, რომელმაც 61,51 მეტრზე გადააგდო იარაღი. ბრინჯაოს მედალი კი სალომე რიგიშვილმა მოიპოვა - მან ბადრო 47,69 მეტრზე ტყორცნა.

რაც შეეხება გუნდურ შედეგებს, ვაჟებში მეშვიდეები ვიყავით, ქალებში კი მეათე ადგილი გვერგო.

ახლა წინ ისრაელის საერთაშორისო ტურნირია, რომელიც 2-3 ივლისს გაიმართება და იქაც ვიბრძოლებთ ლიცენზიებისთვის. რაკილა პეკინის საგზურის მოპოვების ყველაზე რეალური კანდიდატი დავით ილარიანია, იგი აუცილებლად წავა ისრაელში. გუნდის დანარჩენ წევრთა ვინაობას კი ამ დღეებში დავასახელებთ.

**კობა ხატისაშვილი**

# საქართველო მესამე ლიგაში

2009 წელს პორტუგალია ისტორიაში ევროპის პირველ გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს მძლეოსნობაში. ამის შესახებ გადაწყვეტილება ევროპის მძლეოსნობის ასოციაციამ გუშინ მიიღო. პირველი ჩემპიონატი ზუსტად ერთი წლის მერე, 20-21 ივნისს გაიმართება. ნაკრები გუნდები ოთხ ლიგად დაიყო, სუპერლიგაში 12 ნაკრებია (რუსეთი, ბრიტანეთი, პოლონეთი, გერმანია, იტალია. ესპანეთი, საფრანგეთი, უკრაინა, სა..ბერძნეთი, შვედეთი, ჩეხეთი და პორტუგალია). საქართველოს ნაკრები მძლეოსნობაში ყველაზე დაბალ, მესამე ლიგაში იასპარეზებს, სადაც სულ 14 ნაკრები იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## პრესკონფერენცია
# კორფუზე ჩვენი გავიტანეთ



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლევან მაისაშვილი, ნიკოლოზ ჭავჭავაძე და გიორგი ნიჟარაძე

საბერძნეთის კუნძულ კორფუზე გასულ კვირას FIRA AER-ის კონგრესი გაიმართა, სადაც ევროპული რაგბის მრავალი საჭირბოროტო საკითხი განიხილეს. კონგრესის მუშაობაში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** და ვიცე- პრეზიდენტმა **კოკა ლაზიშვილმა** მიიღეს მონაწილეობა. კონფერენცია ბუქარესტში IRB-ის ერთა თასის გათამაშების დასასრულს დაემთხვა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა **ნიკოლოზ ჭავჭავაძემ** და **ლევან მაისაშვილმა** რაგბის კავშირის პრეზიდენტთან ერთად პრესკონფერენცია გამართეს.

გიორგი ნიჟარაძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„კონგრესზე ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ერთა თასის მომავალი გათამაშების განრიგის დადგენა იყო, რომელიც ამავდროულად 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირიცაა. კორფუში გამგზავრებამდე შევიმუშავეთ ჩვენი გუნდისთვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი. მიზანი იყო, ბორჯღალოსნებს IRB-ის მიერ გამოყოფილ სპეციალურ დღეებში ეთამაშათ, რაც საშუალებას უსპობს ფრანგულ კლუბებს, ნაკრებში სათამაშოდ არ გამოუშვან ჩვენი მორაგბეები.

მიზანი მიღწეულია. წინააღმდეგობა გვქონდა გერმანიის, ესპანთისა და რუსეთის წარმომადგენლების მხრიდან, თუმცა ჩვენი ვარიანტი მაინც გავიტანეთ. ერთადერთი ცვლილება ისაა, რომ ჩვენს მიერ დაგეგმილ 7 მარტის ნაცვლად, რუმინელებს 14 მარტს ვუმასპინძლებთ. უნდა აღინიშნოს, რომ კონგრესზე ნათლად გამოჩნდა, რაოდენ მკვეთრადაა გაზრდილი ქართული რაგბის ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე. კონგრესის მსვლელობისას FIRA AER-ის პრეზიდენტმა **ჟან კლოდ ბაკემ** საზოგადოებას, ბუქარესტში საქართველოს ნაკრების მიერ იტალიის A ნაკრების ძლევა ამცნო. კონგრესის მონაწილეები ფეხზე წამოდგნენ და ისე გამოხატეს თავისი დამოკიდებულება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის დამარცხება აღიქვა არა სენსაციად, არამედ როგორც ლოგიკური მოვლენა.

კონგრესს ესწრებოდა IRB-ის მაღალჩინოსანი **დევიდ კერიჯი**, რომელმაც თავის გამოსვლაში არაერთხელ აღნიშნა და სამაგალითოდ დაასახელა საქართველოს რაგბის კავშირისა და ქვეყნის ხელისუფლების თანამშრომლობა, ასევე მრავალჯერ ახსენეს საქართველოში რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ასევე ის ფაქტიც, რომ ევროპული სარაგბო ქვეყნები კონსოლიდაციას იწყებენ. ყველას აზრით, უკვე დროა, გაიმართოს ევროპის ჩემპიონატი. აღარ იყოს დაყოფილი ქვეყნები ელიტარულ და არაელიტარულ სარაგბო ქვეყნებად. თუმც ამის მისაღწევად ძალიან დიდი შრომატევადი სამუშაოები იქნება ჩასატარებელი. გაჩნდა იდეა, რომ საწყის ეტაპზე, IRB-ის ერთა თასის ნაცვლად, ჩატარდეს ტურნირი, სადაც ევროპის ერთა თასის ოთხი საუკეთესო გუნდი ექვსი ერის ოთხი საუკეთესო ქვეყნის A ნაკრებებს დაუპირისპირდება. ჩვენ შევიტანეთ წინადადება, პროექტში ჩაიდოს ის, რომ ოთხი წლის თავზე უკვე A ნაკრებები, ძირითადმა ნაკრებებმა ჩაანაცვლონ. სწორედ ამ შემთხვევაში აქვს აზრი ამ იდეის განხორციელებას.

სერიოზულად თანამშრომლობს IRB-ის ახალი პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე** საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან. ის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობს და ცდილობს, მოიპოვოს მათი მხარდაჭერა, რათა რაგბი, ბოლოს და ბოლოს, ოლიმპიური სახეობა გახდეს. ლაპასე აუცილებლად გვეწვევა საქართველოშიც, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ქართული რაგბისთვის. აქამდე IRB-ის პრეზიდენტი საქართველოში არასდროს ყოფილა. როგორც წესი, ასეთი ვიზიტებისას ძალიან ბევრი საჭირბოროტო საკითხები წყდება.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უკვე ამუშავდა სახელმწიფო პროგრამა. თბილისში და რეგიონებშიც სექტემბრამდე ალბათ, დასრულდება მოედნების მოსაწყობად მიწის ნაკვეთების გადმოცემის პროცესი. დამტკიცდა ასევე ფინანსური დახმარების პროექტიც. ბიუჯეტიდან რაგბის კავშირი 4 წლის განმავლობაში 18 მილიონ ლარს მიიღებს. ახლა ჯერი სპონსორებზეა.

ამასთან, სპორტის დეპარტამენტთან ერთად ვმუშაობთ კიდევ ერთ პროექტზე. მომავალი წლის აპრილში, თბილისში ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის გამართვას ვაპირებთ. ვნახოთ, თუ რაიმე რესურსი გამოიძებნა, ვფიქრობთ, ამ შეჯიბრის გამართვა ქართული რაგბისთვისაც და ქვეყნისთვისაც სასარგებლო იქნება.

მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ნაკრების მოთამაშეებს და მწვრთნელებს, რომლებმაც ბუქარესტში IRB-ის ერთა თასზე შესანიშნავად ითამაშეს. ამ შეჯიბრებაზე ექსპერიმენტული შემადგენლობის გაგზავნა დიდი რისკი იყო. თუმცა, როგორც მოვლენებმა გვიჩვენა, გამართლებულიც. ტურნირზე ბევრმა ახალბედამ უდიდესი გამოცდილება მიიღო და თვალნათლივ დაგვანახა, რომ ქართულ რაგბს საკმაოდ კარგი რეზერვი გააჩნია".

ნიკოლოზ ჭავჭავაძე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

„ეს გუნდი შეჯიბრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეიკრიბა. 12 მათგანი ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობს, დანარჩენი საფრანგეთში და რუმინეთში თამაშობენ და რა შეუძლიათ, ნანახი არ გვყავდა. ერთი კვირა, ცხადია, გუნდისთვის სათანადოდ მოსამზადებლად საკმარისი არაა. მაგრამ გარწმუნებთ და **ტიმ ლეინმაც** ეს ხაზგასმით აღნიშნა, გუნდმა დროის ამ მოკლე მონაკვეთში საგრძნობი პროგრესი განიცადა, ბუქარესტშიც თამაშიდან თამაშამდე ძლიერდებოდა".

ლევან მაისაშვილი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: „ვერ ვიტყვი, რომ ბიჭებს პირველ მატჩში თავდაჯერებულობა აკლდათ, მაგრამ სამხრეთ აფრიკა მაინც დიდი ავტორიტეტია და ეს ჩვენ გუნდს შეტევის დროს აშკარად ეტყობოდა. ძნელი სათქმელია, მოვუგებდით თუ არა მათ, განრიგით ბოლოს რომ გვეთამაშა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ უფრო თავდაჯერებულობით გავირჯებოდით.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ჩვენი გუნდის ათი ნომრის **ლაშა მალალურაძის** თამაშმა, რომელიც ტურნირის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს. **მალალურაძით, ბესო უდესიანით** და **ირაკლი ნატრიაშვილით** რუმინეთის, რუსეთის და იტალიის კლუბები დაინტერესდნენ. იტალიელები სულაც დანანებით აღნიშნავდნენ IRB-ის ერთა თასი თქვენ უნდა მოგეგოთ. სამწუხაროდ, ამჯერად არ გამოგვივიდა".

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭიდაობა

# თავისუფლებმა გაარკვიეს, ბერძენ-რომაელებმა ვერა

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 15-20 ივლისს სლოვაკურ კოშიცეში, ახალგაზრდების ევროპირველობაზე იჭიდავებს: **ვლადიმერ ხინჩეკაშვილი (50), გიორგი ედიშერაშვილი (55), გიორგი მაყიშვილი (60), ზაურ აბრამიშვილი (66), გიორგი მარსაგიშვილი (74), თორნიკე სვანიძე (84), გიორგი ჩიქოვანი (96), ლევან ბერიანიძე (120).**

ამ შემადგენლობაში მოულოდნელი არაფერია, რადგან ყველა მათგანმა საერთაშორისო ტურნირებში ძალზე წარმატებით იჭიდავა და კოშიცეში წასვლა დიდი ხნით ადრეც კი გაინალდა. უბრალოდ, შესარჩევი ციკლის დამთავრებამდე სხირელი შემადგენლობის ოფიციალურად დასახელებას არ ჩქარობდა, თორემ იმ შედეგებიდან გამომდინარე, შემადგენლობის გამოცნობას დიდი მისნობა არ სჭირდებოდა. თუმცა ვინც ახლა ვერ მოხვდა გუნდში, გული დიდად არც იმათ უნდა დასწყდეთ, რადგან ნაევროპევს, შესაძლოა, უფრო სოლიდურ ტურნირზე - მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე იჭიდაონ. თითქოს პარადოქსია, შედარებით სუსტ ტურნირზე ვერმოხვედრილი უფრო ძლიერში გამოსვლის შანსს რომ ინარჩუნებს, მაგრამ ასეთ უცნაურ პერსპექტივას მათ კიდევ უფრო უცნაური საერთაშორისო კალენდარი უქადით - მსოფლიო ჩემპიონატი ევროპირველობიდან სულ რაღაც 10 დღეში ტარდება. დაგვეთანხმებით, ეს პარადოქსზე მეტია, რაც ჭიდაობის საერთაშორისო და ევროპული ფედერაციების ქიშპობის შედეგია, რითაც საბოლოოდ ჭიდაობა ზარალდება - ასეთ ცაიტნოტში ორგან ჭიდაობა სრულწლოვანთა გუნდებშიც ყოვლად გაუმართლებელია, არათუ ახალგაზრდებში. ამიტომ მწვრთნელები ორ-ორ შემადგენლობას აკომპლექტებენ - მთავარს და უფრო სერიოზულს კონტინენტის პირველობისთვის, რაკი პირველად ის ტარდება, და სათადარიგოს - მსოფლიოსთვის. ცხადია, თუ ვინმე ევროპის ჩემპიონატს ჩააგდებს, მსოფლიოზე მას სათადარიგო შეცვლის, რადგან ლიდერს მდგომარეობის გამოსასწორებლად და მსოფლიოსთვის უკეთ მოსამზადებლად, უბრალოდ, დრო არ რჩება.

წარმოდგენილ ნაკრებში ყურადღებას ისევ გავამახვილებთ ერთ სასიამოვნო უცნაურობაზე, რაზეც გუშინაც ვწერდით - **ვლადიმერ ხინჩეკაშვილი** ახლაც ევროპის პირველობაზეა წასული და დღეს იასპარეზებს, ოღონდ - ჭაბუკებში. ასაკის გამო, ჭიდაობა ორივეგან შეუძლია და რაკი სათანადო ნიჭიც მოსდგამს, მწვრთნელებმაც გარისკეს. ასეთი რამ საკმაოდ იშვიათად ხდება. ახალგაზრდულსა და ეროვნულ ნაკრებში ერთდროულად ჭიდაობდეს ვინმე, ამის პრეცედენტი კი ხდება, მაგრამ ასაკობრივ ნაკრებებში ძალზე იშვიათია. ღმერთმა ქნას, ხინჩეკაშვილმა დაუგავპილსში დღეს წარმატებით იჭიდაოს, მაგრამ თუ რამე გაუთვალისწინებელი მოხდა, არც მისი შეცვლაა გამორიცხული.

ნუგზარ სხირელისგან განსხვავებით, საკმაოდ დიდი დილემის წინაშეა მისი კოლეგა, "ბერძენ-რომაელთა" დამრიგებელი **ვლადიმერ ადეიშვილი**. გუნდის ბირთვი იქაც გამოკვეთილია, მაგრამ რამდენიმე ლიდერი დაშავებულია და მწვრთნელსაც პრობლემებს ეს უქმნის. მდგომარეობის გამოსასწორებლად სამიოდ კვირა ჯერ ისევ რჩება და ადეიშვილიც ამიტომ არ ჩქარობს.

**ირაკლი თავაძე**

# ქართველები და აზერბაიჯანელები პეკინში ღირსეული მეტოქეები იქნებიან

აზერბაიჯანის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაც **მაგომედხან არაცილოვს** ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა ჯერ ოფიციალურად არ დაუსახელებია, თუმცა მისი გუნდი თითქმის ცნობილია. მათი ნაკრები ერთ-ერთია იმ ხუთეულიდან, რომლებმაც შვიდივე წონაში მოიპოვეს ლიცენზიები. ამ შვიდეულიდან პეკინში **ზელიმხან ჰუსეინოვის** (60), **ემინ აზიზოვის** (66), **ჩამსულვარა ჩამსულვარაევის** (74), **ნაურუზ ტემრეზოვის** (84), **ხეთაგ გასიმოვისა** (96) და **ალი ისაევის** (120) წასვლა თითქმის გადაწყვეტილია - იქაურებს ამათზე ძლიერები არავინ ჰყავთ. ერთადერთი წონითი კატეგორია, სადაც კონკურენცია ჯერ ისევ გრძელდება, 55-ია. აქ, ოლიმპიურ გუნდში მოხვედრაზე პრეტენზიას ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი **ნამიკ სევდიმოვი** და ევროპის სამგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ნამიკ აბდულაევი** აცხადებენ. აზერბაიჯანის პირველობაზე აბდულაევი სწორედ სევდიმოვთან დამარცხდა და საბოლოოდ მესამეზე გავიდა, ჩემპიონი კი სევდიმოვი გახდა. ამის შემდეგ მან ლიცენზიაც მოიპოვა, თუმცა არაცილოვმა იქვე განაცხადა, რომ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ოლიმპიურ გუნდში ადგილის განაღდებას. აბდულაევი აზერბაიჯანული ჭიდაობის ლეგენდაა და შანსი კვლავ მიეცემაო, ღიად განაცხადა მაშინ მწვრთნელმა, რომელიც კონკურენციის გადაჭრას თვის ბოლოს ბაქოში გასამართ ოქროს დიდი პრიზის ფინალურ ტურნირზე აპირებს. იქ ორივე კონკურენტი იჭიდავებს და ერთმანეთის დასამარცხებლად მზადყოფნას ადასტურებენ.

*"პეკინში აბდულაევის წასვლა მთლიანად მასზეა დამოკიდებული. ყველაფერი ხალიჩაზე გადაწყდება და არა მის გარეთ. აბდულაევმაც და სევდიმოვმაც იქ უნდა აჩვენონ თავიანთი დადებითი მხრეები. ოლიმპიადაზე წავა ის, ვინც ოქროს დიდ პრიზზე უკეთესად იჭიდავებს"* - განაცხადა არაცილოვმა.

მოკლედ და კონკრეტულად, ბაქოს ტურნირზე **ბესარიონ გოჩაშვილის** (55) მეტოქე გაირკვევა. იქნებ გოჩაშვილი არაა მედლის ისეთი გამოკვეთილი კანდიდატი, როგორც მისივე თანაქალაქელები, გორელი **ოთარ თუშიშვილი** (66) ან **გიორგი გოგშელიძე** (96), მაგრამ ოლიმპიადაზე გამორიცხული არაფერია და მისი მეტოქეთა ვინაობაც საინტერესოა. ცოტა ძნელია იმაზე ლაპარაკი, რა შანსები აქვს გოჩაშვილს მათთან და რომელია უფრო სასურველი მეტოქე... სევდიმოვი ახალგაზრდაა, მაგრამ აქამდე მისი ერთადერთი მიღწევა ლიცენზიის მოპოვებაა და იმ სალიცენზიო ტურნირშიც მხოლოდ მესამეზე გავიდა. არადა, ანალოგიურ შეჯიბრებებში ლიცენზიამოპოვებულები ანუ წონების ლიდერები არ ჭიდაობდნენ და იმის შემდეგ ვერც სხვა შეჯიბრებებში იასპარეზა დამაჯერებლად.

გაცილებით ძლიერი და სერიოზული კონკურენტია აბდულაევი, რომელსაც არაცილოვმა სრულიად სამართლიანად უწოდა ლეგენდა. ზემოდასახელებული ტიტულების გარდა, მან 1996 წლის ოლიმპიადაზე ვერცხლი მოიპოვა, 3-ჯერ კი მსოფლიოს ფინალში იჭიდავა, თუმცა ყველა წააგო. აქ არაფერს ვამბობთ მსოფლიოზე მოპოვებულ ბრინჯაოზე და კონტინენტის პირველობების დაბალი სინჯის მედლებზე. ისიც საყურადღებოა, რომ ამჟამად თავის მეოთხე ოლიმპიადაზე მოხვედრას ცდილობს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ის სერიოზული კონკურენტია, თუმცა ასაკი მის შანსებს ამცირებს - ამჟამად 35 წლისაა და თამამად შეიძლება ითქვას, ნამდვილად არ უდგას კარგი დროება. მისი ბოლო სერიოზული წარმატება 2006 წელს მსოფლიო პირველობაზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალია, რაც "გედის სიმღერაც" აღმოჩნდა - მომდევნო სეზონში უნუგეშოდ დამარცხდა მშობლიურ ბაქოში გამართულ სალიცენზიო მსოფლიო პირველობაზე, წლეულს კი, როგორც გითხარით, ქვეყნის პირველობაზე სევდიმოვთან წააგო.

ვფიქრობთ, გოჩაშვილისთვის უფრო მისაღები მაინც შედარებით გამოუცდელი სევდიმოვი უნდა იყოს, აი, სხვა აზერბაიჯანელებიდან კი ჩვენებისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს, ალბათ, მაინც მსოფლიოს პრიზიორი და რუსეთიდან გადაბირებული ჩამსულვარაევი წარმოადგენს, სხვებს კი ამათთან შეხვედრის შემთხვევაში პრობლემები არ უნდა შეექმნათ.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი. ლეგიონერები

# ცსკა, დინამო, ბარსელონა, ვალენსია, მარუსი...

## არჩევანი შერმადინზეა




გუშინ, სპორტის სასახლეში ამერიკიდან დაბრუნებული **გიორგი შერმადინის** მწვრთნელმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** პრესკონფერენცია გამართა. შეხვედრას ბევრი საინტერესო კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი. მაგალითად: რატომ მოხსნა შერმადინმა 2008 წლის NBA-ს დრაფტიდან კანდიდატურა?

... და მეორე უმთავრესი კითხვა: სად გააგრძელებს კარიერას გიორგი? ამ და სხვა საკითხებზე სპორტის სასახლეში „მაკაბის" მწვრთნელმა ჯამლეტ ხუხაშვილმა, ამერიკაში შერმადინის თანმხლებმა სპეციალისტმა **ნოდარ ქორქიამ** და თავად კალათბურთელმა ისაუბრეს.

შეხვედრა ჯამლეტ ხუხაშვილმა გახსნა და დამსწრეთ დეტალურად გააცნო გიორგის გზა NBA-ს დრაფტამდე. მწვრთნელმა შეგვახსენა, რომ შერმადინი ამერიკაში მარტის ბოლოს გაფრინდა და ცნობილი სპეციალისტის **ჯო აბუნასარის** აკადემიაში ვარჯიშობდა. ეს მწვრთნელი დრაფტის კანდიდატებს სწორედ იმ სისტემით წვრთნის, რომლითაც მაის-ივნისში NBA-ს კლუბების „ვორქაუთები" (საჩვენებელი ვარჯიშები) იმართება. ჩვენი გაზეთის მკითხველს არ დასჭირდება იმის შეხსენება, რომ შერმადინი აბუნასარის დარბაზში უამრავმა სკაუტმა ინახულა, ხოლო ივნისის დასაწყისში პირველ „ვორქაუთში" მიიღო მონაწილეობა - „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" დარბაზში ივარჯიშა.

6 ივნისიდან გიორგი შერმადინი და ნოდარ ქორქია იტალიაში გაემგზავრნენ, სადაც ოთხდღიანი კემპი იმართებოდა. კემპს ჯამლეტ ხუხაშვილიც დაესწრო:

*„ტრევიზოს კემპზე სპეციალური მოწვევით იმყოფებოდნენ თურქები ასიკი და ერდენი. ისინი დრაფტზე არჩევის მოწინავე კანდიდატები არიან და სკაუტებს მათზე დაკვირვება სურდათ. თურქებთან სავარჯიშოდ მიიწვიეს შვედი მბემბა, ნორელი და შერმადინი. სხვებთან შედარებით ასიკი-ერდენის დუეტი ასაკოვანია, თან ევროლიგაზე აქვთ მიღებული გამოცდილება და ეს თამაშზეც აისახა, თუმცა გიორგი შერმადინს მათთვის ნამდვილად არაფერი დაუთმია, ნაკლებად არ უთამაშია. შემდეგ კალათბურთელები გუნდებად დაანაწილეს და გიორგი შერმადინმა ტურნირზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისით კიდევ უფრო მეტი სკაუტი დაინტერესდა..."*

... მაგრამ ტრევიზოდან ამერიკაში დაბრუნებიდან ორიოდე დღეში NBA-ს დრაფტიდან შერმადინის კანდიდატურა მოიხსნა. ამ საკითხზე ამომწურავად ისაუბრა მწვრთნელმა ნოდარ ქორქიამ: *„რადგან ამერიკელი სკაუტები გვეუბნებოდნენ, რომ გიორგის პირველ წრეში არჩევა სათუო იყო, მე და ბატონ ჯამლეტს გვსურდა, მისი კანდიდატურა მოგვეხსნა და მომავალი წლის დრაფტისთვის პირველ წრეში მოხვედრა უკვე რეალური იქნებოდა. შერმადინის აგენტი ტოდ რამისარი კი მტკიცედ გვეუბნებოდა - წლეულს კანდიდატურა არ უნდა მოვხსნათო. ჩვენც „ვორკაუტებში" ვიღებდით მონაწილეობას და დრაფტისთვის ვემზადებოდით. განაცხადის გამოტანის ბოლო ვადა 16 თებერვალი იყო და ვადის ამოწურვას ერთი საათი აკლდა, როცა ტოდ რამისარმა დამირეკა და მითხრა: დრაფტიდან შერმადინის კანდიდატურა უკვე მოვხსენიო. გამიკვირდა და მიზეზი ვკითხე. ტოდმა მომიგო: ახლა დამირეკა „კლიპერსის" სკაუტმა და მითხრა - გიორგის დრაფტზე აუცილებლად ავირჩევთ, მაგრამ მისთვის უკეთესი იქნება, თუ 2008-09 წლების სეზონს ევროპაში გაატარებს და 2009 წლის NBA-ს დრაფტის საუკეთესო თხუთმეტეულში აუცილებლად მოხვდებაო".*

ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა: სად გააგრძელებს კარიერას შერმადინი? კონკრეტული პასუხი ჯერ არ არის, ზოგადად კი ჯამლეტ ხუხაშვილი საუბრობს: *„პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ 2009 წლის NBA-ს დრაფტზე გიორგი შერმადინის განაცხადი უკვე შევიტანეთ. მასზე ევროპაში დიდი პატივია, თუმცა ახალ კლუბს სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით შევარჩევთ. ჩვენი მთავარი მოთხოვნა სათამაშო დროს ეხება - გიორგი იმ გუნდთან გააფორმებს კონტრაქტს, სადაც მინიმუმ 20-25 წუთს ითამაშებს. დაინტერესებას გამოხატავენ ბერძნული „მარუსი", ესპანური „ბარსელონა" და „ვალენსია", რუსული ცსკა და „დინამო", ფრანგული „ლე მანი" და ისრაელის 3 კლუბი. მათგან რომელიმეს გამორჩევას ჯერ არ ვჩქარობთ, რადგან ამ ზაფხულს შერმადინს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი და ეროვნულ გუნდთან B დივიზიონის მატჩები აქვს ჩასატარებელი".*

მწვრთნელმა ისიც დასძინა, რომ გიორგი ახალ კლუბში არ გაიყიდება, „მაკაბიდან" სხვაგან განათხოვრების წესით გადავა. ჯამლეტ ხუხაშვილს აქტუალურ კითხვაზეც მოუწია პასუხის გაცემა: ტრევიზოს კემპის მსვლელობისას ზოგიერთი ამერიკელი ჟურნალისტი ეჭვქვეშ აყენებდა შერმადინის ასაკის ნატურალურობას...

*„ასეთი კითხვის ნიშნები ბოლო დროს ისმება ბერძენი და თურქი კალათბუთრელების მიმართაც. თუმცა, იტალიაში მსგავსი რამ ჩემთვის არავის უთქვამს. ჩვენს შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ შერმადინმა წვერის გაპარსვა ახლახან დაიწყო და ზრდაშიც პროგრესირებს. ექიმების თქმით, გიორგი სიმაღლეში კიდევ მოიმატებს. ვფიქრობ, ამ საკითხებში ზედმეტი ქექვა კარგს არაფერს მოგვიტანს. მით უმეტეს, რომ კალათბურთის ფედერაციის ინიციატივით ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვა ასაკის გადაკეთების ყოველგვარ მცდელობას".*

პრესკონფერენციის მსვლელობისას დამსწრეებს გვიჩვენეს „პორტლენდის" საიტიდან აღებული მცირე ფილმი გიორგი შერმადინის შესახებ. იქ ჩანდა, რომ აბუნასარის დარბაზში ვარჯიშით ქართველი ფიზიკურადაც მომძლავრებულა, სისწრაფეშიც მოუმატებია, ხოლო სროლა „მაკაბიშიც" რომ არ დაეწუნებოდა, თავადაც მოგეხსენებათ. ნოდარ ქორქიამ გიორგის საჩვენებელი ვარჯიშის საგულისხმო დეტალი გაიხსენა: *„ერთ-ერთ მატჩს 30-მდე სკაუტი ესწრებოდა. შერმადინმა ბურთი მოხსნა და ვიდრე პასს გააკეთებდა, მეტოქემ ბურთი ჩაუჭრა. მე ძალიან, ძალიან ცუდი გრძნობა დამეუფლა, მაგრამ გიორგი მეორე წამში საოცარი ნახტომით ბურთი მეტოქეს ხელებიდან სუფთად გამოგლიჯა და ვიდრე მოედნიდან გადავარდებოდა თანაგუნდელს პასი მიაწოდა, ხოლო შეტევა შედეგიანად პირითი ხაზიდან დაბრუნებულმა გიორგიმ დაგვირგვინა".*



გიორგი შერმადინი, მანუჩარ მარკოიშვილი

თავად კალათბურთელმაც გაიხსენა, რომ აბუნასარის დარბაზში ვარჯიშმა ფიზიკურად საკმაოდ მოაძლიერა: *„თავს შესანიშნავად ვგრძნობდი და ფიზიკურად ჩემზე ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ თამაშიც არ მიჭირდა. ამერიკიდან იტალიამდე ჩაფრენისას გარკვეული პრობლემები შემექმნა და ახლა ისეთ კონდიციებში აღარ ვარ, რგორშიც ამერიკაში ვიყავი. თუმცა, აქტიური ვარჯიშის შემდეგ აუცილებლად დავიბრუნებ ოპტიმალურ ფორმას, წინ ხომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრება და 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატია. ძალიან მინდა, კონტინენტის პირველობაზე გუნდთან ერთად ღირსეულად გამოვიდე".*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. ნესტორ ხერგიანი (ძიუდო)

# სვანეთის მთებიდან ჩინეთის დიდ კედლამდე



თვითმფრინავის სალონში ტევა არ იყო. მგზავრებს წურწურით ჩამოსდიოდათ სახეზე ოფლი.

- ხომ მშვიდობაა, რატომ არ მივფრინავთ? - იკითხა ლაბაბიანმა მამაკაცმა. ვარდისფერ ლოყებზე ცხვირსახოცი ჩამოისვა და ბოთლიდან "ბორჯომი" მოსვა.

- ერთ კაცს ველოდებით, - მშვიდად უპასუხა შტურმანმა.

- ამდენი ხანი? თავისუფალი ადგილიც ხომ არ არის? - ვერ მოისვენა მამაკაცმა.

- დავტევთ, ბატონო, - აღელვებაც არ დასტყობია ხმაში შტურმანს.

ნახევარი საათის შემდეგ ის "კაციც" გამოჩნდა გამცილებლებთან ერთად. რადგანაც კარი ჩახერგილი იყო, ბიჭებს მარდად მოექცა მხრებზე და ისე შეძვრა სალონში. ნესტორ ხერგიანს ძმამ და ბიძამ თბილისიდან დაურეკეს - ხვალ სამბისტთა საქართველოს ჩემპიონატი იწყება და სასწრაფოდ ჩამოდიო. თვითმფრინავს უნდა გამოჰყოლოდა, სხვაგვარად შეჯიბრებას ვერ ჩამოუსწრებდა.

- მამამ აეროპორტის თანამშრომლებს სთხოვა დახმარება, - იგონებს ჭაბუკობისდროინდელ ამბებს მესტიელი ძიუდოისტი ნესტორ ხერგიანი. - მეგობრებმა ხათრი ვერ გაუტეხეს და, სანამ საბუთებს გამიფორმებდნენ, თითქმის ორი საათი შეაყოვნეს რეისი. თვითმფრინავის მგზავრები გაოცებული შემომცქეროდნენ.

აბა, რა იქნებოდა - "პერსონას" ელოდნენ და 40-კილოიანი 17 წლის ბიჭი არ შერჩათ ხელთ. თუმცა, მაშინ რას იფიქრებდნენ, რომ ეს ჩია ყმაწვილი, სულ მალე, ძიუდოს სამყაროს აალაპარაკებდა.

**ნესტორ ხერგიანმა** სპორტული კარიერა სამბოთი დაიწყო. 1992 წელს რო-

**ბიზონ ჯაფარიძის** შეგირდმა ევროპელ თანატოლებს აჯობა, ორი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებში. 1998 წლიდან მთლიანად ძიუდოზე გადაერთო და პირველ დიდ გამარჯვებასაც მაშინ გაუგო გემო.

- ევროპის ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე დავქორწინდი, - მითხრა ნესტორმა. - ბევრს ეგონა, შეჯიბრებაზე ვერაფერს გავხდებოდი, თუმცა, კარგად ვიყავი მომზადებული. ნაკრების მთავარი მწვრთნელის - ბატონ შოთა ხაბარელის მადლობელივარ, რომ მენდო და საასპარეზოდ წამიყვანა. ხუთივე შეხვედრა სუფთად მოვიგე და ჩემპიონობა მოვიპოვე.

ათი წლის განმავლობაში ნესტორ ხერგიანმა (ერთხანს ანზორ **მარგველანი** ავარჯიშებდა, რამდენიმე წელიწადია, **შოთა ხაბარელთან** იმაღლებს ოსტატობას) სარეკორდო წარმატებებს მიაღწია: პირადში ევროპის ორგზის ჩემპიონმა (1998, 2003 წ.წ.) გუნდურში ეს ტიტული სამჯერ (2002, 2003, 2007 წ.წ.) დაიმსახურა, ექვსჯერ მესამე ადგილი (1999-2002, 2007, 2008 წ.წ.) დაიკავა, ნაკრებთან ერთად კი "ბრინჯაო" ორჯერ (2000, 2001 წ.წ.) ხვდა. ათენის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (2004 წ.) მსოფლიო თასის გუნდურ გათამაშებაში თითოჯერ პირველ (2006 წ.) და მეორე (2002 წ.) ადგილებზე გავიდა. მსოფლიო ჩემპიონატების მეორე (2007 წ.) და მესამე (1999 წ.) პრიზიორს მსოფლიო უნივერსიადის "ბრინჯაოც" (1999 წ.) აქვს მოპოვებული.

დაგვეთანხმებით, ერთი სპორტსმენისთვის, მართლაც, უნიკალური შედეგია, ნებისმიერი ქვეყანაც რომ ინატრებდა. მესტიელი ფალავნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შარშანდელი სეზონი იყო, როცა ერთბაშად სამი დიდი ჯილდო და პეკინის ოლიმპიადის საგზური დაიმსახურა. არადა, წლის დასაწყისში ტრავმამ იმგვარად შეაწუხა, რომ ერთხანს ტატამს ვერ გაეკარა. ზოგიერთები მის ზურგს უკან ქირქილებდნენ - მეტი რაღა უნდა, დაბერდა და დროა, ჭიდაობას შეეშვასო. ბებერი ხარის ანდაზისა არ იყოს, ნესტორ ხერგიანი 32 წლის კი გახლავთ, მაგრამ ნაკრების ვეტერანი ჭაბუკივით გამოიყურება; ვარჯიშებზე ისე იხრჯება, რომ ჯეელებსაც შეშურდებათ. ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ხაბარელს შეგირდებისთვის მისი შრომისმოყვარეობა არაერთხელ მოუყვანია მაგალითად. შარშან მოპოვებული ჯილდოებიც ამის დასტურია.

- ევროპის ჩემპიონატამდე ტრავმამოშუშებულმა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზე, - იხსენებს ნესტორი გასული სეზონის ბატალიებს. - თანდათან მოვღონიერდი და ბელგრადშიც დიდი იმედებით გავემგზავრე. პირველ წრეში თურქ ქემალ ოგიუზს ვძლიე. მეორეში მუდმივ კონკურენტს, ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერს რომ მოვუგე, ვიფიქრე, კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ გზა გამეხსნა-მეთქი. სამწუხაროდ, სწორ ადგილზე წავიფორხილე. სომეხი **ჰოვანეს დავთიანი**, რომელსაც მეოთხედფინალში შევხვდი, ოთხჯერ მყავს დამარცხებული და მხოლოდ ერევნის კომერციული ტურნირის გადამწყვეტი ორთაბრძოლა დამათმობინეს მასთან მსაჯებმა. სერბეთის დედაქალაქში კი ერთ-ერთი იერიშისას მეტოქემ ჩემს ფანდზე გამომიჭირა და ვაზარი ამართვა...

დამამშვიდებელ წრეში ქართველმა ფალავანმა დამაჯერებლად იჭიდავა: ზედიზედ დაამარცხა ბელგიელი **ფაბრის ფლამანი**, მასპინძელი **როკ დრაკშიჩი** და "ბრინჯაოსთვის" პაექრობაში ფარ-ხმალი დააყრევინა ლიტველ **ალბერტ ტეხოვს**, რომელიც ცხინვალშია დაბადებული.

კონტინენტის პირველობის შემდეგ ნესტორ ხერგიანმა კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა, ოღონდ, მისთვის უჩვეულო 66-კილოში, რადგან მწვრთნელებმა წონა არ დააკლებინეს. მოსკოვში მეხუთე იყო, რუმინეთში სულაც პირველ ადგილზე გავიდა.

ქართველი ძიუდოისტი გუნდთან ერთად ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე ჩავიდა საწვრთნელი შეკრების გასამართავად, იქაურ დროსა და კლიმატთან შესაგუებლად. ნესტორ ხერგიანს წონის პრობლემაც აწუხებდა, მაგრამ თოთხმეტ დღეში შვიდი კილოს დაკლება არ გასჭირვებია, ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებაც მოასწრო.

შეჯიბრებაში მოზღვავებული ენერგიით ჩაება. ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან ბელარუსი **სერგეი ნოვიკოვი**, იაპონელი **ტაცუკი ეგურა**, მონგოლი ოლიმპიური პრიზიორი **ხაშბაატარ ჩაგანბაატარი.** ფინალში ჰოლანდიელ **რუბენ ჰოუკესს** შეხვდა.

- მე და რუბენი 2006 წლის ევროპის ჩემპიონატზე "ბრინჯაოსთვის" გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დავუპირისპირდით ერთმანეთს, - იხსენებს ნესტორი. - მაშინ ჰოლანდიელმა მიკერძოებული მსაჯობით მაჯობა, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ძლიერი მოჭიდავეა, შეცდომას არ გაპატიებს, ამიტომ ვფრთხილობდი, ეტყობა, ცოტა ზედმეტი მომივიდა და დავისაჯე კიდეც. ყოველივეს მიუხედავად, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ვერცხლის მედალთან ერთად პეკინის ოლიმპიადის საგზურიც მერგო. ყველაფერი ეს ჩემი მწვრთნელების, განსაკუთრებით - შოთა ხაბარელის დამსახურებაა და იმის შედეგიც, რომ პრობლემის მოგვარებაში კეთილი ადამიანები მეხმარებიან. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ქალბატონი მაია და ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილები, რომლებმაც საკაძის მოედანზე ოროთახიანი ბინა მაჩუქეს, მადლობა მინდა ვუთხრა სამშენებლო კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზიდენტ ზაზა რაზიკაშვილს. მან ნაკრების წევრებს დამატებით დაგვინიშნა ხელფასები და ყოველ დიდ შეჯიბრებაზე მიღწეული გამარჯვებისთვის ფულადი პრიზებითაც გვაჯილდოებს.

**- ოჯახში როგორ შეხვდნენ შენს წარმატებებს?**

- რომ ამბობდნენ, ხერგიანი დაბერდა და დროა, პენსიაზე გავიდესო, ჩემი მეუღლე, გვანცა ძალიან განიცდიდა ამას, თან მამხნევებდა - კიდევ შეძლებო თავის გამოჩენას. ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილის დაკავების შემდეგ ნაცნობები მოსალოცად რომ რეკავდნენ, ყურმილს თურმე ახლობლები იღებდნენ, რადგან გვანცა ზედმეტი სიხარულისგან ცუდად გამხდარა. ეს ბელგრადიდან დაბრუნებისას შევიტყვე.

ჩემი დიდი გულშემატკივარია 10 წლის ვაჟიშვილი ირაკლი, რომელიც წელიწადნახევარია, ძიუდოში ვარჯიშობს და ზოგჯერ ჭიდაობასაც მიწუნებს. ასე მითხრა, რუბენასთვის უნდა მოგეგოო. მეც შევპირდი, პეკინში აუცილებლად ვაჯობებ-მეთქი.

**- მაშ, ჩინეთის დედაქალაქში ოქროს მედლისთვის მიემგზავრები?**

- შვილისთვის პირობის შესრულება, სულაც არ ნიშნავს ჩემპიონობას. თუმცა, რატომაც არა! მართალია, ოლიმპიადაზე სუსტი მეტოქეები არ მეყოლება, მაგრამ, ჯანმრთელობამ თუ არ მიმტყუნა, ოსტატობა და გამოცდილება არც მე მაკლია.

ნესტორ ხერგიანს ქადილის ძალაც რომ შესწევს და მისი შესრულებისაც, ეს წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზეც გამოჩნდა, სადაც სარეკორდო - მეექვსე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ლისაბონის ტატამზე ქართველმა ფალავანმა გაესპანელებულ იაპონელს - **ქენძი უემაცუს** სძლია, შემდეგ ლატვიელი **ოლეგ ფელიპოვსი** და ჩეხი **პეტრიკოვიც** დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში ავსტრიელ **ლუდვიგ პაეშერს** დანებდა. სამაგიეროდ, "ბრინჯაოსთვის" პაექრობაში რუსეთის ნაკრების წევრს **რუსლან კიშმახოვს** აჯობა, რითაც შარშან ევროპის გუნდურ პირველობაზე წაგებისთვის რევანში აიღო.

ქართველი ძიუდოისტი ახლა საწვრთნელ შეკრებაზეა და მსოფლიო სპორტის ფორუმისთვის ჩვეული მუყაითობით ემზადება. სვანეთის ლაღი ბუნების შვილს, იმედია, ჩინეთის დიდი კედელიც არ დარჩება დაულაშქრავი.

ვაჟა დანელია

---

ჩოგბურთი

## ჩახნაშვილმა ტიტული ვერ დაიცვა



მაკა ჩახნაშვილი

პადოვას ჩელენჯ-ტურნირი, „ტორნეო პორშე" მეოთხედ იმართება. მისი საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. „ტორნეო პორშეს" მესამე გათამაშების გამარჯვებული **მაკა ჩახნაშვილია** (179), რომელიც, წლეულს, ტურნირის ორგანიზატორებმა ძირითად ბადეში მე-3 ნომრად განთესეს. 25 წლის ქართველი წყვილთა თანრიგშიც ასპარეზობს, სადაც რუს **მარინა შამაიკოსთან** (380) ერთად დუეტში პირველ ნომრადაა განთესილი. ქართულ-რუსული დუეტი ტურნირში მეოთხედფინალიდან ჩაერთვება. გუშინ, მაკამ ერთეულთა თანრიგის პირველი შეხვედრა გამართა, მისი მეტოქე 17 წლის იტალიელი **ალისე მორონი** (560) იყო, რომელსაც ბადეში თამაში „უაილდ ქარდის" წყალობით ერგო. სამწუხაროდ, მორონიმ ტურნირზე პირველი სენსაცია მოახდინა და მაკა სამ სეტში დაამარცხა.

### თეონა დაემშვიდობა

ალმათის ტურნირი (10 ათასი დოლარი) დასრულდა **ცერცვაძისთვის**. ძირითად ბადეში გასული ქართველი ჩოგბურთელი პირველ წრეში ყირგიზ **ბერმეტ დუნანაევასთან** დამარცხდა – 5:7, 6:7 (5).

### სამასეულში ორი გოგონაა, ხუთასეულში სამი ჭაბუკი

გუშინ, 18-წლამდელ ჩოგბურთელთა მსოფლიო კლასიფიკაცია გამოქვეყნდა. გოგონებში სულ 16 ქართველი ჩოგბურთელია სიაში, თუმცა მოწინავე ხუთასეულში – მხოლოდ ორი. **ოქსანა კალაშნიკოვა** სექტემბრის მერე აღარ მონაწილეობს ახალგაზრდულ ასპარეზზე და მთლიანად დიდებში თამაშობს. ამიტომაც სექტემბერში მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-11 ნომერი დღეისთვის 46-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა (457 ქულა). 16 წლის **ეკა გორგოძეც** გაუშინაურდა დიდების ტურნირებს, ამიტომაც მისი რეიტინგი ახალგაზრდებში არ იზრდება – ეკა 174-ე პოზიციაზეა (209 ქულა). ათასეულში კიდევ სამი ქართველია: 715. **ნინო მებუკე** – 46 ქულა; 812. **დიანა დავითაია** – 37 და 847. ანა ჯიქია – 34.

ჭაბუკებში 14 ქართველია მსოფლიო კლასიფიკაციაში, აქედან სამი პირველ ხუთასეულში. 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 199 ქულით 187-ე პოზიციაზეა. **ლაზარე კუხალაშვილი**, რომელიც ხშირად დიდებში გამოდის, 115 ქულით 339-ეა, ხოლო 17 წლის **ნიკოლოზ ქურდაძე** – 91 ქულით 411-ეა. ათასეულში მყოფთაგან თქვენს ყურადღებას მივაქცევთ **ალექსანდრე მეტრეველ** უმცროსს. დიდი ქართველი ჩოგბურთელის შვილიშვილი ჯერ 919-ე ადგილზეა. სხვათა შორის, ახლახან თბილისის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, ოღონდ ქვედა ასაკში (16-წლამდელებში).

ნიკოლოზ ნეფარიძე

---

ძიუდო

## სტამბოლში გადაწყდება

ზეგ, 27 ივნისს, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სტამბოლში მიემგზავრება, სადაც ამ უქმეებზე საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს. ჩვენებისთვის ეს ოლიმპიადამდე ბოლო საკონტროლო-შესამოწმებელი შეჯიბრებაა და ამიტომ ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელი** უძლიერესი გუნდით მიემგზავრება. , მწვრთნელი სტამბოლში ყველა იმ სპორტსმენს იახლებს და გამოცდის, რომელთა პეკინში წასვლაც გადაწყვეტილია - **ნესტორ ხერგიანი (60), ზაზა კედელაშვილი (66), დავით ქევხიშვილი (73), ირაკლი ცირეკიძე (90), ლომერ ყორყოლიანი (100), ლაშა გუჯეჯიანი (+100).** ერთადერთი წონა, სადაც ხაბარელს ოლიმპიელი ჯერ კიდევ არ გამოუვლენია, 81 კილოგრამი წონითი კატეგორიაა და იქ ორივე კონკურენტი მიჰყავს - **გიორგი ბაინდურაშვილი** და **საბა გავაშელიშვილი.** ამათგან პეკინში ის იასპარეზებს, ვინც სტამბოლში უკეთ გამოვა.

ირაკლი თავაძე

კალათბურთი. NBA. დრაფტი 2008

# არჩევნების დღე


დერიკ როუზი



მაიკლ ბიზლი



ო ჯეი მაიო

**ივნისის** ბოლო კვირის დადგომასთან ერთად, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში წინა სეზონი შეუმჩნევლად იცვლება ახლით. "ლეიკერსისა" და "ბოსტონის" ფინალური სერია რამდენიმე დღის წინათ დასრულდა და უკვე კარს მოგვადგა ახალი სეზონის პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა. 26 ივნისს, ნიუ იორკში ახალბედების დრაფტი გაიმართება, რომელსაც სამი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს.

## დერიკ როუზი

*კოლეჯი: მემფისი*
*პოზიცია: გამთამაშებელი*
*ასაკი: 19 წლის; სიმაღლე: 188 სმ*
*სტატისტიკა: 14.9 ქ, 4.7 პ, 4.5 მ*

უნიკალური შესაძლებლობების მცველი, ახალი ტალღის მოთამაშე, ბრწყინვალე ათლეტი, რომელსაც მოედნის ხედვის უნარით **ჯეისონ კიდს** ადარებენ. **დერიკ როუზი** - არა მარტო მომავალი დრაფტის საუკეთესო გამთამაშებელი, არამედ საუკეთესო მოთამაშეცაა. მას კარგად ესმის, როგორ მართოს გუნდის თამაში და თანაგუნდელების მოქმედება ყოველთვის უფრო მაღალ დონეზე აჰყავს.

როუზს ერთი წამით არ გაუშვია ხელიდან "მემფისის" თამაშზე კონტროლი და ეს გუნდი დამაჯერებლად მიიყვანა სტუდენტური ლიგის ფინალამდე. საშუალო სტატისტიკა სრულად ვერ ასახავს მის შესაძლებლობებსა და გუნდის თამაშზე გავლენას. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ დერიკი უფრო ეგოისტური მოთამაშე რომ იყოს, მისი სტატისტიკური მაჩვენებლები იქნებ გაორმაგებულიყო კიდეც.

როუზის ინდივიდუალური ოსტატობის დონე ძალიან მაღალია. ისეთი პარამეტრები, როგორიცაა დრიბლინგი, ტექნიკა, მეურვის ჩამოცილება, ფარქვეშ შესვლა, უკვე დღეს უმაღლეს დონეზე აქვს დაყენებული. მომავალში ის NBA-ის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური კალათბურთელი უნდა გახდეს. მისი ერთადერთი მინუსი ისაა, რომ შორიდან სროლა არ ეხერხება, ეს ნაკლი **დუეინ უეიდსაც** აქვს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის NBA-ის ფინალური სერიის MVP და ასოციაციის ვარსკვლავი გამხდარიყო.

დერიკს თამაშის ალქმის საოცარი უნარი აქვს. ზუსტად გრძნობს, როდის აილოს თამაში თავის თავზე და როდის ითამაშოს პარტნიორებზე. ეს კი ის თვისებაა, რომელიც ნამდვილ ლიდერებს ახასიათებთ.

თუ როუზს მწვრთნელების მხრიდან ნდობა ექნება და თუ საკუთარ თავზე მუშაობას გააგრძელებს, მას შეეძლება ლიგის არა მარტო ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი, არამედ ერთ-ერთი სუპერვარსკვლავი გახდეს.

**პროგნოზი:** დრაფტში პირველ ნომრად "ჩიკაგო" აიყვანს. შესაბამისად, ის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდება, ხოლო "ბულზის" გულშემატკივრები ახალ კერპს მიიღებენ.

**საინტერესო ფაქტი:** დერიკ როუზი ვერც "ჩიკაგოში" და ვერც "მაიამიში" (ამ გუნდს დრაფტის მეორე ნომრის არჩევის უფლება აქვს) ვერ ითამაშებს თავისი საყვარელი 23-ე ნომრით. ის სამუდამოდ ლეგენდარულ **მაიკლ ჯორდანს** ეკუთვნის (მას "მაიამიში" არასოდეს უთამაშია, მაგრამ მიუხედავად ამისა, **პატ რაილიმ** თავისი გუნდის 23-ე ნომერიც ჯორდანს დაუთმო).

## მაიკლ ბიზლი

*კოლეჯი: კანზას სტეიტი*
*პოზიცია: ფორვარდი*
*ასაკი: 19 წლის; სიმაღლე: 201 სმ*
*სტატისტიკა: 26.2 ქ, 12.4 პ, 1.6 დ*

**მაიკლ ბიზლის** ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ასოციაციის განუმეორებელი სუპერვარსკვლავი გახდეს (*"კრის უებერის თვისებები და გილბერტ არენასის ინდივიდუალიზმი"*). ეს ბიჭი ინტერვიუების დროს, ისევ გააგრძელებს ჟურნალისტების გამასხარავებას, მოედანზე კი, მეტოქეების წინაალმდეგ შეეცდება იგივეს გაკეთებას. თუმცა მან ეს ყველაფერი მარტომ უნდა აკეთოს. ყოველ შემთხვევაში, უახლოეს წლებში. მაიკლ ბიზლი ცოტათი უცნაური და ჭირვეული ყმაწვილია. კოლეჯში ყველა მის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე მუშაობდა, სკოლებს კი, სხვადასხვა ახირებების გამო, ხელთათმანებივით იცვლიდა. ბიზლის უნდა საუკეთესო იყოს, მაგრამ ამ მომენტისთვის, ზუსტად არ ესმის როგორ უნდა გააკეთოს ეს გუნდთან ერთად.

სტუდენტურ ასოციაციაში მაიკლ ბიზლის არანორმალური სტატისტიკა ჰქონდა და უამრავი რეკორდიც მოხსნა. მათ შორის იმ მოთამაშის რეკორდი, რომელსაც მაიკლი თავად ედრება: დაემხო **კარმელო ენტონის** მიღწევა, რომელმაც სტუდენტურ ლიგაში თავისი პირველი სეზონის დროს 22 ორმაგი დუბლი შეასრულა. მაიკლმა თამასა 28 ორმაგ დუბლამდე ასწია.

მაიკლ ბიზლის NBA-ში საკუთარი თავის წარმოჩენის ყველა პირობა აქვს. გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ის მსუბუქი და მძიმე ფორვარდების პოზიციებს შორის მოახდენს ლავირებას. მას მსუბუქი ფორვარდისთვის, უბრალოდ, ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემები აქვს, ფლობს საშუალო დისტანციიდან ცაციათი მომაკვდინებელ ტყორცნას, აგრეთვე ერთ-ერთზე მეურვის იოლად ჩამოცილება შეუძლია; მძიმე ფორვარდის პოზიციაზე, ბიზლის ორი ხელით ტყორცნის უნარი, მოქნილობა, ფარქვეშ თამაშისას აგრესიულობა, სწრაფი პირველი ნაბიჯი დაეხმარება. თუმცა ეჭვქვეშ დგება ბიზლის შესაძლებლობები იმ დროს, როცა მის წინ უფრო მაღალი და უფრო მძიმე ოპონენტები დგანან.

აბსოლუტურად ზუსტად შეიძლება იმის თქმა, რომ მისი ნიჭი ასოციაციაში არ დაიკარგება, მასზე პირველივე სეზონში გააკეთებენ აქცენტს და ბრწყინვალე სტატისტიკის წყალობით, ბიზლი, ალბათ, "წლის დებიუტანტის" ტიტულის მთავარი კანდიდატი იქნება.

**პროგნოზი:** მეორე ნომრად "მაიამი ჰიტი" აირჩევს.

**საინტერესო ფაქტი:** ცუდი ყოფაქცევის გამო, ხუთი წლის განმავლობაში შვიდი სკოლა გამოიცვალა. დისციპლინის დამრთვევთა სიაში შედის: სკოლის ფორმის ჩაცმაზე უარის თქმა; მასწავლებლის უჯრაში მკვდარი ვირთხის ჩადება; თანაგუნდელ **ტაი ლოუსონთან** სანაძლეო იმაზე, სკოლაში ვინ უფრო მეტ კედელზე დატოვებდა თავის ავტოგრაფს. უნდა აღინიშნოს, რომ ლოუსონი, რომელმაც წლევანდელ დრაფტზე თავისი კანდიდატურა მოხსნა, ნაკლებად შესამჩნევ ადგილებზე აწერდა ხელს, ბიზლი კი პირიქით, ყველაზე თვალშისაცემ ადგილებზე. ამის გამო, დირექტორმა ის თავის კაბინეტში დაიბარა და უბრძანა, შეეწყვიტა ეს უმსგავსობა. მომდევნო დღეს, ინიციალები - მ. ბ. დირექტორის მანქანაზე გაჩნდა.

## ო ჯეი მაიო

*კოლეჯი: სამხრეთ კალიფორნია*
*პოზიცია: მცველი*
*ასაკი: 20 წლის; სიმაღლე: 200 სმ*
*სტატისტიკა: 20.7 ქ, 3.3 პ, 4.5 მ*

აქ წარმოდგენილ მოთამაშეებს შორის, **ო ჯეი მაიო** ყველაზე მეტად არის მზად NBA-სთვის. მიუხედავად კალათბურთელის უამრავი განცხადებებისა, მას გაუჭირდება გუნდის თამაშის წაყვანა: კლასიკური გამთამაშებლისთვის მას მხოლოდ სიმაღლე, წონა და პირადი მწვრთნელის სიტყვები აქვს. ო ჯეი - სუფთა შემტევი კალათბურთელია. ის შეიძლება დროდადრო გამოჩნდეს პოინტ-გარდის პოზიციაზე, მაგრამ პირველ რიგში, ის ლიგის საუკეთესო სნაიპერთა შორის დაიკავებს ადგილს.

ამ მოთამაშის შეშინება ძნელია, ის ჯერ კიდევ კოლეჯში ტოვებდა NBA-ში გამობრძმედილი ვეტერანის შთაბეჭდილებას. მეტოქეები არ უნდა ელოდონ იმას, რომ სროლის დროს, თუნდაც გადამწყვეტ წამებზე, მაიოს ხელი აუკანკალდება - ასეთი რამ, უბრალოდ, არ ხდება. ეს ნამდვილი სუპერბომბარდირის თვისებაა. თუმცა ხანდახან, ზედმეტად ერთობა სამქულიანების შესრულებით და პარტნიორებს საერთოდ არ აქცევს ყურადღებას, მაგრამ ეს ასაკითა და კოლეჯის სუსტ გუნდში თამაშით აიხსნება. ო ჯეი მაიოს შეუძლია დაცვაშიც პროდუქტიულად იმოქმედოს, ოღონდ მაშინ... როცა თავად მოისურვებს.

ნაკლებად შესამჩნევი ნიჭი, არასაკმარისი სათამაშო უნივერსალურობა და ტყორცნაზე ზედმეტი აქცენტი მაიოს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ ამ რეიტინგში როუზსა და ბიზლის გაუსწროს. მაგრამ ოკეანისგაღმა პუბლიკა მას 12 წლიდან იცნობს, აკვირდება, სჯერა მისი და ეჭვი არ შეგეპაროთ - ოვინტონ ჯეი'ენტონი მაიო ყველა ძალას იხმარს იმისთვის, რომ საუკეთესოთა შორის მოხვდეს.

**პროგნოზი:** მესამე ნომრად აირჩევს "მინესოტა", რაც ამ გუნდისთვის, ქალალდზე იდეალური ვარიანტი იქნება.

**საინტერესო ფაქტი:** სათამაშო თვალსაზრისით, მაიოს სიმპათიები "იუტას" გამთამაშებელ **დერონ უილიამსისკენ** იხრება, თვლის, რომ მასაც ზუსტად ასეთი მანერით შეუძლია თამაში. ხასიათისა და საქმისადმი დამოკიდებულებით კი, საკუთარ თავს დუეინ უეიდს ადარებს, რომელსაც უკვე დაუმეგობრდა წინასადრაფტო ვარჯიშების დროს.

**გია თვალაბეიშვილი**

სავარაუდო ტრანსფერები

# ტრეიდომანია იწყება



შონ მერიონი

ორ დღეში, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალბედების დრაფტი უნდა გაიმართოს და ჩვეულებისამებრ, ამ დღეს გუნდებს შორის დიდი ტრეიდებია მოსალოდნელი. გუშინდელ ნომერში რამდენიმე სავარაუდო ტრანსფერის შესახებ გამცნეთ და დღესაც შემოგთავაზებთ ბოლო ჭორების მიმოხილვას.

დავიწყოთ ESPN-ის ინფორმაციით, რომელიც თავის ვებ-გვერდზე წერს, რომ "ატლანტა ჰოქსის" ხელმძღვანელობა არ აპირებს **ჯოშ სმითისთვის** ყოველ წელიწადს 11 მილიონ დოლარზე მეტის გადახდას. სამაგიეროდ, ამის შესაძლებლობა ჰქონია "ფილადელფია სიქსერზს", რომელიც თურმე აქტიურად მუშაობს ატლანტელი ფორვარდის ხელში ჩასაგდებად.

პენსილვანიელებს სარეზერვო ვარიანტიც ჰქონიათ: თუ სმითის ტრანსფერი არ გამოვიდა, ჯერი "ლოს ანჯელეს კლიპერსის" ფორვარდ **ელტონ ბრენდზე** მიდგება, რომელიც კალიფორნიაში 16 მილიონ დოლარზე ნაკლებ ხელფასს არ თანხმდება.

■ ■ ■

ჯერჯერობით უცნობია, გააგრძელებს თუ არა "მაიამი ჰიტში" კარიერას **შონ მერიონი** - "ფინიქსის" ყოფილმა ფორვარდმა ჯერაც ვერ მიიღო ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება.

"ჰიტის" ადმინისტრაცია თავს იზღვევს და უკვე ეძებს მერიონის პოტენციურ შემცვლელებს. კლუბის შეფობას მიაჩნია, რომ შონის სრულფასოვნად შეცვლა **ლამარ ოდომს** ("ლეიკერსი"), ელტონ ბრენდს ("კლიპერსი") ან **კარლოს ბუზერს** ("იუტა") შეუძლიათ. "მაიამი" ამ ტრიოდან ერთ-ერთის ტრანსფერზე იმუშავებს.

■ ■ ■

პლეი ოფში განცდილი ფიასკოს შემდეგ, შემადგენლობის გადახალისებას აპირებს "სან ანტონიო სპურსი". **გრეგ პოპოვიჩის** გუნდს მცველ **ჯეი არ სმითთან** კონტრაქტის გაფორმება აქვს განზრახული, რომელიც გასულ სეზონში "დენვერ ნაგეტსის" შემადგენლობაში თამაშობდა.

თუ სმიტი "დენვერთან" ახალ კონტრაქტს არ მოაწერს ხელს, 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტი გახდება და ნებისმიერ გუნდში შეეძლება გადასვლა. სხვათა შორის, "სპურსმა" 2006 წელსაც სცადა "ნიუ ორლეანიდან" ამ მცველის გადაბირება, მაგრამ ტრეიდი ("სან ანტონიო" სმიტში **ბრენტ ბერის** ცვლიდა) არ განხორციელდა.

გასულ სეზონში სმიტი საშუალოდ 12.3 ქულას, 2.1 მოხსნასა და 1.7 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

■ ■ ■

აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს "ტორონტოსა" და "ინდიანას" წარმომადგენლებს შორის. ეს კლუბები ამზადებენ ტრეიდს, რომლის მიხედვითაც "რეპტორზი" მძიმე ფორვარდს, **ჯერმეინ ო'ნილს** მიიღებს, საპირისპირო მიმართულებით კი, "ინდიანაში" **ტი ჯეი ფორდი** და **რაშო ნესტეროვიჩი** გაემგზავრებიან. გარდა ამისა, კანადელებმა ამ ტრეიდისთვის შესაძლოა, მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება დათმონ.

**გია თვალაბეიშვილი**

პეკინი 2008

# ესეც ახალი დრიმ თიმი



კობი და კიდი

**გუშინ**, ამერიკის საკალათბურთო ნაკრების ალმასრულებელმა დირექტორმა **ჯერი კოლანჯელომ** იმ 12 კალათბურთელის გვარი გამოაცხადა, რომლებიც პეკინის ოლიმპიადაზე სათამაშოდ გაემგზავრებიან.

მორიგი ფორმაციის "დრიმ თიმმა" ასეთი სახე მიიღო:

**მცველები:** კობი ბრაიანტი ("ლეიკერსი"), ჯეისონ კიდი ("დალასი"), კრის პოლი ("ნიუ ორლეანი"), მაიკლ რედი ("მილუოკი"), დუეინ უეიდი ("მაიამი"), დერონ უილიამსი ("იუტა");

**ფორვარდები:** კარმელო ენტონი ("დენვერი"), ლებრონ ჯეიმსი ("კლივლენდი"), კარლოს ბუზერი ("იუტა"), ტაიშონ პრინსი ("დეტროიტი");

**ცენტრები:** კრის ბოში ("ტორონტო"), დუაიტ ჰოვარდი ("ორლანდო").

ამ გუნდში ხუთი ისეთი კალათბურთელია, რომლებმაც 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე ითამაშეს. მაშინ, ამერიკელებმა ბრინჯაოს მედლების მოპოვება შეძლეს.

დღევანდელი გუნდის ყველაზე გამოცდილი წევრი, 35 წლის გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** გახლავთ. ის ერთადერთია შემადგენლობაში, ვისაც უკვე აქვს მოპოვებული ოლიმპიადის ოქროს მედალი: ეს 2000 წელს, სიდნეის თამაშებზე მოხდა. ასე რომ, კიდს შანსი აქვს, გახდეს მე-14 ამერიკელი კალათბურთელი, ვისაც კოლექციაში მინიმუმ ორი ოლიმპიური ოქრო ექნება. მანამდე ასეთი რამ შემდეგმა მოთამაშეებმა მოახერხეს: **დევიდ რობინსონი** (1988, 1992, 1996), **ჩარლზ ბარკლი** (1992, 1996), **პატრიკ იუინგი** (1984, 1992), **ბარდეტ ჰალდორსონი** (1956, 1960), **უილიამ ჰაუგლენდი** (1952, 1956), **მაიკლ ჯორდანი** (1984, 1992), **რობერტ კარლენდი** (1948, 1952), **კარლ მელოუნი** (1992, 1996), **კრის მულინი** (1984, 1992), **გერი პეიტონი** (1996, 2000), **სკოტი პიპენი** (1992, 1996), **მიტჩ რიჩმონდი** (1988, 1996), **ჯონ სტოქტონი** (1992, 1996).

ნაკრების მთავარი მწვრთნელია დუკის უნივერსიტეტის დამრიგებელი **მაიკ კრჟიჟევსკი**. მას სამი თანაშემწე ეყოლება: სირაკუზის უნივერსიტეტის მწვრთნელი **ჯიმ ბოჰაიმი**, "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" თავკაცი **ნეიტ მაკმილანი** და "ნიუ იორკ ნიქსის" ახალი მთავარი მწვრთნელი **მაიკ დ'ენტონი**.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# რას აპირებს კულტჰარდი?



**დევიდ კულტჰარდი** სერიოზულად ფიქრობს ფორმულა 1-ში კარიერის დასრულებას. გერმანული ჟურნალი Auto Motor und Sport წერს, რომ მომავალ სეზონში, "რედ ბულის" პილოტები **მარკ უებერი** და **სებასტიან ფეტელი** იქნებიან.

რა თქმა უნდა, საინტერესოა, რით დაკავდება ამ სეზონის შემდეგ შოტლანდიელი ვეტერანი? გერმანელმა ჟურნალისტებმა ეს კითხვა კულტჰარდს დაუსვეს, მაგრამ მან ზუსტი პასუხის გაცემა არ ისურვა: *"სამყარო არ დაინგრევა, როცა ფორმულაში კარიერას დავასრულებ. რაც შეეხება ჩემს მომავალს, გარკვეული გეგმები უკვე ჩამოყალიბებული მაქვს".* ამასთან, დევიდმა მიანიშნა, რომ არ აპირებს სხვა გუნდში და მით უმეტეს, სხვა სარბოლო სერიაში ადგილის ძებნას.

*"ვერ წარმომიდგენია, "რედ ბულის" შემდეგ, სადმე სხვაგან ვცადო ბედი. არ მივბაძავ ჟაკ ვილნევს, რომელმაც ძალები ნასკარის სერიაში მოსინჯა. ყველა დანარჩენი სარბოლო სერია ფორმულა 1-ს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება და მეეჭვება, სხვაგან რბოლებისგან სიამოვნება მივიღო"*, - ამბობს ბრიტანელი პილოტი.

როგორც იგივე Auto Motor und Sport წერს, დიდია იმის ალბათობა, რომ კულტჰარდი "რედ ბულის" ერთ-ერთი ტოპ-მენეჯერის ადგილს დაიკავებს. გარდა ამისა, შესაძლებელია ის BBC-ის ტელეკომენტატორი გახდეს. მომავალი წლიდან, ბრიტანული ტელეკორპორაცია კლავ გადასცემს ფორმულას ეტაპების პირდაპირ ტრანსლიაციებს.

გია **თვალაბეიშვილი**

# მოსლი ფულს თმობს და გავლენას იმაღლებს



ამ კვირას, პარიზში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) მსოფლიო საბჭოს სხდომა გაიმართება, სადაც პრეზიდენტი **მაქს მოსლი** ახალი წინადადებით გამოვა. კერძოდ, FIA-ს შეფი ფორმულა 1-ის გუნდებს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებიდან მიღებული მოგების ახლებურად გადანაწილებას შესთავაზებს.

მოქმედი "თანხმობის ხელშეკრულების" თანახმად, გუნდები კომერციული შემოსავლის 75 პროცენტსა და ტელეტრანსლიაციებიდან მიღებული მოგების 50 პროცენტს ინაწილებენ. ჭორების თანახმად, ეს მონაცემები შესაბამისად 92 და 67 პროცენტამდე გაიზრდება. ამასთან, მოსლი ითხოვს, თავიდან შეადგინონ "თანხმობის ხელშეკრულების" ტექსტი, რომელიც ერთის მხრივ, გაამყარებს FIA-ს როლს და მეორე მხრივ, გუნდების შემოსავალს გაზრდის, რაც კონტრაქტის გაფორმების დამატებითი მოტივაცია გახდება.

FIA-ს წარმომადგენელმა პრესასთან საუბარში ასეთი რამ აღნიშნა: *"ჩვენ შემოსავლების თანასწორად განაწილებისთვის და ამავდროულად, ფედერაციის, როგორც დამოუკიდებელი არბიტრაჟის როლის შენარჩუნებისთვის ვზრუნავთ. FIA-მ ბერნი ექლსტოუნს ეს წინადადება ჯერ კიდევ 2007 წლის მაისში გაუგზავნა, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია".*

გია **თვალაბეიშვილი**

## TV სპორტი

### 25 ივნისი. ოთხშაბათი

#### რუსთავი 2

22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
22:40 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. გერმანია-თურქეთი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:20 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:45 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
17:55 საფეხბურთო კლუბი.
19:00 FUTBOL MUNDIAL
. საფეხბურთო ჟურნალი.
19:35 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
21:45 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. 1/2 ფინალი. გერმანია-თურქეთი (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. როჯერ ფედერერი-ფილიპ კოლშრაიბერი. ჰალე. გერმანია.
08:45 უკრაინული სპორტის ვარსკვლავები.
09:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ბაიერნი.
10:50 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ჰოლანდია-რუსეთი.
12:50 სპორტდოსიე. თხილამურები.
13:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ნაპოლი.
15:05 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. მონრეალი-ბოსტონი.
16:40 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
17:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბარსელონა-ვილიარეალი.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნოტინგემი. ინგლისი.
21:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. საუკეთესო მატჩები. ლივერპული-ინტერი.
22:55 დოკუმენტური ფილმი.
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ნაპოლი.
03:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნოტინგემი. ინგლისი.
05:20 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ჰოლანდია-რუსეთი.

#### EUROSPORT

10:30 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
14:30 სნუკერი. მსოფლიო სერია. II დღე. ჯერსი. ბრიტანეთი.
16:00 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი.
22:00 მულტისპორტი.
22:10 ცხენოსნობა. სუპერლიგა. როტერდამი. ჰოლანდია.
23:10 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:15 გოლფი. US PGA-ის ტური.
00:15 გოლფი. ევროპის ტური.
00:45 გოლფ-კლუბი.
00:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:55 მულტისპორტი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.

#### EUROSPORT-2

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
11:00 ახალი ამბები.
12:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. ჩიკაგო-დალასი.
13:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის გრან პრი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ფინალი. იტალია.
16:30 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. თურქეთი-უნგრეთი. ისრაელი (LIVE).
17:45 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ნორვეგია-ჩეხეთი. ისრაელი (LIVE).
19:00 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. გერმანია-ისრაელი. ისრაელი (LIVE).
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 პროფესიული კრივი. WBO-ს ვერსია. სუპერმძიმე წონა. ო. მასკაევი (რუსეთი)-ს. პიტერი (ნიგერია). მეხიკო. მექსიკა.
23:30 კიკ-ბოქსინგი. პარიზი. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია (LIVE).
01:45 ახალი ამბები.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
02:45 ახალი ამბები.
03:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
03:45 ახალი ამბები.
04:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
04:45 ახალი ამბები.
05:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
05:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| რუსეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ალანია-როსტოვი | 1:1 |
| ანჟი-ტორპედო | 3:0 |
| ჩერნომორეცი-კუბანი | 0:1 |
| კამაზი-სკა ენერგია | 2:0 |
| მაშუკი-დინამო (ბრ) | 3:1 |
| ნოსტა-ურალი | 2:2 |
| ბელგოროდი-მეტალურგი | 0:0 |
| საკ მოსკოვი-ბალტიკა | 0:2 |
| სკა (რ)-დინამო (ბარ) | 0:0 |
| ვიტიაზი-სიბირი | 1:1 |
| ვოლგა-ზვეზდა | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფალკენბერგი-ასირისკა | 2:0 |
| **ირლანდია** | |
| ფინ ჰარპსი-ბოჰემიანსი | 0:2 |

მძლეოსნობა. პეკინი 2008

# უორინერი პეკინში რეკორდს გვპირდება

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ამერიკელი სპრინტერი **ჯერემი უორინერი** არ მალავს, რომ პეკინის ოლიმპიადაზე რეკორდის დამყარება და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება მისი ოცნებაა, რომელზეც თითქმის ყოველდღე ფიქრობს.

*"ამაზე ყოველდღე ვფიქრობ. ბედნიერი ვიქნები, თუ სპორტის უდიდეს ფორუმზე მსოფლიო რეკორდს დავამყარებ. ამ დროს ხომ ტურნირს მილიონობით მაყურებელი ეყოლება და მეცოდინება, რომ ბევრის მეხსიერებაში დიდხანს დავრჩები. ბევრს ახსოვს ატლანტას ოლიმპიადაზე მაიკლის რეკორდული გარბენი 200 მეტრზე სპრინტში. თუ პეკინში რეკორდს დავამყარებ, ჩემი გამარჯვებაც ასე დაამახსოვრდება ყველას და მე ისტორიაში შევალ"*, - ამბობს უორინერი, ვისაც 400 მეტრზე სპრინტში, ათენის ოლიმპიადის შემდეგ, თავის დისტანციაზე ბადალი არ ჰყავს, თუმცა ამ თვის დასაწყისში, ოქროს ლიგის სერიის პირველ, ბერლინურ ტურნირზე, მოულოდნელად ამერიკელ **ლაშონ მერიტთან** დამარცხდა.

უორინერის მრჩეველმა და მენეჯერმა, სახელოვანმა სპრინტერმა **მაიკლ ჯონსონმა** ატლანტას 1996 წლის ოლიმპიადაზე, 200 მეტრზე სპრინტში ფანტასტიკური შედეგი (19.32 წამი) აჩვენა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რომელიც ახლაც ძალაშია. სამი წლის შემდეგ, სევილიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, მორიგი რეკორდი დაამყარა. ამჯერად 400 მეტრზე სპრინტში, სადაც ფინიშს 43.18 წამში მიაღწია. ეს რეკორდი კვლავ მას ეკუთვნის და თავად ჯონსონი იმედოვნებს, რომ მას უორინერი მოუხსნის.

*"მაიკლმა კარგად იცის, რომ რეკორდებს ადრე თუ გვიან, ვინმე აუმჯობესებს. მან იცის, რომ ნიჭი მაქვს, ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ და ძალიან მონდომებული ვარ. ამ მონაცემებით კი, დარწმუნებულია, რეკორდის დამყარებას შევძლებ. ის მეუბნება, რომ რეკორდს ამ სეზონშივე დავამყარებ. თუ წლეულს არა, მერმის, ან ორი წლის შემდეგ მაინც დაამყარებო. თუ ყველაფერი კარგად იქნა, თუ საკმარისად სწრაფი ვიქნები, კარგი ამინდი იქნება და სწრაფი მეტოქეები მეყოლება, მაშინ რეკორდს დავამყარებ. მე ამის უნარი და მონდომებაც მაქვს. ბრძოლის ჟინითაც ბევრი ვერ შემედრება. მოკლედ, რეკორდისთვის მზად ვარ"*, - ამბობს უორინერი, ვინც კარიერაში ყველაზე სწრაფად (43.45 წამი) შარშან, ოსაკაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ირბინა.

უორინერმა შარშან მწვრთნელი გამოიცვალა. ადრე მას **კლაიდ ჰარტი** წვრთნიდა, ამ სეზონიდან კი **მაიკლ ფორდი** ავარჯიშებს. ჯონსონი მისი მრჩეველია, თუმცა მის რჩევებს სპრინტერისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.



*"მაიკლი ჩემი მწვრთნელი არასდროს ყოფილა. ის რჩევებით მეხმარება. ჩემს გამოსვლებს უყურებს და მეუბნება, სად შევცდი, სად შემიძლია მომატება. დაწვრილებით აანალიზებს ჩემს გამოსვლებს. ის ჩემს მწვრთნლსაც ესაუბრება და ერთად წყვეტენ, რისი გაკეთება სჯობს ვარჯიშზე, რას უნდა მივაქციო მეტი ყურადღება. მაიკლი ჩემთვის მწვრთნელსა და მრჩეველზე გაცილებით მეტს ნიშნავს"*, - ამბობს უორინერი და აღიარებს, რომ ყველაზე კარგი რამ, რაც ჯონსონისგან მიიღო ისაა, რომ ისწავლა, როგორ უნდა დააჯეროს საკუთარი თავი და მეტოქეები, რომ ის ყველაზე სწრაფია.

*"მაიკლი ყოველთვის მეუბნება, როცა დისტანციაზე ხარ, სულ უნდა გახსოვდეს, რომ ყველაზე სწრაფი ხარ. თუ ამას შეძლებ, მეტოქეებსაც გადაედებათ შენი განწყობა და ისინიც იფიქრებენ, რომ შენზე სწრაფი არავინაა. ეს თავდაჯერების გამოსაწრთობად საუკეთესო წამალია"*, - ამბობს უორინერი. ის აღიარებს, რომ ოლიმპიადამდე ყველა ტურნირის მოგებით, თავდაჯერებას კიდევ უფრო გაავარჯიშებს.

ბევრი სპეციალისტი აღიარებს, რომ უორინერსა და ჯონსონს სირბილის ერთნაირი მანერა აქვთ. თუმცა თავად უორინერი აღიარებს, რომ მათ მანერაში ბევრი განმასხვავებელი ნიშანიცაა. პირველ ორას მეტრს ის ჩემზე სწრაფად გარბოდა, მაგრამ მე უფრო გამძლე ვარ და მეორე ორას მეტრზე ტემპის ბოლომდე შენარჩუნებას ვახერხებო, - ამბობს ჩემპიონი.

ჯონსონს სირბილის უჩვეულო მანერა ჰქონდა. ის წელგამართული, მოკლე ნაბიჯებით დარბოდა, თუმცა მათ უფრო სწრაფად დგამდა. დაახლოებით ასევე დარბის უორინერიც, ოღონდ მას ოდნავ გრძელი ნაბიჯები აქვს და მათ შედარებით ნელა დგამს. ჰოდა, ჯონსონი თვლის, რომ ფეხის აჩქარებით, ჯერემი მისი რეკორდის გაუმჯობესებას შეძლებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ექსტრემალური სპორტი

# შერეკილი



20 წელი და 20 მილიონი დოლარი იდეის რეალიზაციისთვის - ეს ყველაფერი უმნიშვნელოა ოცნებისკენ მიმავალ გზაზე, თვლის 64 წლის ფრანგი **მიშელ ფურნიე**. საქმე ისაა, რომ ეს ადამიანი აპირებს საჰაერო ბურთით ავიდეს ატმოსფეროს ზედა ფენებში, რათა იქიდან პარაშუტით გადმოხტეს და ამით ერთბაშად ოთხი მსოფლიო რეკორდი დაამხოს: თავისუფალი ვარდნისას ყველაზე მაღალი ნახტომი, საჰაერო ბურთიდან ყველაზე მაღალი ნახტომი, თავისუფალი ვარდნის დრო და სიჩქარე.

მიშელ ფურნიეს გეგმა ასეთია: ის 215 მეტრი დიამეტრის საჰაერო ბურთზე დამაგრებული სპეციალური კაფსულით სტრატოსფეროში 40 კილომეტრ სიმაღლეზე ავა. შემდეგ, მომავალი რეკორდსმენი კოსმოსური სკაფანდრით (რომლის წყალობითაც მზის რადიაციისგან იქნება დაცული და აგრეთვე, კომფორტულად იგრძნობს თავს მინუს 100 გრადუს ტემპერატურაზე) ქვემოთ გადახტება: წინასწარი გათვლებით, ფურნიე დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში დატკბება უწონობითა და თავისუფალი ვარდნით.

საინტერესოა, რომ ამ ოცნების ასრულება 1988 წლიდან დაიწყო, როცა საფრანგეთის აეროკოსმოსურმა სააგენტომ მიშელ ფურნიეს სტრატოსფეროდან პარაშუტით გადახტომა შესთავაზა, რათა ამით კოსმოსური ხომალდიდან ევაკუაციის შემთხვევაში, ასტრონავტების გადარჩენის შანსი შეეფასებინა. მაგრამ ეს პროგრამა მალე შეწყვიტეს, მაგრამ ფურნიე გაჩერებას აღარ აპირებდა. 1992 წელს, საფრანგეთის არმია დატოვა და საკუთარი კერძო პროექტი შექმნა. საჭირო თანხების შესაგროვებლად, გადამდგარმა ოფიცერმა სახლი და პირადი ნივთები გაყიდა. ფურნიესა და კერძო სპონსორების ჯგუფის მთლიანმა ხარჯებმა დაახლოებით 20 მილიონი დოლარი შეადგინა.

ფურნიე დარწმუნებულია ამ სახიფათო ექსპერიმენტის წარმატებაში. და ეს მიუხედავად იმისა, რომ 12 კილომეტრ სიმაღლეზე ჟანგბადის სერიოზული ნაკლებობა შეინიშნება, რამაც შეიძლება ემბოლია (ფილტვების ტრავმა - რედ) გამოიწვიოს. თუ სკაფანდრის დამცავი სისტემები მწყობრიდან გამოვა, პარაშუტისტის სისხლი დუღილს დაიწყებს. და კიდევ ერთი საფრთხე - ფრანგს ისეთივე დეკომპრესია ემუქრება, როგორიც დაივერს სწრაფად ამოყვინთვის დროს.

**ამ ბოლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ფურნიე გაფრენამდე 2-3 საათი** სუფთა ჟანგბადით სუნთქვას აპირებს. საჰაერო ბურთის კაფსულა მთლიანად ჰერმეტულია და ჟანგბადის მარაგი გააჩნია. სპეციალისტების გათვლით, 64 წლის სპორტსმენი უწონობაში დაახლოებით 8 წუთს გაატარებს. ბგერის სიჩქარეს (331.46 მ/წ ან 1193 კმ/სთ) ის პირველი 40 წამის განმავლობაში მიაღწევს, შემდეგ კი, საათში 1000 მილის (დაახლოებით 400 კილომეტრი საათში) სიჩქარით გაქანდება. დაშვებასთან ერთად, ვარდნის სიჩქარე ქარის წინაღობის წყალობით დაიკლებს, პარაშუტი კი დაახლოებით 1.5 კილომეტრ სიმაღლეზე ავტომატურად გაიხსნება.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ცნობილი პარაშუტისტი ფიზიკურადაც და მორალურადაც მზად არის რეკორდებისთვის. მის ანგარიშზე პარაშუტით შესრულებული 8 ათასამდე ნახტომი მოდის, გარდა ამისა, ფურნიე საფრანგეთის რეკორდსმენია - პარაშუტით 11 900 მეტრი სიმაღლიდან გადმოხტა.

ნახტომი შეიძლებოდა უფრო ადრე შემდგარიყო - 2000, 2002, 2003 წლებში, მაგრამ მიშელს ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს. მიუხედავად საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგობისა, 2008 წლის მაისში ყველაფერი კარგად მიდიოდა. კანადაში, ფურნიეს 40 სპეციალისტისგან შედგენილმა ჯგუფმა ასაფრენი მოედანი, კაფსულა და საჰაერო ბურთი მოუმზადა, მაგრამ ამჯერად, უამინდობამ შეუშალათ ხელი და უნიკალური ნახტომის შესრულება გაურკვეველი ვადით გადაიდო.

მართალია, ფურნიეს არც ამჯერად გაუმართლა, მაგრამ როგორც თავად ამბობს, "დიდი ნახტომის" შესრულება მხოლოდ დროის საკითხია

**გია თვალაბეიშვილი**




ჩოგბურთი. უიმბლდონი

# დავიდენკომ ბარგი ჩაალაგა

გუშინ უიმბლდონზე პირველი წრე დასრულდა და მორიგი სენსაციაც გამოცხვა – ტურნირს უკვე გამოეთიშა მამაკაცთა ბადეში მეოთხე ნომრად განთესილი რუსი **ნიკოლაი დავიდენკო.** შესაძლოა, ბალახის კორტზე რუსი ჩოგბურთელი კარგი თამაშით ვერ დაიკვეხნის – უიმბლდონზე უკვე მეშვიდედ ითამაშა და მეხუთედ მას პირველივე წრეში დაემშვიდობა, მაგრამ მისი წაგება პირველ წრეში მაინც მოულოდნელი იყო. მით უმეტეს, რეიტინგში 116-ე ადგილზე მყოფი გერმანელი **ბენიამინ ბეკერისგან,** ვინც წინა ექვს დიდ ტურნირზე პირველ წრესაც ვერ გასცდენია.

*"როცა თამაშს წააგებ, მნიშვნელობა არ აქვს, ვისგან იგემე ეს მარცხი. მიზეზი საკუთარ თამაშში უნდა ეძიო. ახლა იმის თქმა შემიძლია, რომ მოწოდება და მიღება დასამუშავებელი მაქვს და როცა ამ ელემენტებში მოიკოჭლებ, ბალახის კორტზე წარმატებას არ უნდა ელოდო. ეს მარცხი დამსახურებულია"*, - განაცხადა დამწუხრებულმა რუსმა ჩოგბურთელმა.

რა თქმა უნდა, შეხვედრის შემდეგ, რადიკალურად განსხვავებულ განწყობაზე იყო მისი მეტოქე: *"დიდი ხანია, სასლემო ტურნირზე თამაში არ მომიგია. პირველი წრის გავლა ჩემთვის უკვე სერიოზული მიღწევაა. შეხვედრა ისე ჩავატარე, როგორც მის დაწყებამდე ვგეგმავდი – აგრესიულად ვთამაშობდი, ბურთს მძლავრად ვურტყამდი და ეს საკმარისი გამოდგა მოსაგებად. მოკლედ, ბედნიერი ვარ".*

დავიდენკოსგან განსხვავებით, ტურნირი მოგებით დაიწყეს ამერიკელმა **ენდი როდიკმა** და ესპანელმა **რაფაელ ნადალმა,** რომლებმაც მოსაგებად დაძაბული სამ-სამი სეტი იმყოფინეს.

უიმბლდონის ორგზის ფინალისტ როდიკს სამივე სეტში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია არგენტინელმა **ედუარდო შვანკმა,** ვინც საბალახო სლემ-ტურნირზე პირველად იასპარეზა და ბუნებრივია, "ოლ ინგლენდ კლაბის" კორტებზე თამაშის გამოცდილება არ ჰქონდა. მაგრამ ხაზიდან თამაშისას ის ხშირად სჯობდა თავის ავტორიტეტულ მეტოქეს, ვისაც ერთ დროს რეიტინგის მოწინავე საფეხური ეკავა. ალბათ, ეს მისი მწვრთნელის, **დავიდ ნალბანდიანის** ძმის, **ხავიერ ნალბანდიანის** დამსახურებაა. ერთადერთი, რასაც დებიუტანტმა ალლო ვერ აუღო, ამერიკელის ყუმბარისებური მოწოდებაა, რომელმაც კიდევ ერთხელ უშველა კრიზისში მყოფ როდიკს, ვისაც მომდევნო წრეში გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლება სერბი **იანკო ტიპსარევიჩის** სახით.

რაც შეეხება ნადალს, მანაც ტურნირის დებიუტანტი, მასავით ცაცია გერმანელი **ანდრეას ბეკი** დაამარცხა, ვინც ტურნირის ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით მოხვდა. ესპანელმა, ვინც წინა ორ უიმბლდონის ფინალში **როჯერ ფედერერთან** დამარცხდა, ახლა კი ნავსის გატეხვას ლამობს, პირველი ორი სეტი თითო ბრეიკის წყალობით ისე მოიგო, თავი დიდად არც შეუწუხებია. მაგრამ მესამეში მეტოქისგან მედგარ წინაალმდეგობას წააწყდა.

მესამე სეტში, როცა ანგარიში 3:3 იყო, ბეკმა ოთხი ბრეიკ პოინტი მოიგერია (მათგან ორი ეისით), შემდეგ კი სეტის მოგებამდე ორად-ორი ქულა დააკლდა. მოკლედ, საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, რომელიც საფრანგეთის ღიას ოთხგზის ჩემპიონმა მშრალად მოიგო. შეხვედრის შემდეგ, ნადალი განსაკუთრებით თავისი მოწოდებით იყო კმაყოფილი. ხუმრობა ხომ არ არის – მან 17 ეისი მოაწოდა. თუმცა ისიც აღიარა, რომ მეტოქის მოწოდებაზე ჯერაც ისე ლაღად ვერ ირჯება, როგორც ეს თიხნარზე სჩვევია.

მსოფლიოს მეორე ჩოგნის მომდევნო მეტოქე ლატვიელი ამომავალი ვარსკვლავი **ერნესტ გულბისია,** რომელმაც დაძაბულ, ოთხსეტიან პაექრობაში ამერიკელ **ჯონ იზნერს** აჯობა.

ტურნირი მოგებით დაიწყეს ქალთა ბადის ფავორიტებმა, ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა,** სერბმა **ელენა იანკოვიჩმა** და ყოფილმა ჩემპიონმა რუსმა **მარია შარაპოვამ.** სამივემ პირველი წრე საკმაოდ იოლად მოპოვებული გამარჯვებით დაძლია, კიდევ ერთ ყოფილ ჩემპიონს, ამერიკელ **ლინდსი დავენპორტს** კი, ჩეხი **რენატა ვორაჩოვას** დასამარცხებლად სამი სეტი და გვარიანი გარჯა დასჭირდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტრავმული პაუზის შემდეგ დავენპორტი ფორმაში არაა და ბუნებრივია, მას ფავორიტადაც არავინ მიიჩნევს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



რაფაელ ნადალი

### კაცები. პირველი წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ანდრეას ბეკი (გერმ) 6:4, 6:4, 7:6(0);
**ბენიამინ ბეკერი (გერმ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 6:4, 6:4, 6:4;
**ენდი როდიკი (აშშ, 6)**-ედუარდო შვანკი (არგ) 7:5, 6:4, 7:6(0);
**რიშარ გასკე (საფრ, 8)**-მარდი ფიში (აშშ) 6:3, 6:4, 6:2;
**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-კრისტოფ როხუსი (ბელგ) 3:6, 6:3, 6:1, 6:4;
**ენდი მარი (ბრიტ, 12)**-ფაბრის სანტორო (საფრ) 6:3, 6:4, 7:6(5);
**პოლ-ანრი მატიე (საფრ, 14)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 3:6, 6:2, 6:0, 6:2;
**რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 16)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) 6:3, 7:5, 6:0;
**მიხაილ იუჟნი (რუს, 17)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:1, 6:4, 6:0;
**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 19)**-მარსელ გრანოლერს-პუიოლი (ესპ) 4:6, 6:3, 7:5, 6:2;
**ტომი რობრედო (ესპ, 23)**-კრისტოფ ფლიგენი (ბელგ) 6:1, 6:3, 6:7(4), 6:4;
**იარკო ნიემინენი (ფინ, 24)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:3 ოდესნიკის ტრავმა;
**დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 25)**-ნიკოლა მაიუ (საფრ) 6:4, 6:7(8), 7:6(7), 3:6, 7:5;
**იურგენ მელცერი (ავსტ)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 26) 6:4, 7:6(7), 4:6, 2:6, 6:3;
**ნიკოლას კიფერი (გერმ, 27)**-ჟულიან ბენეტიუ (საფრ) 6:1, 7:5, 6:3;
**ჟილ სიმონი (საფრ, 28)**-დავიდ ოლეინიჩაკი (პოლ) 6:3, 6:4, 6:2;
**ერნესტ გულბისი (ლატ)**-ჯონ იზნერი (აშშ) 7:5, 7:5, 6:7(3), 7:6(6);
**ჯესი ლევინი (აშშ)**-დონალდ იუნგი (აშშ) 4:6, 6:2, 6:3, 6:4;
**აგუსტინ კალერი (არგ)**-კევინ ანდერსონი (სამხ.აფრ) 4:6, 7:5, 7:5, 6:1;
**ჟერემი შარდი (საფრ)**-ფრედერიკო გილი (პორტ) 7:5, 6:7(1), 4:6, 6:4, 6:3;
**იანკო ტიპსარევიჩი (სერბ)**-ტიერი აშონე (საფრ) 7:6(4), 6:4, 6:2;
**მარინ ჩილიჩი (ხორვ)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფრ) 6:4, 6:3, 7:6(4);
**გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-ისაკ ფანდერ მერვე (სამხ.აფრ) 7:5, 6:2, 6:2;
**სებასტიან გროჟანი (საფრ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:2, 7:5, 6:1;
**ტომი ჰაასი (გერმ)**-გილერმო კანიასი (არგ) 3:6, 6:4, 6:4, 6:4;
**ვიქტორ ტროიცკი (სერბ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:3, 4:0 ლაპენტი გამოეთიშა;
**მარტინ ვასალო არგელო (არგ)**-ივო მინარი (ჩეხ) 6:4, 2:6, 2:6, 6:2, 6:2;
**არნო კლემანი (საფრ)**-იონას ბიორკმანი (შვედ) 4:6, 7:6(4), 6:4, 7:6(4);
**ქსავიე მალისი (ბელგ)**-დენის გრემელმაირი (გერმ) 6:3, 6:4, 6:2;
**სტეფანოგალვანი (იტა)**-ჯეიმი ბეიკერი (ბრიტ) 6:4, 6:2, 6:3;
**კრის იტონი (ბრიტ)**-ბორის პაშანსკი (სერბ) 6:3, 7:6(6), 6:4;
**რაინერ შუტლერი (გერმ)**-სანტიაგო ვენტურა (ესპ)6:3, 6:2, 6:4

### ქალები. პირველი წრე

**ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:3, 6:2;
**მარია შარაპოვა (რუს, 3)**-სტეფანი ფორეცი (საფრ) 6:1, 6:4;
**ვენუს უილიამსი (აშშ, 7)**-ნაომი ქევედეი (ბრიტ) 7:6(5), 6:1;
**დინარა საფინა (რუს, 9)**-იუნ-ძან ჩანი (ტაივ) 7:6(8), 6:2;
**დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 10)**-სარა ერანი (იტა) 7:6(5), 6:4;
**ვერა ზვონარევა (რუს, 13)**-აიკო ნკამურა (იაპ) 6:1, 6:7, 6:1;
**ვიქტორია აზარენკა (ბელ, 16)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულგ) 6:1, 6:1;
**ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 20)**-ტამირა პაშეკი (ავსტ) 6:3, 5:7, 10:8;
**ნადია პეტროვა (რუს, 21)**-ოლგა გოვორცოვა (ბელა) 6:4, 6:4;
**ფლავია პენეტა (იტა, 22)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 6:3, 6:4;
**ჯულია გიორგესი (გერმ)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვ, 23) 4:6, 7:6(6), 16:14;
**შაჰარ პეერი (ისრ, 24)**-კეიტი ო'ბრაიენი (ბრიტ) 6:3, 7:5;
**ლინდსი დავენპორტი (აშშ, 25)**-რენატა ვორაჩოვა (ჩეხ) 6:3, 5:7, 6:3;
**სიბილ ბამერი (ავსტ, 26)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 4:6, 4:1 არვიდსონის ტრავმა;
**კაროლინ ვოზნიაკი (დან, 31)**-ევა ჰრდინოვა (ჩეხ) 6:2, 7:5;
**სანია მირზა (ინდ, 32)**-კატალინა კასტანო (კოლუ) 7:6(3), 3:6, 6:4;
**ტიმეა ბაჩინსკი (შვეი)**-ჯული დიტი (აშშ) 7:5, 6:3;
**ანე კეოტავონგი (ბრიტ)**-ვანია კინგი (აშშ) 4:6, 6:2, 6:3;
**ხისელა დულკო (არგ)**-არანვან რეზაი (საფრ) 1:6, 6:0, 6:2;
**შუაი პენი (ჩინ)**-ვიქტორია კუტუზოვა (უკრ) 6:3, 6:4;
**სორანა კირსტეა (რუმ)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:4, 6:4;
**ალა კუდრიავცევა (რუს)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:0, 6:4;
**სუ-ვეი ჰსიეჰი (ტაივ)**-სტეფანი კოენ ალორო (საფრ) 6:3, 6:2;
**ალისა კლეიბანოვა (რუს)**-ციპორა ობზილერი (ისრ) 6:4, 6:0;
**მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-მარტინა მიულერი (გერმ) 6:1, 6:1;
**ტამარინ ტანასუგარნი (ტაილ)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:4, 6:3;
**მარინა ერაკოვიჩი (ახ.ზელ)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 7:6(3), 7:6(6);
**აი სუგიამა (იაპ)**-იანინა ვიკმაიერი (ბელგ) 6:4, 6:2;
**მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლვკ) 1:6, 6:3, 6:4;
**ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-მარია კორიტცევა (უკრ) 7:5, 6:4;
**ემილი ლუა (საფრ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:3, 7:6(4);
**კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-გალინა ვოსკობოევა (რუს) 6:2, 6:4;
**მარა სანტანჯელო (იტა)**-მარეტ ანი (ესტ) 7:5, 6:3;
**ელენა დემენტიევა (რუს, 5)**-მარია კამერინი (იტა) 6:3, 3:3 შეხვედრა შეწყდა